დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ დიმიტრი უზნაძის სახელობის ქალაქ თბილისის №22 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ირინა დვალი

წევრები:

თამარი წიწიკაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
ეკატერინე ცნობილაძე - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
შორენა ტყემალაძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
მარიამ მატიაშვილი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;
ნანა ჭავჭანიძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;
თეა ხუროშვილი - საინფორმაციო ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;
სოფიო ჯგერენაია - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;
შაქრო ჟღენტი - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;
ალექსანდრე ჩახნაშვილი - სპორტის საგნობრივი ექსპერტი;
ეკატერინე მაკარიძე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ექსპერტი

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ დიმიტრი უზნაძის სახელობის ქალაქ თბილისის №22 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	202055676

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	თბილისი
ფაქტობრივი მისამართი	თბილისი, ალიო მირცხულავას ქ.№4
საფოსტო ინდექსი	0019
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	Skolebi.emis.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Tbilisi22@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	2346976

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2026 წლის 8 აპრილის MES 423583 ბრძანება
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	7-8 მაისი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

№	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა**	**სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1.	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საფეხური	ქართული ენა	თბილისი, ალიო მირცხულავას ქ.№4 შენობა-ნაგებობა №1, №2
2.	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხური	ქართული ენა	თბილისი, ალიო მირცხულავას ქ.№4 შენობა-ნაგებობა №1, №2
3.	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხური	ქართული ენა	თბილისი, ალიო მირცხულავას ქ.№4 შენობა-ნაგებობა №1, №2

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულმა ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის დაწყებამდე შეისწავლა სკოლის თვითშეფასება და თანდართული დოკუმენტაცია. დისტანციურად გაიმართა საგნობრივ ექსპერტთა ჯგუფის სამუშაო შეხვედრები, როდესაც განხილულ იქნა ვიზიტის საორგანიზაციო საკითხები, შემუშავდა დღის წესრიგი და წარმოების ფარგლებში დამატებით გამოსათხოვი დოკუმენტაციის ნუსხა, რომელიც დაწესებულებას გაეგზავნა წინასწარ. სკოლაში განხორციელებული ვიზიტი წარიმართა წინასწარ გათვალისწინებული დღის განრიგის შესაბამისად, მშვიდ და საქმიან გარემოში. ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის ფარგლებში შეისწავლა სკოლის მიერ შემუშავებული სკოლის ფილოსოფია (შემუშავების, გაზიარების, გასაჯაროების, მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები და მექანიზმების პრაქტიკაში მოქმედება), ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები, სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერისა და მოსწავლეთა მხარდაჭერის მიმართულებით სკოლის მიერ დაგეგმილი და განხორციელებული საქმიანობა, დაათვალიერა საგნობრივ კურიკულუმებთან დაკავშირებული დაწესებულების სასწავლო გარემო, საგანმანათლებლო და მატერიალური რესურსები. გაესაუბრა სკოლის წარმომადგენლებს: დირექციის წარმომადგენელს, მასწავლებლებს. ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი აქტიურად ჩაერთო სახელმწიფო ენის, მათემატიკის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრების მასწავლებელთა ინტერვიუირების პროცესში შესაბამის საგნობრივ ექსპერტებთან ერთად და თავისი მოსაზრებები თუ რჩევები გაუზიარა მათ. ზემოაღნიშნულის საფუძველზე მომზადდა შესაბამისი დასკვნის პროექტი. ექსპერტებმა წარმოების ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტების ანალიზისა და ინტერვიუების შედეგად, გამოკვეთილი მიგნებები გააცნეს სკოლის წარმომადგენლებს ვიზიტის დასასრულს.
დასკვნის პროექტის გაცნობის შემდგომ სკოლამ გაიზიარა ექსპერტების მოსაზრებები და ფაქტობრივი გარემოებები, შეადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის საფუძველზეც ექსპერტებმა შეადგინეს საბოლოო დასკვნა.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☐	აღწერა (იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)
მოსწავლეთა რაოდენობა: 1200	**ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება** ☒	სკოლა მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას ვერ დააკმაყოფილებს, სანამ არ აღადგენს პირველ კორპუსს, ანდა სასწავლო პროცესი უნდა განახორციელოს 2 ცვლაში. დღევანდელი მდგომარეობით, სკოლა შეძლებს მაქსიმუმ 1070 მოსწავლის მომსახურებას.

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი №1	**სკოლის ფილოსოფია**	**ხარვეზი**
ინდიკატორი №		
სტანდარტი №3	**სასწავლო პროცესი ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	**ხარვეზი**
ინდიკატორი №		
სტანდარტი №4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	**ხარვეზი**
ინდიკატორი №		
სტანდარტი №2	**სასკოლო კურიკულუმი**	**ხარვეზი**

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი №1	**სკოლის ფილოსოფია**	**სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია**
ინდიკატორი №...		
სტანდარტი №3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	**სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია**

1 გარდ მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

ინდიკატორი №3.3.1.2	იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები	სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, 2026 წლის სექტემბრამდე, უნდა მოახდინოს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესების იდენტიფიცირება და აღწერა და დამტკიცება
ინდიკატორი №3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა	ა) სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, 2027 წლის ივნისამდე, საგანგებო სიტუაციების სამსახურთან უნდა შეათანხმოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. ბ) სკოლამ შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში, 2028 წლის ივნისამდე, უნდა ჩაატაროს პირველი სასწავლო კორპუსის აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოები.
ინდიკატორი №3.5.1.3	სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით	სკოლამ შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში, 2026 წლის ოქტომბრამდე, სკოლის შენობაში უნდა მოაწყოს ბიბლიოთეკა.
ინდიკატორი №3.5.1.4	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს	შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში, 2028 წლის ივნისამდე, სკოლის შენობაში უნდა შექმნას ადაპტირებული გარემო, კერძოდ პანდუსი და ლიფტი.

სტანდარტი №4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	**სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია**
ინდიკატორი №		

სტანდარტი №2	**სასკოლო კურიკულუმი** ზოგადი განათლების საბაზო და საშუალო საფეხურები	**სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია**
ინდიკატორი №2.2.2.3	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	სკოლამ შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში, 2027 წლის ივნისამდე, სკოლაში უნდა მოაწყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, აღჭურვოს შესაბამისი ინვენტარით, რათა საბაზო და საშუალო საფეხურებზე მოსწავლეებმა შეძლონ საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმებით გათვალისწინებული პრაქტიკული და კვლევითი აქტივობების სრულფასოვნად განხორციელება

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი №1	**სკოლის ფილოსოფია**	**რჩევა**
ინდიკატორი №1.1.1.3	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით	სკოლისთვის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების/გადახედვის პროცესი არ უნდა ატარებდეს მხოლოდ ფორმალურ ხასიათს. პროცესები უნდა რეალურად განხორციელდეს და არა მხოლოდ დოკუმენტირებისათვის.

		აუცილებელია, რომ სკოლამ აღნიშნული პროცესები წარმართოს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში გაწერილი ეტაპების მიხედვით.
ინდიკატორი №1.1.1.4	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ	სკოლისთვის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების/გადახედვის პროცესი არ უნდა ატარებდეს მხოლოდ ფორმალურ ხასიათს. პროცესები უნდა რეალურად განხორციელდეს და არა მხოლოდ დოკუმენტირებისათვის. აუცილებელია, რომ სკოლამ აღნიშნული პროცესები წარმართოს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში გაწერილი ეტაპების მიხედვით.
სტანდარტი №3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	**რჩევა**
ინდიკატორი №3.1.2.2	სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა	ინტერვენციული პოლიტიკის მექანიზმი სკოლამ გაითვალისწინოს ან სასკოლო სასწავლო გეგმაში, ან შინაგანაწესში ან ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში.
ინდიკატორი №3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან	ა) სკოლამ 2027 წლის 5 მარტამდე უფლებამოსილი ორგანოსგან/პირისგან უნდა აიღოს დასკვნა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ. ბ) სკოლამ უნდა აიყვანოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი

	შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა	
ინდიკატორი №3.4.1.2.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას.	სკოლამ უნდა შეიძინოს ფარდა/შირმა, რათა სამედიცინო კაბინეტში სამედიცინო ტახტი იზოლირებული იყოს დანარჩები კაბინეტისგან.
სტანდარტი №4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	**რჩევა**
ინდიკატორი №.		

სტანდარტი №2	**სასკოლო კურიკულუმი**	**რჩევა**
	დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	
ინდიკატორი №2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში შუალედური მიზნის/დავალების იდეის გრაფაში დაკონკრეტდეს და მკაფიოდ ჩანდეს, თუ რა შემოქმედებით პროდუქტზე უნდა იმუშაოს მოსწავლემ. მაგალითად: ეს შეიძლება იყოს პოსტერი, სტატია, დღიური, ვიდეორგოლის მომზადება და ა.შ. სასურველია, მოსწავლეებს კარგად ჰქონდეთ გააზრებული დავალების განხორციელების პროცესში რას ქმნიან და როგორ წარმოაჩენენ ამ პროდუქტების საშუალებით შესასწავლი საკითხების ცოდნას.

ინდიკატორი №2.1.2.2.	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	**ქართული ენა და ლიტერატურა** კურიკულუმებში (II-III კლასები) დაკონკრეტეთ კონკრეტული დავალებით რომელი სამიზნე ცნებამუშავდება. ასევე გამოყავით ამავე ცნების კონკრეტული ქვეცნებები.
	საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	
ინდიკატორი №2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** სასურველია საბაზო საფეხურის კურიკულუმებში კონტექსტმაგალითებისა და კომპლექსური დავალებების იდეების უფრო დეტალურად წარმოდგენა, განსაკუთრებით მოსწავლის მიერ შესაქმნელი პროდუქტის, სამუშაო ეტაპებისა და კომპონენტების მიმართულებით. **საზოგადოებრივი მეცნიერებები** ცალკეულ საგნებში საბაზო საფეხურზე („მე და საზოგადოება“, „ჩვენი საქართველო“, გეოგრაფია, ისტორია, მოქალაქეობა) კურიკულუმები სრულყოფილია, სასურველია დაიგეგმოს ისეთი შემოქმედებითი ტიპის დავალებები, რომლებიც რამდენიმე საგნის სამიზნე ცნებებს გააერთიანებს. მაგალითად, პროექტი „მდგრადი განვითარება კოლხეთის დაბლობზე“ შეიძლება ერთდროულად ფარავდეს გეოგრაფიის (ეკოსისტემები), ისტორიის (კოლხეთის სამეფო) და მოქალაქეობის (გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა) საკითხებს.
ინდიკატორი №2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** სასურველია საბუნებისმეტყველო საგნობრივ კურიკულუმებში უფრო სისტემურად და თანმიმდევრულად გაიწეროს ქვეცნებები, კერძოდ, VII ბიოლოგიაში. **ესთეტიკური აღზრდა**

		სასურველია, საბაზო საფეხურზე, მუსიკის საგნის კურიკულუმებში კონკრეტულად მიუთითოთ კონტექსტმაგალითები, რომლებზე დაყრდნობითაც ხორციელდება შემოქმედებითი დავალებები. **სპორტი** სასურველია VIII და IX კლასის კურიკულუმებში თემასთან „ფეხბურთი“ მასწავლებლებმა დაა კორექტირონ დავალების იდეა ისე, რომ უზრუნველყოფდეს თემის ფარგლებში ნასწავლი საკითხების წარმოჩენას. სასურველია VIII კლასის კურიკულუმში მასწავლებლებმა დაა კორექტირონ კონტექსტმაგალითი და დავალების იდეა. **სახელმწიფო ენა** სასურველია, საბაზო საფეხურზე სასწავლო პროცესში უფრო სისტემურად და მიზანმიმართულად ინტეგრირდეს სტრატეგიებზე დაფუძნებული სწავლება, რათა მიმდინარეობდეს არა მხოლოდ სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენება, არამედ მათი უშუალო სწავლება და გააზრებაც. მნიშვნელოვანია, მოსწავლეები ფლობდნენ ინფორმაციის დამუშავების, ტექსტის ანალიზის, დამოუკიდებელი სწავლის, პრობლემის გადაჭრისა და თვითრეგულაციის სტრატეგიებს და შეძლონ მათი სხვადასხვა სასწავლო სიტუაციაში დამოუკიდებლად გამოყენება. ასევე, სასურველია, უფრო აქტიურად განხორციელდეს პროექტული, კვლევითი, შემოქმედებითი, დისკუსიური, თანამშრომლობითი და პრაქტიკულ გამოცდილებაზე დაფუძნებული აქტივობები, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების, კომუნიკაციის, თანამშრომლობისა და დამოუკიდებელი სწავლის უნარების განვითარებას.

ინდიკატორი №2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** სასურველია რესურსების გრაფაში (ბიოლოგია VII კლასი, ფიზიკა VIII კლასი) უფრო კონკრეტულად მიეთითოს გამოყენებული სახელმძღვანელოების შესაბამისი პარაგრაფები, გვერდები, სავარჯიშოები და ზოგ შემთხვევაში დამატებითი ელექტრონული რესურსები. ასევე სასურველია კონტექსტ-მაგალითებსა და კომპლექსურ/შემოქმედებით დავალებებთან დაკავშირებული რესურსების უფრო დეტალურად და მიზნობრივად წარმოდგენა. საბუნებისმეტყველო მიმართულებით პრაქტიკული და ექსპერიმენტული აქტივობების უფრო ეფექტიანად განხორციელების მიზნით სასურველია სკოლამ უზრუნველყოს შესაბამისი ლაბორატორიული სივრცისა და გარემოს ხელმისაწვდომობა. **საზოგადოებრივი მეცნიერებები** კოლხეთის ეროვნული პარკის მსგავსად, გამოიყენეთ სხვა ლოკალური ობიექტებიც მაგ: თბილისის ძველი უბნების ურბანული განვითარება ან ლილოს ბაზრობა, როგორც ეკონომიკური ქეისი, რაც მოსწავლისთვის საკითხს უფრო ახლობელს გახდის. შექმენით „საერთო ქეისების ბანკი“, სადაც ერთი კონკრეტული მოვლენა მაგ: მყინვარების დნობა კავკასიონზე გაანალიზდება როგორც გეოგრაფიული, ისე ეკონომიკური და სამოქალაქო პასუხისმგებლობის კუთხით. ნაცვლად მხოლოდ აღწერისა, ქეისი წარადგინეთ როგორც დილემა. მაგალითად, „ამაზონის ტყეების“ ქეისში მოსწავლეებს დაავალეთ არა მხოლოდ პრობლემის აღწერა ბუკლეტში, არამედ კონკრეტული „გადარჩენის გეგმის“ შემუშავება. გააძლიერეთ როლური თამაშების კომპონენტი. ქეისი უფრო ეფექტურია, როცა მოსწავლე მას მაგ: გარემოსდაცვითი ომბუდსმენის პოზიციიდან განიხილავს.

ინდიკატორი №2.1.2.4.	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** სასურველია საბაზო საფეხურის საბუნებისმეტყველო საგნობრივ კურიკულუმებსა და შესაბამის დოკუმენტაციაში უფრო მკაფიოდ და სისტემურად აისახოს დიფერენცირებული სწავლებისა და რემედიაციის პრაქტიკული მიდგომები, მათ შორის მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების შესაბამისად დაგეგმილი აქტივობების, რესურსებისა და მხარდაჭერის მექანიზმების კონკრეტული მაგალითები.
ინდიკატორი №2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** სასურველია, საბაზო საფეხურების საბუნებისმეტყველო მიმართულებით უფრო სისტემურად წარმოდგენილი იყოს შეფასების პრაქტიკის ამსახველი დოკუმენტაცია, მათ შორის შევსებული რუბრიკები, განმავითარებელი უკუკავშირის მაგალითები, მოსწავლეთა ნამუშევრები და დიფერენცირებული შეფასების პრაქტიკული ნიმუშები. **საზოგადოებრივი მეცნიერებები** კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის სასურველია გამოიყენოთ - მეტაკოგნიტური შეკითხვების ბარათები. მაგალითად, დავალების შუა ეტაპზე მოსწავლემ უნდა უპასუხოს: რა სტრატეგიას ვიყენებ ახლა?, რა დამაბრკოლებს? და რა დამეხმარება წინსვლაში?. ეს დაეხმარება მათ საკუთარი სწავლის მართვაში. ხშირად სოლო-ტაქსონომიის ენა მოსწავლისთვის რთულია. კარგი იქნება, თუ შექმნით რუბრიკების „მოსწავლის ვერსიას“ მარტივი ენით, რათა მათ ზუსტად იცოდნენ, რას მოელიან მათგან მაგ: მე შემიძლია დავაკავშირო ამაზონის ტყეების გაჩეხვა გლობალურ დათბობასთან, რადგან სკოლაში ბევრი შემოქმედებითი პროდუქტი იქმნება (SWOT ანალიზი, ბუკლეტები),

		კარგი იქნება „პროგრესის პორტფოლიოს“ წარმოება (ციფრული ან ფიზიკური). ეს საშუალებას მოგცემთ, წლის ბოლოს შეაფასოთ არა მხოლოდ ცალკეული ნიშანი, არამედ მოსწავლის განვითარების დინამიკა.
ინდიკატორი №2.2.1.1.	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** სასურველია საბაზო საფეხურზე უფრო სისტემურად იყოს წარმოდგენილი სასწავლო პროცესის პრაქტიკული განხორციელების ამსახველი დოკუმენტაცია, მათ შორის განხორციელებული პროექტების, ინტეგრირებული აქტივობების, პრაქტიკული სამუშაოების, მოსწავლეთა ნამუშევრებისა და შედეგების ანალიზის კონკრეტული მაგალითები.
ინდიკატორი №2.2.1.3.	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** სასურველია საბაზო საფეხურზე უფრო სისტემურად იყოს წარმოდგენილი შეფასების პრაქტიკის განხორციელებისა და ვერიფიკაციის ამსახველი დოკუმენტაცია.
ინდიკატორი №2.2.2.1.	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში	სასურველია საბაზო საფეხურზე რესურსების გრაფაში უფრო კონკრეტულად მიეთითოს გამოყენებული სახელმძღვანელოების შესაბამისი პარაგრაფები, გვერდები, სავარჯიშოები და დამატებითი ელექტრონული რესურსები. ასევე სასურველია უფრო სისტემურად იყოს წარმოდგენილი რესურსების პრაქტიკული გამოყენების ამსახველი დოკუმენტაცია. საბუნებისმეტყველო მიმართულებით პრაქტიკული და ექსპერიმენტული აქტივობების უფრო ეფექტიანად განხორციელების მიზნით სასურველია სკოლამ უზრუნველყოს შესაბამისი ლაბორატორიული სივრცისა და გარემოს ხელმისაწვდომობა.

ინდიკატორი №2.2.2.2.	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** სასურველია საბაზო საფეხურზე უფრო სისტემურად იყოს წარმოდგენილი დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევის, შეფასებისა და ვალიდაციის პროცესის ამსახველი დოკუმენტაცია.
	საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	
ინდიკატორი №2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** სასურველია საშუალო საფეხურის კურიკულუმებში კონტექსტმაგალითებისა და კომპლექსური დავალებების იდეების უფრო დეტალურად წარმოდგენა, განსაკუთრებით მოსწავლის მიერ შესაქმნელი პროდუქტის, სამუშაო ეტაპებისა და კომპონენტების მიმართულებით. **საზოგადოებრივი მეცნიერებები** ცალკეულ საგნებში საშუალო საფეხურზე (გეოგრაფია, ისტორია, მოქალაქეობა) კურიკულუმები სრულყოფილია, სასურველია დაიგეგმოს ისეთი შემოქმედებითი ტიპის დავალებები, რომლებიც რამდენიმე საგნის სამიზნე ცნებებს გააერთიანებს. მაგალითად, პროექტი „მდგრადი განვითარება კოლხეთის დაბლობზე“ შეიძლება ერთდროულად ფარავდეს გეოგრაფიის (ეკოსისტემები), ისტორიის (კოლხეთის სამეფო) და მოქალაქეობის (გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა) საკითხებს.
ინდიკატორი №2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	**ს ა ბ უ ნ ე ბ ი ს მ ე ტ ყ ვ ე ლ ო მეცნიერებები** ს ა ს უ რ ვ ე ლ ი ა ს ა ბ უ ნ ე ბ ი ს მ ე ტ ყ ვ ე ლ ო ს ა გ ნ ო ბ რ ი ვ კ უ რ ი კ უ ლ უ მ ე ბ შ ი უ ფ რ ო ს ი ს ტ ე მ უ რ ა დ და თ ა ნ მ ი მ დ ე ვ რ უ ლ ბ დ გ ა ი წ ე რ ო ს ქ ვ ე ც ნ ე ბ ე ბ ი, გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ ი თ XII კ ლ ბ ს ი ს ბ ი ო ლ ო გ ი ა ს ა და XI–XII კ ლ ბ ს ე ბ ი ს ფ ი ზ ი კ ა შ ი.

		საზოგადოებრივი მეცნიერებები კარგი იქნება, თუ კომპლექსურ დავალებებში გაიზრდება ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება. მაგალითად, X-XI კლასებში სლიდშოუების ნაცვლად, მოსწავლეებმა შექმნან პოდკასტები, ბლოგები ან ინტერაქციული რუკები აქტუალურ სოციალურ პრობლემებზე.
ინდიკატორი №2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** სასურველია რესურსების გრაფაში (ბიოლოგია XII კლასები, ფიზიკა X და XI კლასები) უფრო კონკრეტულად მიეთითოს გამოყენებული სახელმძღვანელოების შესაბამისი პარაგრაფები, გვერდები, სავარჯიშოები და ზოგ შემთხვევაში დამატებითი ელექტრონული რესურსები. ასევე სასურველია კონტექსტ-მაგალითებსა და კომპლექსურ/შემოქმედებით დავალებებთან დაკავშირებული რესურსების უფრო დეტალურად და მიზნობრივად წარმოდგენა. საბუნებისმეტყველო მიმართულებით პრაქტიკული და ექსპერიმენტული აქტივობების უფრო ეფექტიანად განხორციელების მიზნით სასურველია სკოლამ უზრუნველყოს შესაბამისი ლაბორატორიული სივრცისა და გარემოს ხელმისაწვდომობა. **საზოგადოებრივი მეცნიერებები** კოლხეთის ეროვნული პარკის მსგავსად, გამოიყენეთ სხვა ლოკალური ობიექტებიც მაგ: თბილისის ძველი უბნების ურბანული განვითარება ან ლილოს ბაზრობა, როგორც ეკონომიკური ქეისი, რაც მოსწავლისთვის საკითხს უფრო ახლობელს გახდის. შექმენით „საერთო ქეისების ბანკი“, სადაც ერთი კონკრეტული მოვლენა მაგ: მყინვარების დნობა კავკასიონზე გაანალიზდება როგორც გეოგრაფიული, ისე ეკონომიკური და სამოქალაქო პასუხისმგებლობის კუთხით. ნაცვლად მხოლოდ აღწერისა, ქეისი წარადგინეთ როგორც დილემა. მაგალითად, „ამაზონის ტყეების“

		ქეისში მოსწავლეებს დაავალეთ არა მხოლოდ პრობლემის აღწერა ბუკლეტში, არამედ კონკრეტული „გადარჩენის გეგმის“ შემუშავება. გააძლიერეთ როლური თამაშების კომპონენტი. ქეისი უფრო ეფექტურია, როცა მოსწავლე მას მაგ: გარემოსდაცვითი ომბუდსმენის პოზიციიდან განიხილავს.
ინდიკატორი №2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** სასურველია, საშუალო საფეხურის საბუნებისმეტყველო საგნობრივ კურიკულუმებსა და შესაბამის დოკუმენტაციაში უფრო მკაფიოდ და სისტემურად აისახოს დიფერენცირებული სწავლებისა და რემედიაციის პრაქტიკული მიდგომები, მათ შორის მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების შესაბამისად დაგეგმილი აქტივობების, რესურსებისა და მხარდაჭერის მექანიზმების კონკრეტული მაგალითები. **სპორტი** სასურველია მე-12 კლასის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში მასწავლებელმა ყველა სამიზნე ცნების მიმართ აღწეროს მოსწავლის ცოდნის აქტუალური დონე, გრძელვადიანი მიზნები და შესაბამისად ყველა სამიზნე ცნების მიმართ აღწეროს პროგრესის შეფასება. ასევე სასურველია მიუთითოს რა საგანმანათლებლო რესურსებს იყენებს შუალედური მიზნების განსახორციელებლად.
ინდიკატორი №2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** სასურველია საშუალო საფეხურების საბუნებისმეტყველო მიმართულებით უფრო სისტემურად წარმოდგენილი იყოს შეფასების პრაქტიკის ამსახველი დოკუმენტაცია, მათ შორის შევსებული რუბრიკები, განმავითარებელი უკუკავშირის მაგალითები, მოსწავლეთა ნამუშევრები და დიფერენცირებული შეფასების პრაქტიკული ნიმუშები. **საზოგადოებრივი მეცნიერებები**

		კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის სასურველია გამოიყენოთ - მეტაკოგნიტური შეკითხვების ბარათები. მაგალითად, დავალების შუა ეტაპზე მოსწავლემ უნდა უპასუხოს: რა სტრატეგიას ვიყენებ ახლა?, რა დამაბრკოლებს? და რა დამეხმარება წინსვლაში?. ეს დაეხმარება მათ საკუთარი სწავლის მართვაში. ხშირად სოლო-ტაქსონომიის ენა მოსწავლისთვის რთულია. კარგი იქნება, თუ შექმნით რუბრიკების „მოსწავლის ვერსიას“ მარტივი ენით, რათა მათ ზუსტად იცოდნენ, რას მოელიან მათგან მაგ: მე შემიძლია დავაკავშირო ამაზონის ტყეების გაჩეხვა გლობალურ დათბობასთან, რადგან სკოლაში ბევრი შემოქმედებითი პროდუქტი იქმნება (SWOT ანალიზი, ბუკლეტები), კარგი იქნება „პროგრესის პორტფოლიოს“ წარმოება (ციფრული ან ფიზიკური). ეს საშუალებას მოგცემთ, წლის ბოლოს შეაფასოთ არა მხოლოდ ცალკეული ნიშანი, არამედ მოსწავლის განვითარების დინამიკა.
ინდიკატორი №2.2.1.1.	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** სასურველია საშუალო საფეხურზე უფრო სისტემურად იყოს წარმოდგენილი სასწავლო პროცესის პრაქტიკული განხორციელების ამსახველი დოკუმენტაცია, მათ შორის განხორციელებული პროექტების, ინტეგრირებული აქტივობების, პრაქტიკული სამუშაოების, მოსწავლეთა ნამუშევრებისა და შედეგების ანალიზის კონკრეტული მაგალითები.
ინდიკატორი №2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** სასურველია საშუალო საფეხურზე უფრო სისტემურად იყოს წარმოდგენილი შეფასების პრაქტიკის განხორციელებისა და ვერიფიკაციის ამსახველი დოკუმენტაცია.
ინდიკატორი №2.2.2.1.	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**

	რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში	სასურველია საშუალო საფეხურზე რესურსების გრაფაში უფრო კონკრეტულად მიეთითოს გამოყენებული სახელმძღვანელოების შესაბამისი პარაგრაფები, გვერდები, სავარჯიშოები და დამატებითი ელექტრონული რესურსები. ასევე სასურველია უფრო სისტემურად იყოს წარმოდგენილი რესურსების პრაქტიკული გამოყენების ამსახველი დოკუმენტაცია. საბუნებისმეტყველო მიმართულებით პრაქტიკული და ექსპერიმენტული აქტივობების უფრო ეფექტიანად განხორციელების მიზნით სასურველია სკოლამ უზრუნველყოს შესაბამისი ლაბორატორიული სივრცისა და გარემოს ხელმისაწვდომობა.
ინდიკატორი №2.2.2.2	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** სასურველია საშუალო საფეხურზე უფრო სისტემურად იყოს წარმოდგენილი დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევის, შეფასებისა და ვალიდაციის პროცესის ამსახველი დოკუმენტაცია.
	დაწყებითი/საბაზო/საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	
ინდიკატორი №2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	**უცხოური ენები** სასწავლო წლის დასაწყისში, უცხოური ენების კათედრამ დაადგინოს დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე სასწავლო წლის განმავლობაში განსახორციელებელი პროექტული ტიპის დავალება და შესაბამისად ყველა კურიკულუმში წარმოადგინოს დადგენილი დავალებების რაოდენობა. **ესთეტიკური აღზრდა** სასურველია, ესთეტიკური აღზრდის სამივე საფეხურის კურიკულუმების თავფურცელში გაიწეროს სკოლის სრული დასახელება, სასწავლო წელი ,გრიფირებული სახელმძღვანელო,

		გარდა გამომცემლობისა, ავტორების სრული შემადგენლობის დასახელებით და მასწავლებლების ვინაობა. დაწყებითი საფეხურის ხელოვნების კურიკულუმებში მიეთითოს თემატური ბლოკები. **სახელმწიფო ენა** სასურველია, მასწავლებლებმა სასწავლო პროცესში უფრო აქტიურად გამოიყენონ აქტივობებისა და მეთოდების მრავალფეროვანი ფორმები-პროექტები, კომპლექსური და შემოქმედებითი დავალებები, კვლევითი სამუშაოები, დისკუსიები, თანამშრომლობითი აქტივობები და პრაქტიკული დავალებები. მსგავსი მიდგომები სასწავლო პროცესს უფრო საინტერესოს, დინამიკურსა და მოსწავლეზე მორგებულს გახდის, გაზრდის მოსწავლეთა მოტივაციასა და ჩართულობას, ასევე ხელს შეუწყობს როგორც საგნობრივი ცოდნის, ისე მნიშვნელოვანი გამჭოლი უნარების განვითარებას.
ინდიკატორი №2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	**უცხოური ენები** სამომავლოდ, უცხოური ენების კათედრა, კურიკულუმების შემუშავებისას იხელმძღვანელოს ეროვნული სასწავლო გეგმის ბოლო რედაქციის დოკუმენტით, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება ავტორიზებულ ვებგვერდებზე.
ინდიკატორი №2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	**სახელმწიფო ენა** სასურველია, მასწავლებლებმა სასწავლო პროცესში უფრო აქტიურად გამოიყენონ აქტივობებისა და მეთოდების მრავალფეროვანი ფორმები-პროექტები, კომპლექსური და შემოქმედებითი დავალებები, კვლევითი სამუშაოები, დისკუსიები, თანამშრომლობითი აქტივობები და პრაქტიკული დავალებები. მსგავსი მიდგომები

		სასწავლო პროცესს უფრო საინტერესოს, დინამიკურსა და მოსწავლეზე მორგებულს გახდის, გაზრდის მოსწავლეთა მოტივაციასა და ჩართულობას, ასევე ხელს შეუწყობს როგორც საგნობრივი ცოდნის, ისე მნიშვნელოვანი გამჭოლი უნარების განვითარებას. **მათემატიკა** სასურველი იქნებოდა მეტი ყურადღება გამახვილებულიყო მრავალფეროვან რესურსებზე და უფრო მეტი ყურადღება გამახვილდეს კათედრის მუშაობის ეფექტურობაზე. **ტექნოლოგიები** დოკუმენტების სატიტულო ან საინფორმაციო ნაწილში მკაფიოდ აისახოს სკოლის იდენტიფიკატორი (დასახელება), სასწავლო წელი და კონკრეტული საგნის მასწავლებლის მონაცემები.
ინდიკატორი №2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	**სახელმწიფო ენა** სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებისთვის მნიშვნელოვანია, რომ სკოლაში გამოყენებული იყოს მრავალფეროვანი და მიზნობრივად შერჩეული რესურსები. მხოლოდ ერთი ტიპის რესურსზე ორიენტირება ვერ უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის ინტერესებისა და საჭიროებების სრულად გათვალისწინებას. გარკვეულ კლასებში აუდიო და ვიდეო რესურსები ნაკლებად იყო გამოყენებული, ზოგ შემთხვევაში კი წარმოდგენილი იყო მხოლოდ ერთგვარი სასწავლო მასალა. სასურველია, ყველა საგანსა და კლასში თანაბრად დაინერგოს სხვადასხვა სახის რესურსი — ტექსტური, ვიზუალური, ელექტრონული, აუდიო და ვიდეო მასალები. თანამედროვე ციფრული რესურსების გამოყენება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ისინი ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციის ზრდას,

		სასწავლო მასალის უკეთ აღქმასა და სხვადასხვა სასწავლო საჭიროების მქონე მოსწავლეების მხარდაჭერას. რეკომენდებულია ასევე მასწავლებლებს შორის თანამშრომლობის გაძლიერება რესურსების შერჩევისა და შექმნის მიმართულებით, გამოცდილების გაზიარება და ეფექტური პრაქტიკის გავრცელება, რაც სასწავლო პროცესს უფრო მრავალფეროვანს, მოსწავლეზე ორიენტირებულსა და ეფექტიანს გახდის. **მათემატიკა** კურიკულუმის გადამუშავებისას, პირველ რიგში, რესურსების მრავალფეროვნებაზე გაკეთდეს უნდა აქცენტი. რაც უფრო მეტი სახის რესურსს გამოიყენებთ, სასწავლო პროცესი მით უფრო საინტერესო გახდება, რაშიდაც კათედრის ფუნქციური მუშაობა დაეხმარება მასწავლებლებს.
ინდიკატორი №2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** სასურველია კომპლექსური დავალების პირობა იყოს „მოქნილი“ და ითვალისწინებდეს მოსწავლეთა სხვადასხვა შესაძლებლობებს. მაგალითად, ნაცვლად მხოლოდ ბუკლეტისა (რომელიც წერით უნარებს მოითხოვს), მოსწავლეს მიეცეს არჩევანი: შექმნას ბუკლეტი, ჩაწეროს მოკლე აუდიო-ინტერვიუ ან მოამზადოს ვიზუალური პლაკატი/კოლაჟი. ეს დაეხმარება მათ, ვისაც ტექსტის წერა უჭირს, თუმცა კარგად ფლობს ვიზუალურ ან ვერბალურ კომუნიკაციას. შემაჯამებელი ტესტების შედგენისას როგორც ეს რემედიაციის გეგმაშია, კარგი იქნება კითხვების დიფერენცირება სირთულის მიხედვით მარტივიდან რთულისკენ, რათა დაბალი აკადემიური მოსწრების მოსწავლემ არ დაკარგოს მოტივაცია და შეძლოს საკუთარი კომპეტენციის ჩვენება. **სახელმწიფო ენა**

		სასურველია, დიფერენცირებული აქტივობების დაგეგმვისას თითოეულ მიმართულებას (არჩევით დავალებას) თან ახლდეს მკაფიო აღწერა, ინსტრუქცია და შესაბამისი შეფასების კრიტერიუმები. მნიშვნელოვანია, მოსწავლეს ჰქონდეს ზუსტი და გასაგები წარმოდგენა იმის შესახებ, თუ რა ტიპის დავალება უნდა შეასრულოს, რა ფორმატითაა მოსალოდნელი სამუშაოს წარმოდგენა და რა სპეციფიკური მოთხოვნების გათვალისწინებაა აუცილებელი. ამასთანავე, შეფასების კრიტერიუმების წინასწარ განსაზღვრა (თითოეული არჩევითი დავალებისთვის) და მოსწავლეებისთვის გაზიარება ხელს უწყობს სასწავლო პროცესის გამჭვირვალობასა და სამართლიანობას. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში სასურველია მკაფიოდ და კონკრეტულად იყოს წარმოდგენილი შესაბამისი საფეხურის სამიზნე ცნებები, რათა ნათლად გამოიკვეთოს, რა მიმართულებებზე მიმდინარეობს მუშაობა. ასევე მნიშვნელოვანია, თითოეულ სამიზნე ცნებასთან მიმართებით აღწერილი იყოს მოსწავლის არსებული ცოდნა, უნარები და მზაობის დონე, რაც დაეხმარება მასწავლებელს სასწავლო პროცესის სწორად დაგეგმვასა და მოსწავლის პროგრესზე ეფექტურ დაკვირვებაში.
ინდიკატორი №2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	**სახელმწიფო ენა** შეფასების კრიტერიუმების გაწერისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს თავად დავალების პირობას — მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული, რას ვითხოვთ მოსწავლისგან და რა ტიპის უნარების წარმოჩენას ველოდებით მისგან. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ესეს/თხზულების/„თემის“ წერის შეფასებისას, რადგან მსგავსი დავალებები მხოლოდ ფაქტობრივი ცოდნისა და სტრუქტურის გადამოწმებას არ ემსახურება; ისინი მოსწავლის აზროვნების, მსჯელობის, ანალიზისა და საკუთარი დამოკიდებულების

		გამოხატვის უნარს ავლენს. ამიტომ საჭიროა ამ მიმართულებით კრიტერიუმების გაწერისას გავითვალისწინოთ შესაბამისი ცნებები ეროვნული სასწავლო გეგმიდან. **მათემატიკა** კარგი იქნება, თუ შეფასების რუბრიკები კიდევ უფრო კონკრეტული გახდება.
ინდიკატორი №2.2.1.1.	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად	**მათემატიკა** სასწავლო პროცესის კიდევ უფრო ეფექტიანად წარმართვისთვის სასურველია, კათედრაზე გაძლიერდეს თანამშრომლობა და პროფესიული კომუნიკაცია. მნიშვნელოვანია, სწავლების მეთოდებსა და მიდგომებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები მიიღებოდეს ერთობლივი მსჯელობისა და გამოცდილების გაზიარების საფუძველზე, რაც სასწავლო გარემოს კიდევ უფრო ხარისხიანსა და შედეგზე ორიენტირებულს გახდის. **სახელმწიფო ენა** შეფასების კრიტერიუმების შემუშავების პროცესში სასურველია, უფრო დეტალურად განისაზღვროს თითოეული დავალების მიზანი, შინაარსი და მოსწავლისგან მოსალოდნელი შედეგები. კრიტერიუმები მკაფიოდ უნდა ასახავდეს, კონკრეტულად რა ცოდნის, უნარისა და კომპეტენციის წარმოჩენას ითხოვს დავალება, რათა შეფასების პროცესი იყოს თანმიმდევრული, გამჭვირვალე და ობიექტური. განსაკუთრებული ყურადღება საჭიროა წერითი დავალებების - ესეს, თხზულებისა და ე.წ.„თემის“-შეფასებისას. სასურველია, კრიტერიუმებში მხოლოდ შინაარსობრივი სიზუსტე და ფორმალური მხარეები არ იყოს გათვალისწინებული, არამედ ცალკე კომპონენტებად გამოიკვეთოს: • ანალიზისა და მსჯელობის სიღრმე; • არგუმენტაციის ხარისხი;

		• დასკვნების დასაბუთება; • მაგალითებისა და დეტალების გამოყენება; • დამოუკიდებელი აზროვნებისა და პოზიციის ჩამოყალიბების უნარი. მნიშვნელოვანია შეფასების რუბრიკებში აისახოს ტექსტის ორგანიზებისა და სტილური გამართულობის კომპონენტებიც- რამდენად ლოგიკურად და თანმიმდევრულად არის გადმოცემული აზრი, რამდენად გასაგებია ტექსტი მკითხველისთვის და რამდენად შეესაბამება აკადემიური წერის მოთხოვნებს. სასურველია, წერითი ნამუშევრების შეფასებისას დამატებით გამოიყოს ორთოგრაფიისა და პუნქტუაციის კრიტერიუმებიც, რადგან გამართული წერითი კულტურა მოსწავლის საკომუნიკაციო უნარის მნიშვნელოვანი ნაწილია და ხელს უწყობს აზრის მკაფიო გადმოცემას. შეფასების კრიტერიუმების უფრო მრავალმხრივი და დეტალური გაწერა უზრუნველყოფს მოსწავლის ცოდნისა და უნარების სრულფასოვან შეფასებას, ასევე დაეხმარება როგორც მასწავლებელს შეფასების ობიექტურად განხორციელებაში, ისე მოსწავლეს — საკუთარი ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების უკეთ გააზრებაში. **მათემატიკა** სასურველია, შეფასების რუბრიკები წინასწარ შემუშავდეს და თემის დაწყებისთანავე გაეცნოთ მოსწავლეებს. ასევე, მნიშვნელოვანია, კრიტერიუმები იყოს მარტივი, გასაგები და მოსწავლეებისთვის ადვილად აღსაქმელი. **საზოგადოებრივი მეცნიერებები** სასურველია კათედრაზე შეიქმნას „ციფრული რესურსების საერთო ბაზა“, სადაც მასწავლებლები გაუზიარებენ ერთმანეთს მათ მიერ შექმნილ დამხმარე მასალებს (პრეზენტაციები, სამუშაო

		ფურცლები, ინტერაქციული ტესტები). ეს დაზოგავს დროს და გააუმჯობესებს რესურსების ხარისხს მთელი სკოლის მასშტაბით. ასევე, კარგი იქნება AI ინსტრუმენტების მაგ: NotebookLM ან საძიებო სისტემები გამოყენება ქეისების მოსამზადებლად, რათა მოსწავლეებმა შეძლონ უფრო რთული მონაცემების ანალიზი. **უცხოური ენები** სამომავლოდ, უცხოური ენების კათედრა, სასწავლო წლის დასაწყისში შეიმუშაოს დამხმარე რესურების ნუსხა, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება ყველა მასწავლებლისათვის.
ინდიკატორი №2.2.2.2.	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას	**უცხოური ენები** სამომავლოდ, სკოლამ შეიმუშავოს დოკუმენტი დამხმარე რესურსების ვალიდაციის შესახებ და ახალი სასწავლო წლის დაგეგმვისას, დამხმარე რესურსების შერჩევისას გაითვალისწინებს მას. **ესთეტიკური აღზრდა** სასურველია, რესურსის შერჩევა ხდებოდეს დოკუმენტურად და მკაფიოდ ჩანდეს სკოლის მიერ შემუშავებული წესები,რაც უზრუნველყოფს სასწავლო რესურსის ვალიდურობას. **სახელმწიფო ენა** სკოლისთვის მნიშვნელოვანია სასწავლო რესურსების მრავალფეროვანი და სისტემური გამოყენება, რადგან მხოლოდ ერთ ტიპზე დამოკიდებულება ვერ უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის საჭიროების დაკმაყოფილებას. ზოგიერთ კლასში ნაკლებად იყო აუდიო-ვიდეო რესურსები წარმოდგენილი, ზოგან კი მხოლოდ ერთი ტიპის რესურსი იყო მითითებული. სასურველია, სკოლამ ყველა საფეხურსა და საგანში თანაბრად დანერგოს მრავალფეროვანი რესურსები — ბეჭდური, ვიზუალური, აუდიო, ვიდეო და ციფრული მასალები. განსაკუთრებით

		მნიშვნელოვანია თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ციფრული რესურსების გამოყენება, რადგან ისინი ზრდის მოსწავლეთა ინტერესს, აუმჯობესებს ინფორმაციის აღქმას და ხელს უწყობს განსხვავებული სწავლის სტილის მქონე მოსწავლეების მხარდაჭერას. **ტექნოლოგიები** სასურველია, კომპიუტერული ტექნოლოგიების ფარგლებში, სკოლამ/კათედრამ შექმნას „ციფრული რესურსების ვალიდაციის ელექტრონული ჟურნალი/ბაზა“. მასში მასწავლებლები ასახავენ გამოყენებულ ონლაინ პლატფორმების, პროგრამებისა თუ ბმულების მოკლე ტექნიკურ და შინაარსობრივ შეფასებას (მაგ: ინტერნეტის საჭიროება, რეგისტრაციის მოთხოვნა, სირთულის დონე). ეს დაეხმარება სკოლას, დროულად მოახდინოს მოძველებული ან ტექნიკურად შეუსაბამო ციფრული რესურსების იდენტიფიცირება და ჩანაცვლება ახალი, უფრო ეფექტური ინსტრუმენტებით.
ინდიკატორი №2.2.2.3	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	**ესთეტიკური აღზრდა** სასურველია, სკოლამ შემოქმედებითი აქტივობების მეტი ეფექტიანობის მიზნით აღჭურვოს კათედრის ყველა მასწავლებელი საჭირო რაოდენობის მატერიალურ-ტექნიკური რესურსით.

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

სსიპ დიმიტრი უზნაძის სახელობის ქალაქ თბილისის №22 საჯარო სკოლამ გაიზიარა და გაითვალისწინა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტში გამოთქმული შენიშვნა და რჩევები.

1.ვიზიტის დროს სკოლას ჰქონდა ხარვეზი, კერძოდ, ვერ წარმოდგინა საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესების აღმწერი დოკუმენტი.

არგუმენტირებულ პოზიციაში სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც ის 2026 წლის სექტემბრამდე, მოახდენს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესების იდენტიფიცირებას, აღწერასა და დოკუმენტის დამტკიცებას. ამდენად, ექსპერტებმა ჩათვალეს, რომ **ინდიკატორი №3.3.1.2 მეტწილად დაკმაყოფილებულია და გასცა რეკომენდაცია: სკოლამ 2026 წლის სექტემბრამდე უნდა აღწეროს** სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები.

2. ვიზიტის დროს სკოლას არ ჰქონდა საგანგებო სიტუაციების სამსახურთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმაში სკოლამ აღნიშნა, რომ 2027 წლის ივნისამდე, საგანგებო სიტუაციების სამსახურთან შეათანხმებს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმას.

ვიზიტის დროს სკოლის მიერ წარმოდგენილი სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული ექსპერტიზის დასკვნისა და სკოლის წარმომადგენლების განმარტებით, სკოლის შენობის პირველი კორპუსი არის ავარიულ მდგომარეობაში და მასში შეუძლებელია სასწავლო პროცესის განხორციელება. სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციაში გამოგზავნილ შესაბამისობის გეგმაში აღნიშნა, რომ 2028 წლის ივნისამდე უზრუნველყოფს პირველი სასწავლო კორპუსის აღდგენა-რეაბილიტაციას.

სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შენობის შესაბამისობის დადგენის მიზნით სკოლამ მიმართა შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სსიპ სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს, ასევე თვითშეფასების წარმოდგენისას გამოგზავნილ შესაბამისობის გეგმაში სკოლამ აღნიშნა, რომ 2027 წლის 5 მარტამდე უფლებამოსილი ორგანოსგან/პირისგან მიიღებს დასკვნას სახანძრო უსაფრთხოების ინსტრუქციის შესახებ. **ამდენად, ექსპერტთა ჯგუფმა მიიჩნია, რომ ინდიკატორი №3.4.1.1. ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია და გასცა რეკომენდაცია:**

ა) სკოლამ შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში, 2027 წლის ივნისამდე, საგანგებო სიტუაციების სამსახურთან უნდა შეათანხმოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.

ბ) სკოლამ შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში, 2028 წლის ივნისამდე, უნდა ჩაატაროს პირველი სასწავლო კორპუსის აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოები.

გ) სკოლამ შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში, 2027 წლის 5 მარტამდე, უფლებამოსილი ორგანოსგან/პირისგან უნდა მიიღოს დასკვნა სახანძრო უსაფრთხოების ინსტრუქციის შესახებ.

3. ვიზიტის დროს ვერ მოხერხდა სკოლის შენობაში ბიბლიოთეკის დათვალიერება. რადგან ბიბლიოთეკა იყო შენობის იმ ნაწილში, რომელიც ამჯერად გადაკეტილია ავარიულობის გამო. არგუმენტირებული პოზიციის დროს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, სკოლა ფიქრობს, რომ 2026 წლის ოქტომბრამდე შეძლებს სკოლის შენობაში ბიბლიოთეკის მოწყობას. ექსპერტებმა ჩათვალეს, რომ **ინდიკატორი №3.5.1.3. მეტწილად დაკმაყოფილებულია** და გასცეს რეკომენდაცია: სკოლამ შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში, 2026 წლის ოქტომბრამდე, სკოლის შენობაში უნდა მოაწყოს ბიბლიოთეკა.

4. სკოლაში არ არის ინკლუზიური გარემო. 4-სართულიან შენობაში დამონტაჟებული არაა პანდუსი/ლიფტი. არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, სკოლა გეგმავს 2028 წლის ივნისამდე სკოლის შენობაში ადაპტირებული გარემოს შექმნას, კერძოდ მოძრავ პანდუსს ან ლიფტს. ექსპერტებმა ჩათვალეს, რომ **ინდიკატორი №3.5.1.4. ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია** და გასცეს რეკომენდაცია: სკოლამ შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში, 2028 წლის ივნისამდე, სკოლის შენობაში შექმნას ადაპტირებული გარემო: პანდუსი/ლიფტი.

5. სკოლაში ამ ეტაპზე არ ფუნქციონირებს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია. აღნიშნული გარემოება ზღუდავს საბაზო და საშუალო საფეხურებზე კურიკულუმებით გათვალისწინებული კვლევითი, პრაქტიკული და ექსპერიმენტული აქტივობების განხორციელების შესაძლებლობას. სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის თანახმად, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობა დაგეგმილია 2027 წლის ივნისამდე.

ამდენად, ექსპერტებმა ჩათვალეს, რომ ინდიკატორი №2.2.2.3 მეტწილად დაკმაყოფილებულია და გასცეს რეკომენდაცია: საბაზო და საშუალო საფეხურებზე საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმებით გათვალისწინებული პრაქტიკული და კვლევითი აქტივობების სრულფასოვანი განხორციელებისთვის სკოლამ შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში, 2027 წლის ივნისამდე, უნდა მოაწყოს ლაბორატორიული სივრცე.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სკოლის მისია:

ჯანსაღი, უსაფრთხო და პოზიტიურ სასკოლო გარემოში ხარისხიანი განათლებითა და საზოგადოებრივი მეცნიერებების გაძლიერებული სწავლების მხარდაჭერით აღვზარდოთ კონკურენტუნარიანი, გლობალური და ეროვნული ღირებულებების დამცველი მოქალაქეები.

სკოლის ხედვა:

სსიპ დიმიტრი უზნაძის სახელობის ქალაქ თბილისის №22 საჯარო სკოლა შეძლებს მოსწავლეთა აღჭურვას 21-ე საუკუნის კომპეტენციებითა და გლობალურ-ფუნქციური უნარებით, რასაც მივაღწევთ ინოვაციური და ტრადიციული სწავლების მეთოდებით, სტრატეგიებითა და მიდგომებით. კურსდამთავრებულები მეტაკოგნიციის საშუალებით შეძლებენ განათლების უწყვეტ პროცესში ორგანულ ჩართვას, რითაც დასაქმდებიან შრომის ბაზარზე, როგორც საქართველოში, ასევე მსოფლიო მასშტაბით.

სკოლის ღირებულებები:

1.თანამშრომლობა;

2. გუნდურობა;

3. გამჭირვალობა;

4. დემოკრატია;

5. ობიექტურობა;

6. განვითარება და ინოვაციურობა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს

სკოლის მისიასა და ხედვაში კარგად ჩანს, რომ სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი როლი როგორც მოსწავლეებისათვის უსაფრთხო და პოზიტიური სასკოლო გარემოს შექმნაში, სადაც მოსწავლეს საშუალება ექნება მიიღოს ჯანსაღი და ხარისხიანი განათლება და ჩამოყალიბდეს კონკურენტუნარიანი, გლობალური და ეროვნული ღირებულებების დამცველ მოქალაქეებად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით

შესწავლილი დოკუმენტაციის მიხედვით, სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით, კერძოდ, დირექტორის ბრძანებით შექმნილია სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფი, რომელშიც შედიან სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლები: დირექტორის მოადგილე, მასწავლებლები, მშობლები, მოსწავლეები, სულ 10 წევრი. ამასთან, სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის მიხედვით, სტრატეგიული დაგეგმვა იწყება მისიის გადახედვითა და მისი ფორმულირებით. სამუშაო ჯგუფმა, რომელსაც ესწრებოდა 5 წევრი, მათ შორის მასწავლებლები და მშობელი და მოსწავლე, აზრთა გაცვლის შედეგად ჩამოაყალიბა მისიის, ხედვისა და ღირებულებების პროექტი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

რჩევა: სკოლისთვის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების/გადახედვის პროცესი არ უნდა ატარებდეს მხოლოდ ფორმალურ ხასიათს. პროცესები უნდა რეალურად განხორციელდეს და არა მხოლოდ დოკუმენტირებისათვის. აუცილებელია, რომ სკოლამ აღნიშნული პროცესები წარმართოს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში გაწერილი ეტაპების მიხედვით.

4.სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

შესწავლილი დოკუმენტაციის მიხედვით, სამუშაო ჯგუფმა მისიის, ხედვისა და ღირებულებების პროექტი გააცნო სკოლის მასწავლებლებს, მიიღო მათგან უკუკავშირი, მასწავლებელებმა აღნიშნეს, რომ მისია, ხედვა და ღირებულებების პროექტი საინტერესო და მისაღებია. დამრიგებლებმა - საკუთარი კლასების მოსწავლეებსა და მათ მშობლებს მშობელთა კრებებზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

რჩევა: მნიშვნელოვანია, სკოლისთვის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების/გადახედვის პროცესი არ ატარებდეს მხოლოდ ფორმალურ ხასიათს. პროცესები რეალურად განხორციელდეს და არა მხოლოდ დოკუმენტირებისათვის. ასევე, აუცილებელია, რომ სკოლამ აღნიშნული პროცესები წარმართოს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში გაწერილი ეტაპების მიხედვით.

5. სკოლის მისია და ხედვა ყველასათვის საჯაროა და ხელმისაწვდომი. სკოლის მისია განთავსებულია სკოლის შესასვლელ ფოიეში და სკოლის ვებგვერდზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლის სახელწოდება: სსიპ დიმიტრი უზნაძის სახელობის ქალაქ თბილისის №22 საჯარო სკოლა - შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს

სკოლაში დირექტორის 2026 წლის 16 იანვრის №2-08 ბრძანებით დამტკიცებულია სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია. დოკუმენტში განსაზღვრულია დაგეგმვასთან დაკავშირებული ძირითადი მიდგომები, დაგეგმვაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები/პირები, დაგეგმვის პროცესის ფაზები, მონიორინგისა და შეფასების პროცესი. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სტრატეგიული დაგეგმვა უნდა ეფუძნებოდეს სკოლის ორგანიზაციული შესაძლებლობების, გამოწვევებისა და გარემოს ანალიზს, ასევე შრომის ბაზარზე

არსებულ მოთხოვნებს, საერთაშორისო სტანდარტებს, საქართველოს საკანონმდებლო და სხვა ნორმატიული აქტებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს

სკოლის 7 წლიანი სტრატეგიული გეგმა განხილულია სასკოლო საზოგადოების მიერ, შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოსთან და დამტკიცებული სკოლის დირექტორის 2025 წლის 7 ნოემბრის №2-209 ბრძანებით. სკოლის განვითარების 2025-2032 წლების სტრატეგიული გეგმა ეფუძნება სკოლის მისიას. გეგმაში ჩამოყალიბებულია 7 სტრატეგიული მიმართულება/მიზანს:

- სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება;
- ადამიანური რესურსის განვითარება;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;
- უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა;
- სასკოლო საზოგადოების ჩართულობა;
- მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება;
- ორგანიზაციული განვითარება.

თითოეული სტრატეგიული მიმართულება/მიზანი თავის მხრივ, იყოფა ამოცანებად.

გეგმაში წარმოდგენილია მიზნების შესაბამისი ამოცანები, რომლებიც წლების მიხედვითაა გაწერილი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას

სკოლის დირექტორის 2025 წლის 7 ნოემბრის №2-208 ბრძანებით დამტკიცებულია ერთწლიანი 2025-2026 სამოქმედო გეგმა, რომელიც შედგენილია სტრატეგიული გეგმის შესაბამისად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია

2025-2026 წლის სკოლის სამოქმედო გეგმაში გაწერილია სტრატეგიული მიზნების შესაბამისი ამოცანები, ამ ამოცანების შესაბამისად განსახორციელებელი აქტივობები, შესრულების ინდიკატორები და ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დირექტორის 2026 წლის 16 იანვრის №2-08 ბრძანება სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ

- სკოლის დირექტორის 2025 წლის 7 ნოემბრის №2-209 ბრძანება სკოლის განვითარების 2025-2032 წლების სტრატეგიული გეგმის დამტკიცების შესახე

- სკოლის დირექტორის 2025 წლის 7 ნოემბრის №2-208 ბრძანებით დამტკიცებულია ერთწლიანი 2025-2026 სამოქმედო გეგმა

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლისსტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი უზრუნველყოფს სანდო და სასარგებლო იწფორმაციის მოპოვებას სკოლის საქმიანობის შესახებ და ზრდის საზოგადოების წდობას. ასევე, ხელს უწყობს პასუხისმგებელი პირებისა და საზოგადოების დასახული მიზნების განხორციელებაზე ორიენტირებულობას. სტრატეგიის შესრულების მონიტორინგი ხორციელდება დაკვირვებით და შეფასებით, რამდენად არის მიღწეული დაგეგმილი მიზნები და რამდენად ეფექტური იყო მიზნების მიღწევის დასახული გზები. სტრატეგიული/სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორიგსა და შეფასებას ახორციელებს სამეურვეო საბჭო. მონიტორინგისთვის სკოლაში გამოიყენება ანგარიშების წარმოდგენის მეთოდი. სასწავლო წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები წარმოადგენენ წერილობით ანგარიშებს მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ. ყოველი 2 წლის ბოლოს და 7 წლის შესრულებისთანავე სამეურვეო საბჭოს მიერ განიხილება სტრატეგიული გეგმის შესრულების ანგარიშები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით

არ შეფასდა პირველადი ავტორიზაციის გამო.

3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა

არ შეფასდა პირველადი ავტორიზაციის გამო

4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. არ შეფასდა პირველადი ავტორიზაციის გამო.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დირექტორის ბრძანება სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული

სკოლა ხელმძღვანელობს საჯარო სკოლის წესდებით. გარდა ამისა, სკოლას შემუშავებული აქვს თანამდებობრივი ინსტრუქციების დოკუმენტი. ვიზიტის დროს საშტატო განრიგის მიხედვითა და emis- ის ბაზის ამონაწერით, სკოლას ჰყავს დირექტორი, 1 მოადგილე, ბუღალტერი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი, საინფორმაციო მენეჯერი, ექიმი, ფსიქოლოგი, 3 დარაჯი, 1 მუშა, 5 დამლაგებელი, 1 ცეცხლფარეში, სპეცმასწავლებლები, და ასისტენტები და 62 საგნის მასწავლებელი. მათი ფუნქციები გაწერილია დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ თანამდებობრივი ინსტრუქციების დოკუმენტში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას

სკოლის სტრუქტურული ერთეულები: დირექცია, პედსაბჭო, სამეურვეო საბჭო, მრჩეველთა საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმმართველობა, საგნობრივი კათედრები და სხვა სტრუქტურული პირების ფუნქციების აღმწერი დოკუმენტიდან ჩანს, რომ ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა თითოეული სტრუქტურული ერთეულის მუშაობის დამადასტურებელი მტკიცებულებები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დირექტორის ბრძანება თანამდებობრივი ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ
- სკოლის საშტატო განრიგი

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად

სკოლას დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელშიც განხილულია შემდეგი საკითხები: თანამშრომლის მოზიდვა და შერჩევა, კონკურსის ჩატარება და მისი ეტაპები, ახალი თანამშრომლის სოციალიზაცია, შესრულებული სამუშაოს შეფასება, თანამშრომელთა პროფესიული და კარიერული განვითარება, თანამშრომელთა წახალისების მექანიზმები, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა

დოკუმენტში გათვალისწინებულია მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს №274/ნ ბრძანება ,,მასწავლებელის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის შესახებ“. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა

სკოლაში დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი და სკოლის შინაგანაწესი. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში აღნიშნულია, თუ როგორ მოქმედებს სკოლა ვაკანსიის შემთხვევაში, ხოლო შინაგანაწესში აღნიშნულია, რომ წინასწარ ცნობილი მიზეზით, სამუშაო ადგილზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, დასაქმებული ვალდებულია წინასწარ (წინა დღეს, განსაკუთრებულ შემთხვევებში კი სამუშაოს დაწყებამდე მინიმუმ 1 (ერთი) საათით ადრე), გააფრთხილოს სკოლის დირექტორი/დირექტორის მოადგილე გამოუცხადებლობის შესახებ, სამუშაო ადგილზე არყოფნის სავარაუდო პერიოდის თაობაზე, შესაბამისი აუცილებლობისა და მიზეზების მითითებით. ხოლო გადაუდებელი აუცილებლობის (სამედიცინო ან ოჯახური პირობები) გამო სამუშაო ადგილზე გამოუცხადებლობა ან სამუშაო დროის განმავლობაში სამუშაო ადგილის დატოვების შემთხვევაში, დასაქმებული ვალდებულია გონივრულ ვადაში, შესაძლებლობისთანავე აცნობოს სკოლის დირექტორს/დირექტორის მოადგილეს გამოუცხადებლობის/სამუშაო დროის განმავლობაში სამუშაო ადგილის დატოვების შესახებ, შესაბამისი აუცილებლობისა და მიზეზების მითითებით.

რაც შეეხება ინტერვენციულ პოლიტიკას, ამის შესახებ დირექტორის მოადგილემ წარმოადგინა აღწერილობა, თუ როგორ ხდება მასწავლებლის მიერ გაკვეთილის გაცდების შემთხვევაში, მისი ჩანაცვლება, რათა არ დაირღვეს სასწავლო პროცესის უწყვეტობა.

რჩევა: ინტერვენციული პოლიტიკის მექანიზმი სკოლამ გაითვალისწინოს ან სასკოლო სასწავლო გეგმაში, ან შინაგანაწესში ან ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით

სკოლაში პერსონალის მოზიდვა ხორციელდება ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის“ შესაბამისად. ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა რეგულაციის შესაბამისად წარმოებული პროცესის ამსახველი დოკუმენტაცია, კონკურსის ბრძნანებები, საკონკურსო კომისიის ოქმები. პერსონალის პირადი საქმეების გადამოწმებისას აღმოჩნდა, რომ სკოლის ყველა პერსონალს ჰქონდა წარმოდგენილი საქართველოს კანონით ზოგადი განათლების შესახებ (მუხლი 33[1]-ით პერსონალისათვის დადგენილი შეზღუდვა) განსაზღვრული ცნობები „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ და საქართველოს მთავრობის №463 დადგენილებით განსაზღვრული ცნობები

„უფლების ჩამორთმევის შესახებ“, ასევე ცნობა ნასამართლობის შესახებ მასწავლებლების შემთხვევაში (საქართველოს კანონი ,,ზოგადი განათლების შესახებ“, მუხლი 21). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს

სკოლა მასწავლებელთა შერჩევისას ხელმძღვანელობს 2019 წლის 20 აგვისტოს №174/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის'' შესაბამისად, ხოლო სხვა თანამშრომელთა შერჩევისას მის მიერ დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დოკუმენტის შესაბამისად, რომელიც სკოლას გაწერილი აქვს თანამდებობრივი ინსტრუქციების დოკუმენტში.

სკოლას ჰყავს 62 საგნის მასწავლებელი, მათგან 46-ს აქვს უფროსი მასწავლებლის სტატუსი, 14-ს წამყვანის, ხოლო 2-ს მენტორის. სკოლაში დასაქმებულნი არიან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის მასწავლებლები და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტები. სკოლას ჰყავს ექიმი, რომელსაც აქვს პედიატრის სახელმწიფო ლიცენზია.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა სამეურვეო და პედაგოგიური საბჭოების და კათედრების ოქმები, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სტრატეგიული დაგეგმვის შემუშავების რეგულაცია. სკოლაში მუშაობს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, დისციპლინარული კომიტეტი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6.სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი

სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი, რომელიც გაწერილია სკოლის შინაგანაწესში, მე-10 მუხლში აღნიშნულია, წახალისების ფორმების და წახალისების გამოყენების წესი, კერძოდ:

პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის, აგრეთვე განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის და/ან საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულთა მიმართ გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები; ა) მადლობის გამოცხადება; ბ) საპატიო სიგელით დაჯილდოება; გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; დ) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა. დასაქმებულის მიმართ შეიძლება ერთდროულად გამოყენებული იქნეს წახალისების რამდენიმე ფორმა. სკოლამ წარმოადგინა დირექტორის ბრძანებები, რომლებიც ეხებოდა თანამშრომელთათვის წახალისებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დირექტორის ბრძანება თანამდებობრივი ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ
- სკოლის სამეურვეო საბჭოს ოქმი სკოლის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ
- სკოლის დირექტორის ბრძანება თანამშრომლისთვის მადლობის გამოცხადების შესახებ

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმი**

პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმებზე საუბარია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში. მასწავლებლის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენას ახორციელებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელშიც შედიან სკოლის დირექტორი, მოადგილე, სხვადასხვა საგნის წამყვანი და მენტორი მასწავლებლები. სკოლამ ვიზიტის დროს წარმოადგინა ჯგუფის მუშაობის ამსახველი დოკუმენტაცია, საჭიროებათა კვლევის ჩატარების ამსახველი მასალა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად

არ შეფასდა პირველადი ავტორიზაციის გამო.

3.სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას.

სკოლა ხელს უწყოს პერსონალის კარიერულ ზრდას. ვიზიტის დროს წარმოდგენილი იყოს წინა წლებში სკოლის თანამშრომელთა მიერ სხვადასხვა პროფესიული განვითარების ტრენინგკურსებში მონაწილეობის ამსახველი მასალა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის მე-18 მუხლში გაწერილია ახალი თანამშრომლის სოციალიზაციის ეტაპები და ფორმები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5.წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები

სკოლის შინაგანაწესის მე-10 მუხლის მიხედვით, თანამშრომელთა მოტივაციის ამაღლების მიზნით, სკოლა იყენებს წახალისების სხვადასხვა ფორმას: ა) მადლობის გამოცხადება; ბ) სიგელით დაჯილდოება; გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; დ) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა; ე) დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა.

დასაქმებულის მიმართ შეიძლება ერთდროულად გამოყენებული იქნეს წახალისების რამდენიმე ფორმა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დირექტორის ბრძანება სკოლაში ახალი თანამშრომლის სამუშაოზე მიღების, ადაპტაციისა და ინტეგრაციის წესის შესახებ
- სკოლის სამეურვეო საბჭოს ოქმი სკოლის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ
- სკოლის დირექტორის ბრძანება ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის დამტკიცების შესახებ

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლაში შემუშავებულია ,,ხარისხის მართვის უზრუნელყოფის მექანიზმი", რომელშიც აღნიშნულია, რომ სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით სკოლაში მიმდინარეობს სასწავლო პროცესის დაგეგმვა, განხორციელება, მონიტორინგი და შეფასება. ხარისხის შეფასებისა და მისი გაუმჯობესების მიზნით სკოლამ გამოყო 6 მიმართულება: 1. ძირითადი საორგანიზაციო ღონისძიებები, 2. კათედრებთან მუშაობის ორგანიზება, 3. საგანმანათლებლო პროცესის ხელმძღვანელობა; 4. პედაგოგიური კონტროლი საგანმანათლებლო პროცესზე, 5. მშობელთა ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში; 6. სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და სამეურნეო საქმიანნობის გაძლიერება. თითოეულ მიმართულებაზე სკოლას განსაზღვრული აქვს პასუხისმგებელი და შემსრულებელი პირები და შესრულების შედეგი, რომლის მიხედვითაც სკოლა განსაზღვრავს გაუმჯობესების ღონისძიებებს. სკოლაში ასევე შექმნილია მასწავლებელთა ხარისხის განვითარების ჯგუფი, რომელიც აკვირდება საგაკვეთილოს პროცესს და აძლევს რეკომენდაციებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები

ვიზიტის დროს სკოლამ ვერ წარმოადგინა საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესების აღმწერი დოკუმენტი. არგუმენტირებულ პოზიციაში სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმად, სკოლა გეგმავს 2026 წლის სექტემბრამდე, მოახდინოს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესების იდენტიფიცირება და აღწერა და უფლებამოსილი პირის მიერ დამტკიცება. ამდენად, ექსპერტებმა ჩათვალეს, რომ **ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია და გასცა**

რეკომენდაცია: სკოლამ შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში, 2026 წლის სექტემბრამდე, უნდა მოახდინოს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესების იდენტიფიცირება და აღწერა და უფლებამოსილი პირის მიერ დამტკიცება.

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა

სკოლაში მოქმედებს განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი, დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით. დოკუმენტში გაწერილია განცხადებისა და საჩივრის განხილვის ზოგადი წესი და ვადები, დაკონკრეტებულია მასწავლებლის მიერ ვაკანსიის გამოცხადების შემთხვევაში, კონკურსის შედეგების გასაჩივრების წესი, მოსწავლის, მშობლის მიერ საჩივრის გასაჩივრების წესი, შიდასასკოლო გამოცდების გასაჩივრების წესი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები

სკოლაში ცალკე დოკუმენტად შექმნილია ,,მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანოწიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის წესი“, რომელშიც თავმოყრილია შინაგანაწესის, სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი საკითხები, სკოლის პერსონალის, მოსწავლეებისა და მათი მშობლების კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმს წარმოადგენს სკოლის განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი, თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებული ხელშეკრულებები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დირექტორის ბრძანება ,,ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის“ დამტკიცების შესახებ
- სკოლის დირექტორის ბრძანება ,,განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი“
- თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები
- სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებული ხელშეკრულებები

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუთი და მასალებით დადგინდა, სკოლა გარე კომუნიკაციისთვის იყენებს სკოლის ელექტრონულ ფოსტასა და სოციალურ ქსელს. აღნიშნული საშუალებები უზრუნველყოფს ინფორმაციის დროულ გავრცელებასა და უკუკავშირის პროცესების სისწრაფეს. სკოლის ელფოსტითა და ფეისბუქზე სოციალური დახურული ჯგუფებით მასწავლებლები, დამრიგებლები აწვდიან ინფორმაციას საზოგადოებას, მშობლებს, მასწავლებლებს სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებით. შემოსული შეკითხვებს, ინიციატივებსა და შენიშვნებს სკოლა იყენებს შემდგომი განვითარებისთვის. დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი-სკოლის საინფორმაციო მენეჯერი. ასევე შემუშავებულია და დამტკიცებულია მოსწავლეთა, მშობელთა ინფორმირების წესი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა

სკოლაში ფუნქციონირებს კოლეგიური ორგანოები: სამეურვეო საბჭო, დირექცია, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, საგნობრივი კათედრები, სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფი, მრჩეველთა საბჭო. ყველა რგოლი მისთვის კანონმდებლობით განსაზღვრული ფუნქციის ფარგლებში საქმიანობს, ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას. ამდენად, უზრუნველყოფილია მათი სასკოლო ცხოვრებაში ჩართვის შესაძლებლობა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სამეურვეო საბჭოს, პედსაბჭოს, მრჩეველთა საბჭოს ოქმები
- სკოლის დირექტორის ბრძანება საჯარო ინფორმაციაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ
- საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება თანამდებობრივი ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა

საჯარო სკოლის ტერიტორიაზე უზრუნველყოფილია ფიზიკური უსაფრთხოების დაცვა, რისთვისაც სკოლის ტერიტორია შემოსაზღვრულია რკინის ღობით, ფიზიკური უსაფრთხოებისათვის სკოლაში მანდატურის სამსახურიდან გამოყოფილია 2 მანდატური, რომლებიც უზრუნველყოფენ ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას. სკოლის შიდა და გარე პერიმეტრი აღჭურვილია ვიდეოსათვალთვალო სისტემით, კონტროლდება დერეფნები, სკოლის შემოსასვლელები და გასასვლელები შიდა და გარე კამერის (ვიდეოთვალის) საშუალებით. სკოლას ჰყავს დარაჯები, რომელთანაც გაფორმებულია ხელშეკრულებები.

ვიზიტის დროს სკოლას არ ჰქონდა საგანგებო სიტუაციების სამსახურთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, წარმოდგენილი ჰქონდა განცხადება, რომლითაც იგი შესაბამისი სამსახურისგან ითხოვს საქართველოს მთავრობის 2022 წლის 10 ივნისის №308 დადგენილებით განსაზღვრული მომსახურების გაწევას. თვითშეფასების წარმოდგენისას გამოგზავნილ შესაბამისობის გეგმაში სკოლამ აღნიშნა, რომ 2027 წლის 5 მარტამდე საგანგებო სიტუაციების სამსახურთან შეათანხმებს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმას, ხოლო არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმაში აღნიშნა, რომ 2027 წლის ივნისამდე, საგანგებო სიტუაციების სამსახურთან შეათანხმებს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმას.

ვიზიტის დროს სკოლის მიერ წარმოდგენილი სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული ექსპერტიზის დასკვნისა და სკოლის წარმომადგენლების განმარტებით, სკოლის შენობის მეორე კორპუსის მდგომარეობა დამაკმაყოფილებულია და მასში შესაძლებელია სასწავლო პროცესის განხორციელება. ხოლო პირველი კორპუსი არის ავარიულ მდგომარეობაში და მასში შეუძლებელია სასწავლო პროცესის განხორციელება. ვიზიტის დროს ექსპერტთა მოთხოვნა იყო, რომ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს

მიერ გაცემული ექსპერტიზის საკმაოდ მოცულობითი დასკვნა სკოლას გამოეგზავნა დამატებით, თუმცა არ მიგვიღია, რათა დასკვნის პროექტში უფრო დეტალურად აღგვეწერა ორივე კორპუსის მდგომარეობა.

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციაში გამოგზავნილ შესაბამისობის გეგმაში აღნიშნა, რომ 2028 წლის ივნისამდე უზრუნველყოფს პირველი სასწავლო კორპუსის აღდგენა-რეაბილიტაციას.

რაც შეეხება **სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შენობის შესაბამისობის შესახებ,** სკოლამ 2026 წლის 5 მარტს მიმართა შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სსიპ სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს მომსახურების მიღების მიზნით, ასევე თვითშეფასების წარმოდგენისას გამოგზავნილ შესაბამისობის გეგმაში სკოლამ აღნიშნა, რომ 2027 წლის 5 მარტამდე უფლებამოსილი ორგანოსგან/პირისგან მიიღებს დასკვნას სახანძრო უსაფრთხოების ინსტრუქციის შესახებ. შენობაში თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ – „112“-ის ცხელი ხაზის ნომერი.

ექსპერტთა ჯგუფმა მიიჩნია, რომ ინდიკატორი ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია და გასცა რეკომენდაცია:

ა) სკოლამ შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში, 2027 წლის ივნისამდე, საგანგებო სიტუაციების სამსახურთან უნდა შეათანხმოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.

ბ) სკოლამ შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში, 2028 წლის ივნისამდე, უნდა ჩაატაროს პირველი სასწავლო კორპუსის აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოები.

გ) სკოლამ შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში, 2027 წლის 5 მარტამდე, უფლებამოსილი ორგანოსგან/პირისგან უნდა მიიღოს დასკვნა სახანძრო უსაფრთხოების ინსტრუქციის შესახებ.

რჩევა: სკოლამ უნდა აიყვანოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.

2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას.

სკოლაში პირველ სართულზე არის სამედიცინო კაბინეტი, რომელიც სრულად აღჭურვილია იმ ინვენტარით, რომლებიც გათვალისწინებულია მინისტრების ბრძანებით, კერძოდ, კაბინეტში არის კომპიუტერი, ხელსაბანი, საზომი, საკეტიანი კარადა წამლებისათვის, კომპიუტერი, სამედიცინო ტახტი, რომელიც ფარდით იზოლირებულია დანარჩენი სივრცისგან, მაცივარი, საკაცე და სხვა. ექიმი აწარმოებს მინისტრების ბრძანების შესაბამისად ჟურნალებს. მას აქვს პედიატრის სახელმწიფო სერტიფიკატი. დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

რჩევა: სკოლამ შეიძინოს ფარდა/შირმა, რათა სამედიცინო ტახტი იყოს იზოლირებული დანარჩები კაბინეტისგან.

3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას

სასკოლო დროს უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს 2 მანდატური. მათ სკოლაში ეთმობა ცალკე ოთახი, სადაც განთავსებულია ეკრანი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს

სკოლაში მოსწავლეების სწორი ქცევითი ჩვევების განვითარებაზე, ფსიქო-ემოციური მდგომარეობის ჩამოყალიბებაზე მუშაობს მთელი სკოლა: დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ფსიქოლოგი, სპეცმასწავლებლები და მათი ასისტენტები, საგნის მასწავლებლები, ძირითადად კი- დამრიგებლები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5.სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას

სკოლაში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. სკოლას ემსახურებიან ნდამლაგებელი, რომლებიც ასუფთავებენ სკოლის შიდა პერიმეტრს, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესის შესაბამისად. სკოლაში არსებობს ცალ-ცალკე სანიტარული კვანძები გოგონებისთვის და ვაჟებისთვის. სანიტარული კვანძები უზრუნველყოფილია წყლისა და განათების უწყვეტი მიწოდებით, სათანადოდ აღჭურვილი. ყველა სველი წერტილი უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით, კონკრეტულად: ქაღალდი, საპონი, ხელსახოცი, ნარჩენების კალათი (უკონტაქტო). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6.სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას

სკოლაში შემუშავებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი. გარდა ამისა, დირექტორის ბრძანებით გამოყოფილია პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე პასუხიმგებელი პირი, ბრძანებაში არ ჩანს, ვინაა აღნიშნული პირი და რამდენად შესაძლებელია მისი განსაზღვრა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;

სკოლაში ინფორმაცია დაცულია ელექტრონულ ჟურნალში, რომლის წარმოებზე პასუხისმგებელია თითოეული საგნის მასწავლებელი. მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების შესახებ მონაცემები, ინფორმაცია მოსწავლის ჯანმრთელობის შესახებ, მოსწავლის სპეციალური საჭიროების შესახებ სრულად არის დაცული. ასევე მნიშვნელოვანი მასალები ინახება საქმისმწარმოებელთან კარადებში, რომელიც იკეტება. წინა წლის მატერიალური მასალები ინახება არქივში და მათთან წვდომა აქვს მხოლოდ საქმისმწარმოებელს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)

არ შეფასდა პირველადი ავტორიზაციის გამო

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დირექტორის წერილი სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსთან შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების ნორმებთან და სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენასთან დაკავშირებით
- სკოლის დირექტორის ბრძანება ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის" შესახებ
- სკოლის დირექტორის ბრძანება პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელი პირის დამტკიცების შესახებ.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☒ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან. სკოლის შენობა მდებარეობს მდებარეობს ქალაქ თბილისში, ალ. მირცხულავას ქ. №4. მიწის ფართობია 4801 კვ.მ., ხოლო შენობა-ნაგებობა №1 და №2 საერთო ფართით - 6356.28 კვ.მ..მიწისა და შენობების მესაკუთრეა სახელმწიფო, ხოლო მოსარგებლე - სსიპ თბილისის №22 საჯარო სკოლა (241572589) არსებობის ვადით. სკოლის ორი სასწავლო კორპუსიდან პირველ კორპუსს ესაჭიროება აღდგენა-გამაგრების სამუშაოები. ამ

კორპუსში სწავლის პროცესი შეწყვეტილია და სწავლა მიმდინარეობს მხოლოდ მეორე კორპუსში. ამიტომ პირველი კორპუსი გადაკეტილია და გამიჯნულია კორპუსისგან. შესაბამისობის გეგმის მიხედვით, განსაზღვრულია, რომ პირველი სასწავლო კორპუსის აღდგენა-რეაბილიტაცია 2028 წლის 11 მარტამდე. შენობა 4-სართულიანია, სადაც განთავსებულია 37 სრულფასოვანი საკლასო ოთახი, კომპიუტერული ლაბორატორია, დირექციისა და ადმინისტრაციისთვის ოთახები, რესურსოთახი, სხვადასხვა სასწავლო თუ ტექნიკური რესურსის შესანახი ოთახი, სამასწავლებლო, ოთახი არქივისთვის, დარაჯისთვის, სკოლას შეძენილი აქვს ინდივიდუალური მერხები და სკამები. სკოლის შენობაში არის სპორტული დარბაზი, გვერდით სპორტული ინვენტარის შესანახი ოთახით, ეზოში სპორტული მოედანია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის

მოსწავლეებისთვის სკოლის შენობაში არსებობს სივრცეები: დერეფნები, ეზო, კომპიუტერული კლასი, სპორტული მოედანი და სპორტული დარბაზი, რომლებიც გამოიყენება სხვა მოსწავლეებთან ან მასწავლებლებთან კომუნიკაციისთვის. კომპიუტერული ოთახით სარგებლობის საშუალება აქვს სასკოლო საზოგადოების წევრებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით

ვიზიტის დროს ვერ მოხერხდა სკოლის შენობაში ბიბლიოთეკის დათვალიერება. როგორც სკოლის წარმომადგენლებმა ინერვიუს დროს აღნიშნეს, ბიბლიოთეკა იყო შენობის იმ ნაწილში, რომელიც ამჯერად გადაკეტილია ავარიულობის გამო. თვითშეფასებაშიც სკოლამ აღნიშნა, რომ პირველი სასწავლო კორპუსის ექსპლატაციაში ვერ გამოყენების გამო, სადაც მოთავსებულია ბიბლიოთეკა, მოსწავლეები და მასწავლებლები სრულ დვერსარგებლობენ ბიბლიოთეკით, მეორე სასწავლო კორპუსში ფუნქციონირებს მცირე ზომის სამკითხველო. სკოლამ წარმოადგინა სახელმძღვანელოების მიღება-ჩაბარების აქტები, რომლებიც გაფორმებულია მშობელსა და დირექტორს შორის. არგუმენტირებული პოზიციის დროს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, სკოლა ფიქრობს, რომ 2026 წლის ოქტომბრამდე შეძლებს სკოლის შენობაში ბიბლიოთეკის მოწყობას. ექსპერტებმა ჩათვალეს, რომ **ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია** და გასცეს რეკომენდაცია: სკოლამ შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში, 2026 წლის ოქტომბრამდე, სკოლის შენობაში უნდა მოაწყოს ბიბლიოთეკა.

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს

სკოლაში არ არის ინკლუზიური გარემო. პირველ სართულზე შესვლა შესაძლებელია ეზოდან არის მიწის სიმაღლზე, ხოლო სხვა სართულებზე გადასაადგილებლად არ არის პანდუსი/ლიფტი, 4-სართულიან შენობაში დამონტაჟებული არაა ლიფტი, სკოლის შენობაში ადაპტირებული სველი წერტილები მდებარეობს მესამე სართულზე. სკოლის შენობაში რესურსოთახია,

სადაც მოსწავლეებს ემსახურებიან სპეცმასწავლებლები და ასისტენტები. არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, სკოლა გეგმავს 2028 წლის ივნისამდე სკოლის შენობაში ადაპტირებული გარემოს შექმნას, კერძოდ პანდუსს და ლიფტს. ექსპერტებმა ჩათვალეს, რომ **ინდიკატორი ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია** და გასცეს რეკომენდაცია: სკოლამ შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში, 2028 წლის ივნისამდე, სკოლის შენობაში შექმნას ადაპტირებული გარემო: პანდუსი/ლიფტი.

5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას

სკოლის ინფრასტრუქტურა: სკოლის ეზო/სპორტული მოედანი, სპორტული დარბაზი მოსწავლეებმა სკოლის ბაზაზე განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები, საინტერესო პროექტები, მოაწყონ შეხვედრები ერთმანეთთან, სასკოლო საზოგადოებისა და თემის სხვა თანატოლ თუ ზრდასრულ წარმომადგენლებთან, მათთვის საინტერესო ადამიანებთან. შენობაც იძლევა იმის საშუალებას, რომ მოსწავლეებმა შეძლონ სხვადასხვა აქტივობის ჩატარება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან
- სკოლის ფინანსური დოკუმენტაცია
- სკოლის დირექტორის ბრძანება ბიბლიოთეკის დებულების შესახებ
- ხელშეკრულებები მშობლებთან
- ხელშეკრულებები დამრიგებლებთან
- საინვენტარი წიგნი

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☒ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ინფორმაციული საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას

სკოლას აქვს ინფორმაციული საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა-კომპიუტერული კლასი, სადაც განთავსებული იყო კომპიუტერები. სკოლას შეძენილი აქვს პერსონალური კომპიუტერები, ლეპტოპები, პრინტერები, პროექტორები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. ინფორმაციული საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად

გარდა კომპიუტერული ოთახისა, კომპიუტერები აქვთ დირექტორს, საქმისმწარმოებელს, ბუღალტერს, მასწავლებლებს. სულ კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობა მოსწავლეებს შეუძლიათ. სკოლაში შემუშავებულია მატერიალური რესურსით სარგებლობის წესი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ინვენტარიზაციის აქტი
- დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი

სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი, რომლის მიხედვით საქმისწარმოება მიმდინარეობს შემდეგი სახის დოკუმენტაციის:

შემოსული დოკუმენტაციის (წერილი, მოთხოვნა–დასტური, მიმართვა) აღრიცხვა; გასული დოკუმენტაციის (წერილი, ცნობა, მოთხოვნა–დასტური, მიმართვა) აღრიცხვა; შიდა დოკუმენტაციის (სამსახურეობრივი ბარათი, ახსნა–განმარტება, ბრძანება, ბრძანების ამონაწერი, პედაგოგიური საბჭოს ოქმები, ხელშეკრულებები, მემორანდუმები) აღრიცხვა; მოსწავლეებისა და თანამშრომლების პირადი საქმეების წარმოება. დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალები დანომრილია, უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი, ბეჭედდასმული და აკინძულია, მათი სანდოობა და მთლიანობა არის უზრუნველყოფილი. სკოლას ჰყავს საქმისმწარმოებელი, რომელთანაც გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა

სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის (Eflow) სისტემით; ასევე სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიები, კერძოდ: eSchool.emis.ge, office 365; **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში

სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. საინფორმაციო ბარათში შეყვანილია შემდეგი ინფორმაცია: მისამართი, იურიდიული სტატუსი, საგანმანათლებლო სტატუსი, საიდენტიფიკაციო კოდი, სექტორი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია და სკოლის საბანკო რეკვიზიტები. სკოლის პერსონალის მონაცემები, მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მონაცემები, საკონტაქტო ინფორმაციები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან

არ შეფასდა პირველადი ავტორიზაციის გამო.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სსიპ - თბილისის №22 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებგვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით

სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებგვერდისა/ვებგვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;

სკოლის ოფიციალური ვებგვერდის მისამართია: https://skolebi.emis.ge/schools/, ასევე სოციალურ ჯგუფში დახურული ჯგუფები როგორც მოსწავლეებისათვის, ასევე მასწავლებლებისათვის, მშობლებისათვის. სკოლის სხვა საკომუნიკაციო საშუალებებია: ელექტრონული ფოსტა და სხვა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას

სკოლაში დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია საჯარო ინფორამაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი-სკოლის საინფორმაციო მენეჯერი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად

არ შეფასდა პირველადი ავტორიზაციის გამო.

4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას

სკოლას აქვს თავისი ვებგვერდი და ასევე, თავისი გვერდი პორტალზე https://skolebi.emis.ge, სადაც ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია

სკოლის ვებგვერდზე განთავსებულია ყველა ის ინფორმაცია, რომელსაც განსაზღვრავს სტანდარტი, სკოლის ვებგვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას: სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები,

ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
https://skolebi.emis.ge

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები
3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლის მიერ წარმოდგენილ სამოქმედო გეგმაში ასახულია ფინანსები, რომლებიც საჭიროა გეგმით განსაზღვრული აქტივობების განსახორციელებლად. გეგმის სვეტში-არსებული რესურსი-იგულისხმება სკოლის ბიუჯეტის თანხა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა

დირექციის წევრებთან ინტერვიუთი დადგინდა, რომ სკოლის ბიუჯეტი დგება კათედრების ინიციატივებისა და წინადადებების საფუძველზე, სხვადასხვა სახის რესურსების მოთხოვნა წარედგინება დირექტორს. ასევე ითვალისწინებენ წინა წლის გამოცდილებას შესყიდვის გეგმის საფუძვლზე. შემდგომ მიმდინარეობს ბაზრის კვლევა. დირექტორის მიერ შედგენილი ბიუჯეტი წარედგინება სამეურვეო საბჭოს, რომელიც ამტკიცებს მას. ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა დირექტორის მოხსენება ფინანსური ანგარიშის შესახებ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სამეურვეო საბჭოს ოქმი სკოლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ
- სამეურვეო საბჭოს ოქმები

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა

სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, რომელიც შეთანხმებულია სასკოლო საზოგადოებასთან და დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ. აღნიშნული დოკუმენტის დაცვის და აღსრულების უზრუნველსაყოფად იგი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებისათვის. შინაგანაწესი აგრეთვე გამოკრულია სკოლის ფოიეში. შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთათვის და მათი კანონიერი წარმომადგენლებისათვის მოსწავლეთა უფლებებისა და მოვალეობების, დარღვეული უფლების აღდგენისა და დაცვის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, რომელიც, თავის მხრივ, წარმოადგენს მოსწავლეთა უფლების დაცვის გარანტიას. სასწავლო წლის დაწყებიდან ერთი თვის ვადაში მრჩეველთა საბჭოს წევრები აწყობენ საინფორმაციო ხასიათის შეხვედრებს მოსწავლეებთან და მათ კანონიერ წარმომადგენლებთან, მათთვის ხდება მოსწავლეთა უფლებებისა და წესების გაცნობა.

სკოლაში დამტკიცებულია ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია, ასევე, განსაზღვრულია რეფერირების პროცედურების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირი, რომელიც შიდა წესის შესაბამისად, უზრუნველყოფს მოსწავლეთა უფლებების დაცვას. სკოლაში შექნილია დისციპლინური კომიტეტი და სამეურვეო საბჭო. სკოლის თანამშრომლის ან მოსწავლის მიერ მოსწავლის უფლებების დარღვევის შემთხვევაში დაიწყება ადმინისტრაციული წარმოება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად და დარღვევის დადასტურების შემთხვევაში შესაბამის პირს ეკისრება დისციპლინური სახდელი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან

მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან; სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით და სადამრიგებლო პროგრამების თანახმად, დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს სკოლის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებს. სამეურვეო საბჭო ამტკიცებს სკოლის შინაგანაწესს, რომელიც გამოკრულია დერეფანში და სასკოლო საზოგადოების ჩართულობით მასში ხორციელდება ცვლილებები. მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება ითავლისწინებს შინაგანაწესის გაცნობას, რაც დასტურდება ხელმოწერით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება

სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებულია ხელშეკრულება. კლასის დამრიგებელი წინასწარ აცნობს მშობელს ხელშეკრულებას და საჭიროების შემთხვევაში განუმარტავს მისთვის გაურკვეველ საკითხს. ასევე საჭიროების შემთხვევაში შესაძლოა სკოლის დირექციის ჩართვის. ხელშეკრულებაში გაწერილია სკოლის უფლებები და მოვალეობები, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლების უფლებები და მოვალეობები, მოსწავლის უფლებები და მოვალეობები, მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების გამოყენების წესი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- ბრძანება პერსონალურ ინფორმაციათა დაცვის მარეგულირებელი წესისა და მონიტორინგის მექანიზმების შესახებ;
- ბრძანება ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირება) პროცედურების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ;
- სკოლის პედსაბჭოს ოქმი შინაგანაწესის გაცნობის შესახებ;
- მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებული ხელშეკრულება;
- მრჩეველთა საბჭოს შექმნის ბრძანება;

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები

სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი. აღნიშნული წესი არეგულირებს სკოლაში მოსწავლის ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების ჩამონათვალს და მოსწავლის ჩარიცხვის, კლასიდან-კლასში გადაყვანის, სტატუსის შეჩერების, მობილობისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების საფუძველზე მოსწავლის ჩარიცხვის პროცედურებს. დოკუმენტი ითვალისწინებს შემდეგ საკითხებს: სკოლაში პირველ კლასში ჩასარიცხ მოსწავლეთა რიცხოვნობის განსაზღვა, რეგისტრაცია და მისი ეტაპები; სკოლაში

მოსწავლეთა ჩარიცხვა და ჩარიცხული მოსწავლეების შესახებ მონაცემების ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახვა; მოსწავლის სტატუსის შეჩერება; მოსწავლის შეჩერებული სტატუსის აღდგენა; მოსწავლეთა მობილობის წესი; მობილობისას განსახორციელებელი პროცედურები; მოსწავლის კლასიდან კლასში გადაყვანა; მოსწავლის პარალელური კლასიდან სხვა პარალელურ კლასში გადასვლა; პასუხისმგებლობა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახული მონაცემების სისწორეზე; დოკუმენტი თანხვედრაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს

სკოლის დირექციასთან, საქმისმწარმოებელთან გასაუბრებით, eFlow-ის სისტემისა და Eschool-ის ბაზების შესწავლით დგინდება, რომ მოსწავლეთა ჩარიცხვა ხდება მოსწავლეთა განსაზღვრული რაოდენობის შესაბამისად. დირექციასთან გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ იციან საჭიროების შემთხვევაში კლასში 25 მოსწავლეზე მეტის არსებობის შემთხვევაში მოთხოვნა ეგზავნება საგანმანათლებლო რესურსცენტრს, თუმცა ასეთი შემთხვევა არასდროს ყოფილა. მოსწავლის სტატუსის შეჩერების პროცედურა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ხორციელდება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი

სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი; **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული

სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

სკოლის მიერ შეთავაზებული ყველა აქტივობა, რესურსი ისე არის შემუშავებული, რომ არ შეილახოს მოსწავლის უფლებები და არ იყოს დისკრიმინაციული. ეს ინფორმაცია სკოლას განთავსებული აქვს სოციალურ ქსელში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026 ს. წ.;
- ბრძანება მოსწავლის ჩარიცხვის, სტატუსის შეჩერების შესახებ;
- სკოლის შინაგანაწესი;
- მშობელთა კრების ოქმიები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

მოსწავლეებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ სკოლა ხელს უწყობს მათ ადაპტირებას სასკოლო სივრცეში. გარდა ამისა,როგორც აღვნიშნეთ, სკოლას აქვს მოსწავლეთა გარემოსთან ადაპტაციის წესი, რომელიც მოიცავს შემდეგს: ადაპტაციის წესით სკოლა მიზნად ისახავს დაეხმაროს მოსწავლეს შეეგუოს სასწავლო პროცესსა და სასკოლო ცხოვრებას. დაამყაროს წარმატებული კომუნიკაცია სასკოლო საზოგადოებასთან და ჰქონდეს შესაძლებლობა, ჩაერთოს საგაკვეთილო პროცესში; წესი აგრეთვე მოიცავს მოსწავლის სასკოლო ცხოვრებაში ადაპტაციის პრინციპებს და მნიშვნელოვანი ფაქტორებს; პირველკლასელთა ადაპტაციას; სსსმ მოსწავლეთა ადაპტაციას; მობილობით გადმოსული მოსწავლის ადაპტაციას; მოსწავლეთა მიღება, სწავლის დაწყების პირველი დღეს; დეზადაპტაციის ნიშნებს; დეზადაპტაციის პროცესისას განსახორციელებელი ღონისძიებებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან

სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ზრუნავს მოსწავლეთა ადაპტაციაზე სასწავლო გარემოსთან. პირველკლასელთათვის ეწყობა ღონისძიება, სკოლის დათვალიერება.

კლასის დამრიგებლები აწვდიან ინფორმაციას დაგეგმილი აქტივობების შესახებ, ესაუბრება მათ უფლებებსა და მოვალეობებზე. სკოლაში ბავშვებისთვის ხელმისაწვდომია ნებისმიერი თავისუფალი სივრცე, სადაც მათ შეუძლიათ ინოვაციური იდეების, ინიციატივების შესახებ მსჯელობა, გაანალიზება, შემდეგ კი დაგეგმვა და რეალიზება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3.მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად

მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად. მასწავლებლები სკოლის მოსწავლეს აძლევენ განმავითარებელ შეფასებას, რის საშუალებითაც მოსწავლეს ეხმარება შედეგების გაუმჯობესებაში. საჭიროების შემთხვევაში მასწავლებლები ატარებენ ინდივიდუალურ შეხვედრებს მოსწავლეებთან. ექსტერნების შემთხვევაში ყველა საგამოცდო საგანში მოსწავლე უზრუნველყოფილია კონსულტაციის მიღების შესაძლებლობით, ანალოგიურია საშემოდგომო გამოცდების შემთხვევაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით

საქმისმწარმოებელთან, დირექციასთან გასაუბრებით, Eflow სისტემის დათვალიერების შედეგად დგინდება, რომ მშობლის მიერ წარმოდგენილ განცხადებებზე (სხვა სკოლაში გადაყვანა, სკოლაში ჩარიცხვა, მოსწავლის ცნობის მოთხოვნა, საგაკვეთილო პროცესიდან გაყვანა და სხვა) რეაგირება ხდება დადგენილ და განცხადებებში მოთხოვნილ ვადებში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას

მოსწავლეთა თვითმმართველობა აქტიურად არის ჩართული სასკოლო აქტივობების დაგეგმვასა და განხორციელებაში. მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივითა სკოლის ადმინისტრაციის მხარდაჭერით სკოლაში სხვდასხვა პროექტები ხორციელდება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას

მოსწავლეთა ხმის მიღების ერთ-ერთი მექანიზმი სკოლის სამეურვეო საბჭოა. სამეურვეო საბჭოში მოსწავლეთა წარმომადგენელს შუძლია გააჟღეროს მოსწავლეთა ინიციატივები ან სკოლას შესთავაზოს აქტუალური პრობლემის გადაჭრის

გზები. ასევე აქტიურია სკოლის სამოქალაქო განათლების კლუბი, რომელიც დირექციასთან წარადგენს საკუთრ იდეებსა და ინიციატივებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებული ხელშეკრულება;

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის

სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა ზრუნავს პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის ხელშემწყობი აქტივობების განხორციელებაში. სადამრიგებლო პროგრამებში სწავლების სამივე საფეხურზე გათვალისწინებულია აქტივობები აღნიშნული მიმართულებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით

სკოლის დირექცია, საფეხურის დამამთავრებელი კლასების მოსწავლეებს და მშობლებს სასწავლო წლის დასაწყისში ყოველწლიურად ცდილობს შეხვედრების ორგანიზებას სხვადსხვა საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებთან. აწვდის ინფორმაციას პერსპექტივებისა და შესაძლებლობების შესახებ, იწვევს და ახვედრებს მოსწავლეებსა და მათ მშობლებს კადეტთა კორპუსის თანამშრომლებს. დამრიგებლები ატარებენ საუბრებს მომავალი პროფესიების შესახებ და აწვდიან ინფორმაციას უნივერსიტეტებისა და პროფესიული სასწავლებლების შესახებ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს

სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლამ ყოველთვის იცის კურსდამთავრებულთა საქმიანობის, სწავლის გაგრძელების შესახებ ინფორმაცია. რის საფუძველზეც ხდება მოსწავლეებისათვის შესაბამისი, უფრო საინტერესო და აქტუალური ინფორმაციის მიწოდება. სკოლას აქვს გამოცდილება წარმატებული კურსდამთავრებულების სტუმრობის, რაც

მომავალში უფრო ინტენსიური გახდება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სადამრიგებლო პროგრამები;
- შეხვედრების მასალები;

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი

2025-2026 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში ერთი თავი ეთმობა ინკლუზიურ განათლებას, რომელშიც გაწერილია სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი. არსებული მექანიზმი შედგება შემდეგი ნაწილებისაგან: სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე; ინდივიდუალური სასწავლო გეგმა; ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი ისგ ჯგუფი; სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება, დასწრება და გაცდენები; სსსმ მოსწავლეთა შინ სწავლება; სსსმ მოსწავლისათვის შესადგენი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს

სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს. სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სსსმ მოსწავლეების განვითარების მხარდაჭერის პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოება. სკოლამ წარმოადგინა ინდივიდუალური გიგმა, რომელიც განიხილ სამეურვეო საბჭომ და დაამტკიცდა პედაგოგიურ საბჭოზე. მშობლები მონაწილეობენ ინდივიდუალური გეგმის შედგენის განხილვაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მულტიდისციპლინარული გუნდის შეფასება;
- ისგ-ს ჯგუფის შეხვედრის ოქმი;
- სასწავლო სასკოლო გეგმა 2025-2026 ს.წ.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

სკოლას დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება არ აქვს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას

სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება სკოლის მიერ ამ ეტაპზე არ არის შეთავაზებული დამატებითი არასავალდებულო ხასიათის მომსახურება, თუმცა ასეთის არსებობის შემთხვევაში გააზრებული აქვთ, რომ მომსახურება იქნება ნებაყოფლობითი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს

ამ ეტაპზე სკოლა დამატებით მომსახურებას არ სთავაზობს მოსწავლეებს, თუმცა დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ მათ გააზრებული აქვთ უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვის აუცილებლობა და მოსწავლის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინების მნიშვნელობა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ხელშეკრულება.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	☐ **შეესაბამება** **■ მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	☐ **შეესაბამება** ■ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის ინსტრუმენტები ადასტურებს, რომ დაგეგმვისას სკოლა ეყრდნობა სასკოლო საზოგადოების, კონკრეტულად მოსწავლეთა საჭიროებებს. კურიკულუმები მორგებულია ადგილობრივ კონტექსტსა და აქტუალურ გამოწვევებს, სასწავლო წლის დასაწყისში კათედრები განსაზღვარვენ საგნობრივი სტანდარტების გათვალისწინებით სავალდებულო თემების ჩამონათვალს, საკითხებს, შემოქმედებითი დავალებების პირობებს, შესაბამის რესურსებს და აკავშირებენ სტანდარტის მისაღწევ შედეგებთან (გრძელვადიან მიზნებთან). კურიკულმების შემუშავებაში ჩართულია მთლიანი სასკოლო საზოგადოება, რის განვითარებაში გათვალისწინებულია სსსმ მოსწავლეების საჭიროებები და შესაძლებლოებები, რაც განსაზღვრულია ისგ-ის დოკუმენტით და სპეციალური მასწავლებლის, მშობლისა და საგნის მასწავლებლის ჩართულობით. შესაბამისად, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები

სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომლის მიხედვით შექმნილია კურიკულუმის კონცეპტუალური დოკუმენტი და საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები, რომლის შემუშავებაში ჩართულია მთლიანი სასკოლო საზოგადოება. შინაარსობრივი საკითხები განიხილება კათედრის სხდომებზე სადაც მუშავდება: საგნობრივი თმები, საკითხები, შემოქმედებითი დავალების პირობები, საგანმანათლებლო რესურსები, რაც ხელს უწყობს სრულიად სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებას, რაც გულისხმონს მოსწავლის აქტიურ ჩაერთულობას სასწავლო პროცესში და საგნობრივ ცოდნის მიღებასთან ერთად მაღალი საზროვნო უნარების გამომუშავებასა და ცოდნის პრატიკაში გადატანას (ტრანსფერი), რასაც ხელს უწყობს კათედრების მიერ შექმნილი კურიკულუმებში ასახული შემოქმედებითი დავალებები, რის მიხედვით შექმნილია მოსწავლეების ნამუშევრები, რომლის პროცესშიც მშობლის ჩართულობაც ხორციელდება, რაც მათთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა. საგნობრივი კურიკულუმებში ასახულია თითოეული მოსწავლის ინტერესები.

კურიკულუმებში დაგეგმილი კომპლექსური დავალებები მორგებულია პრაქტიკულ კონტექსტზე, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობას. მაგალითად, მე-11 კლასში გეოგრაფიის მასწავლებლის ასისტენტის როლის მორგება ან მე-10 კლასში კოლხეთის ეროვნული პარკის, როგორც მდგრადი ტურიზმის ობიექტის, კვლევა. მეთოდოლოგია ითვალისწინებს

მოსწავლეთა სხვადასხვა შესაძლებლობებს, რაც დასტურდება რემედიაციის გეგმებით, სადაც ინდივიდუალური საჭიროებების მიხედვით შერჩეულია ისეთი სტრატეგიები, როგორიცაა სოკრატული მეთოდი, ვიზუალური წყაროების დამუშავება და ტერმინოლოგიური ლექსიკონების შექმნა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

კურიკულუმი წარმოადგენს სასკოლო საზოგადოების შეთანხმებული მუშაობის შედეგს, რაც დასტურდება როგორც ადმინისტრაციული სამუშაო ჯგუფების არსებობით, ისე სასწავლო პროცესში ყველა მხარის ჩართულობით. კურიკულუმის მიღმა არსებული აქტივობები, როგორიცაა კონფერენცია „ევროპა-საქართველოს ურთიერთობები“ და თანამშრომლობა უნივერსიტეტებთან (სეუ), ადასტურებს სასკოლო საზოგადოების ხედვების რეალიზებას არაფორმალურ გარემოში. მასწავლებლებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ აღნიშნული კურიკულუმების შექმნის პროცესში ჩართულია საგნობრივი კათედრების ყველა წევრი და თანამშრომლობის შედეგად მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით ხორციელდება კურიკულუმის შინაარსობრივი ნაწილის დახვეწა. კათედრებზე არის მაღალი თანამშრომლობრივი კულტურა, რას საშუალებას იძლევა მასწავლებლებმა ერთმანეთს გაუზიარონ მოსწავლეთა მიღწევები, საჭიროებები, ინტერესები, სურვილები და შესაბამისი შინაარსობრივი ნაწილი ასახონ კურიკულუმებში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სასკოლო კურიკულუმი გაზიარებული და გათავისებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. სკოლის ადმინისტრაცია, კათედრის თავმჯდომარეები, მასწავლებლები, სპეციალური მასწავლებლები აქტიურად არიან ჩართულნი სასკოლო კურიკულუმისა შემუშავებისა და დახვეწის პროცესში. კურიკულუმები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ნებისმიერი წევრისთვის და როგორც სასკოლოსასწავლო გეგმის ნაწილი მისი შეთანხმება ხდება სამეურვეო საბჭოსთან და ამტკიცებს პედაგოგიური საბჭო. სასკოლო კურიკულუმი საჯაროა და გაზიარებულია ელექტრონულად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი;
- სასკოლო- სასწავლო გეგმა;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- ისგ- სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმები;
- ისგ- დოკუმენტები (ქართული, მათემატიკა, მე და საზოგადეობა);

- მოსწავლეთა ნამუშევრები შემოქმედებითი ტიპის დავალებების მიხედვით.

2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო საგნობრივი ჯგუფის კურიკულუმები ძირითადად ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს და წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განვითარების საფუძველს. კურიკულუმებში წარმოდგენილია თემატური ერთეულები, სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, კონტექსტ-მაგალითები, კომპლექსური/შემოქმედებითი დავალებების იდეები და მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები. წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და კათედრის სამოქმედო გეგმებში იკვეთება კვლევითი, პროექტული, ინტეგრირებული და პრაქტიკულ აქტივობებზე დაფუძნებული სწავლების მიდგომები, ასევე ელექტრონული რესურსების, ვირტუალური ლაბორატორიებისა და STEAM ელემენტების გამოყენება, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობასა და ფუნქციური უნარების განვითარებას. ქიმიის კურიკულუმებში (VIII–XII კლასები) შედარებით მკაფიოდ იკვეთება მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების ელემენტები და მრავალფეროვანი სასწავლო აქტივობები. ამასთანავე, ცალკეულ კურიკულუმებში კონტექსტ-მაგალითები და კომპლექსური/შემოქმედებითი დავალებების იდეები ხშირად მხოლოდ სათაურის ან ზოგადი აქტივობის დონეზეა წარმოდგენილი და ნაკლებად ჩანს მოსწავლის მიერ შესაქმნელი პროდუქტი, სამუშაო ეტაპები და შეფასების ლოგიკა. **რჩევა:** სასურველია განსაკუთრებით საბაზო და საშუალო საფეხურების საბუნებისმეტყველო საგნობრივ კურიკულუმებში კონტექსტმაგალითებისა და კომპლექსური/შემოქმედებითი დავალებების იდეების უფრო დეტალურად წარმოდგენა, განსაკუთრებით მოსწავლის მიერ შესაქმნელი პროდუქტის, სამუშაო ეტაპებისა და შეფასების კომპონენტების მიმართულებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები

საზ.მეცნიერებებში კურიკულუმი ორიენტირებულია ისეთი პროდუქტების შექმნაზე, რომლებიც მოსწავლეს რეალურ ცხოვრებაში პ რა ქ ტი კ ულ უნარების განვითარებაში ეხმარება მაგალითად: საინფორმაციო ბუკლეტების შექმნა ჯანსაღ კვებასა თუ ეკოლოგიურ პრობლემებზე.

დაგეგმვის პროცესში გამოყენებულია მოსწავლეზე ორიენტირებული სტრატეგიები, სადაც მოსწავლე ირგებს კონკრეტულ როლს მაგალითად: ეკოლოგიური კლუბის წევრი, ტურიზმის მიმართულების სტუდენტი, მასწავლებლის ასისტენტი, რაც ზრდის მათ მოტივაციას და ჩართულობას.

კურიკულუმი ითვალისწინებს თითოეული მოსწავლის საჭიროებას. რემედიაციის გეგმები ეყრდნობა ინდივიდუალურ დიაგნოსტირებას და სთავაზობს მოსწავლეებს მათზე მორგებულ აქტივობებს, როგორიცაა სოკრატული მეთოდი, ვიზუალური რესურსები (ტელესკოლა) და ცნებების განმტკიცება პრაქტიკული სავარჯიშოებით.

რჩევა: მიუხედავად იმისა, რომ ცალკეულ საგნებში საბაზო და საშუალო საფეხურებზე („მე და საზოგადოება“, „ჩვენი საქართველო“, გეოგრაფია, ისტორია, მოქალაქეობა) კურიკულუმები სრულყოფილია, სასურველია დაიგეგმოს ისეთი შემოქმედებითი ტიპის დავალებები, რომლებიც რამდენიმე საგნის სამიზნე ცნებებს გააერთიანებს. მაგალითად, პროექტი „მდგრადი განვითარება კოლხეთის დაბლობზე“ შეიძლება ერთდროულად ფარავდეს გეოგრაფიის (ეკოსისტემები), ისტორიის (კოლხეთის სამეფო) და მოქალაქეობის (გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა) საკითხებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები

ინგლისურ, რუსულ და ფრანგულ ენაში შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. საგნობრივ კურიკულუმებში, სწავლების ყველა საფეხურზე, დაწყებითი, საბაზო და საშუალო, წარმოდგენილია პროექტული ტიპის დავალებები, იგივე შუალედური მიზნები. დავალებების პირობები არის მრავალფეროვანი, შესაბამისად, მოსწავლეს ეძლევა შესაძლებლობა, განვითარდეს სხვადასხვა მიმართულებით. ღსანიშნავი არის რომ ზოგიერთი კურიკულუმი განსხვავდება პროექტული ტიპის დავალებების რაოდენობის მიხედვით.

რჩევა: სასწავლო წლის დასაწყისში, უცხოური ენების კათედრამ დაადგინოს დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე სასწავლო წლის განმავლობაში განსახორციელებელი პროექტული ტიპის დავალება და შესაბამისად ყველა კურიკულუმში წარმოადგინოს დადგენილი დავალებების რაოდენობა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ესთეტიკური აღზრდა

ესთეტიკური აღზრდის კათედრის მიერ შემუშავებული სამივე საფეხურის კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. გაწერილია ორივე საგნის(ხელოვნება,მუსიკა)სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემები და საკითხები სამიზნე ცნება/ქვეცნებებთან მიმართებით.დაზუსტებულია სასწავლო რესურსები ასახულია შუალედური სასწავლო მიზნები შემოქმედებითი დავალების იდეის სახით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

რჩევა: სასურველია, სამივე საფეხურის კურიკულუმების თავფურცელში გაიწეროს სკოლის სრული დასახელება, სასწავლო წელი, გრიფირებული სახელმძღვანელო, გარდა გამომცემლობისა, ავტორების სრული შემადგენლობის დასახელებით და მასწავლებლების ვინაობა. დაწყებითი საფეხურის ხელოვნების კურიკულუმებში მიეთითოს თემატური ბლოკები.

სახელმწიფო ენა

სასკოლო კურიკულუმი უზრუნველყოფს მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო გარემოს დაგეგმვასა და განვითარებას. მისი მიზანია სწავლების ორგანიზება თითოეული მოსწავლის უნარების, ინტერესებისა და ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. ამგვარი მიდგომა ხელს უწყობს ცოდნის სისტემურ და მიზანმიმართულ გადაცემას.კურიკულუმი ასევე ქმნის შესაძლებლობას, რომ მრავალფეროვანი თემებისა და შემაჯამებელი დავალებების საშუალებით მოსწავლემ გაიღრმავოს ცოდნა და განივითაროს სხვადასხვა უნარი. მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს აქტიურ და ჩართულ გარემოს, რაც ზრდის მოტივაციას და აუმჯობესებს სწავლის შედეგებს. ამასთან, იგი პასუხობს თანამედროვე საგანმანათლებლო მოთხოვნებს და ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნების, თანამშრომლობისა და პრობლემის გადაჭრის უნარების განვითარებას.აღსანიშნავია, რომ სკოლას არც ერთ საფეხურზე არ წარმოუდგენია დოკუმენტაცია — შემოქმედებითი, პროექტული, კომპლექსური დავალებების, გაკვეთილის გეგმების ან სხვა მასალების სახით, რომლებიც სასწავლო კურიკულუმის განხორციელების პროცესს უფრო ნათლად და სრულყოფილად წარმოაჩენდა. მსგავსი დოკუმენტაციის არსებობა მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს იმის დანახვას, თუ რამდენად თანმიმდევრულად და მიზანმიმართულად მიმდინარეობს სასწავლო პროცესი, როგორ აისახება კურიკულუმის მოთხოვნები პრაქტიკაში და რამდენად ეფექტიანად არის ინტეგრირებული შეფასების, დიფერენცირების, თანამშრომლობითი სწავლებისა და მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომების გამოყენება ერთიანი აქტივობის ფარგლებში.ამასთანავე, მრავალფეროვანი საგანმანათლებლო რესურსებისა და აქტივობების წარმოდგენა შესაძლებლობას მოგვცემდა უკეთ შეგვეფასებინა, რამდენად უწყობს ხელს სასწავლო გარემო მოსწავლეთა შემოქმედებითი, კრიტიკული და პრაქტიკული უნარების განვითარებას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნებოდა ისეთი მასალების

	გაცნობა, რომლებიც ასახავს მოსწავლეთა ჩართულობას, დამოუკიდებელ მუშაობას, კვლევით ან პროექტულ საქმიანობას და რეალურ ცხოვრებასთან კავშირს. **რჩევა:** სასურველია, მასწავლებლებმა სასწავლო პროცესში უფრო აქტიურად გამოიყენონ აქტივობებისა და მეთოდების მრავალფეროვანი ფორმები — პროექტები, კომპლექსური და შემოქმედებითი დავალებები, კვლევითი სამუშაოები, დისკუსიები, თანამშრომლობითი აქტივობები და პრაქტიკული დავალებები. მსგავსი მიდგომები სასწავლო პროცესს უფრო საინტერესოს, დინამიკურსა და მოსწავლეზე მორგებულს გახდის, გაზრდის მოსწავლეთა მოტივაციასა და ჩართულობას, ასევე ხელს შეუწყობს როგორც საგნობრივი ცოდნის, ისე მნიშვნელოვანი გამჭოლი უნარების განვითარებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	შემუშავებული კურიკულუმი აჩვენებს, რომ სწავლის ცენტრში მოსწავლე დგას. მასწავლებლების მიერ მომზადებული გეგმები კარგად უთავსებს ერთმანეთს სკოლის სახელმძღვანელოებსა და ბავშვების ინტერესებს. ეს ეხმარება მოსწავლეებს, რომ საგნის მთავარი საკითხები უფრო ადვილად და გასაგებად აითვისონ. **რჩევა:** სასურველი იქნებოდა მეტი ყურადღება გამახვილებულიყო მრავალფეროვან რესურსებზე და უფრო მეტი ყურადღება გამახვილდეს კათედრის მუშაობის ეფექტურობაზე.
სპორტი	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლების მიერ შემუშავებული კურიკულუმები ეფუძნება ესგ-ს მოთხოვნებს და წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განვითარების ეფექტურ გზას. კურიკულუმების შემუშავებისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობები, ინტერესები და საჭიროებები, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მიზანმიმართულ და თანმიმდევრულ წარმართვას. კურიკულუმებში თემები და აქტივობები შერჩეულია ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად და წარმოდგენილია მოსწავლეთათვის საინტერესო, პრაქტიკულ კონტექსტში. აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას და მათ აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების ეფექტურ გზას. იგი სრულად პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. სასწავლო პროცესი დაგეგმილია გრძელვადიან მიზნებზე (სამიზნე ცნებებზე) ორიენტირებით; სწავლა-სწავლების პროცესი ეფუძნება კონსტრუქტივისტულ პრინციპებს; კურიკულუმში ინტეგრირებული კომპლექსური

	დავალებების იდეები ხელს უწყობს მოსწავლის მიერ ფუნქციური პროდუქტის შექმნას და გრძელვადიანი მიზნების - მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებას. **რჩევა**: დოკუმენტების სატიტულო ან საინფორმაციო ნაწილში მკაფიოდ აისახოს სკოლის იდენტიფიკატორი (დასახელება), სასწავლო წელი და კონკრეტული საგნის მასწავლებლის მონაცემები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე, უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ტიპის დავალებებს, რომლებიც განიხილება შუალედურ სასწავლო მიზნად და თავისთავად ორიენტირებულია მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. კურიკულუმებში ასახულია აქტუალური, ნაცნობი თემები, კონტექსტმაგალითები და რესურსები. შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კურიკულუმის ჩარჩოს გაცნობისა და მასწავლებლებთან გასაუბრებიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა დაგეგმონ მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი. **რჩევა:** დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში შუალედური მიზნის/დავალების იდეის გრაფაში დაკონკრეტდეს და მკაფიოდ ჩანდეს თუ რა შემოქმედებით პროდუქტზე უნდა იმუშაოს მოსწავლემ. მაგალითად: ეს შეიძლება იყოს პოსტერი, სტატია, დღიური, ვიდეორგოლის მომზადება და ა.შ. სასურველია, მოსწავლეებს კარგად ჰქონდეთ გააზრებული დავალების განხორციელების პროცესში რას ქმნიან და როგორ წარმოაჩენენ ამ პროდუქტების საშუალებით შესასწავლი საკითხების ცოდნას.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო საგნობრივი ჯგუფის კურიკულუმები ძირითადად მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს და ორიენტირებულია მოსწავლეებში საგნობრივი ცოდნის, კვლევითი და ანალიტიკური უნარების განვითარებაზე. კურიკულუმებში წარმოდგენილია თემატური ერთეულები, სამიზნე

ცნებები და ქვეცნებები, რაც ხელს უწყობს ბუნებრივი მოვლენებისა და პროცესების კონცეპტუალურ გააზრებას.
ქიმიის კურიკულუმებში (VIII–XII კლასები) შედარებით მკაფიოდ იკვეთება თემატური პროგრესია და ეროვნულ სასწავლო გეგმის კონცეპტუალური მიდგომა. ბიოლოგიისა და ფიზიკის ცალკეულ კურიკულუმებში, განსაკუთრებით VII და XII კლასების ბიოლოგიასა და XI–XII კლასების ფიზიკაში, ქვეცნებები არასრულად ან ფრაგმენტულად არის წარმოდგენილი, რის გამოც ნაკლებად იკვეთება თემატურ ერთეულებს, სამიზნე ცნებებსა და საფეხურის შედეგებს შორის თანმიმდევრული კავშირი.
რჩევა:
რჩევა: სასურველია საბუნებისმეტყველო საგნობრივ კურიკულუმებში უფრო სისტემურად და თანმიმდევრულად გაიწეროს ქვეცნებები, განსაკუთრებით VII და XII კლასების ბიოლოგიასა და XI–XII კლასების ფიზიკაში.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

საზოგადოებრივი მეცნიერებების (გეოგრაფია, ისტორია, მოქალაქეობა) კურიკულუმები სრულად არის შევსებული და მოიცავს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ყველა სავალდებულო თემასა და სამიზნე ცნებას.
სასწავლო პროცესი ეყრდნობა კომპლექსურ დავალებებს, სადაც მკაფიოდ არის გამოკვეთილი სასწავლო პროდუქტი. ეს უზრუნველყოფს ესგ-ით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნების სამიზნე ცნებების დამუშავებასა და გააზრებას.
სკოლაში არსებული ვერიფიკაციის მექანიზმი (მოსწავლეთა ნაშრომების 20%-ის ანალიზი) ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესი მიმართულია ესგ-ის მოთხოვნების ობიექტურ შესრულებაზე.
რჩევა: რადგან მოქალაქეობის კურიკულუმში უკვე არსებობს რემედიაციის პრაქტიკა ტერმინების გააზრების კუთხით, კარგი იქნება, თუ კომპლექსურ დავალებებში გაიზრდება ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება. მაგალითად, 10-11 კლასებში სლიდშოუების ნაცვლად, მოსწავლეებმა შექმნან პოდკასტები,

	ბლოგები ან ინტერაქციული რუკები აქტუალურ სოციალურ პრობლემებზე.
უცხოური ენები	**ინდიკატორი დაკმაყოფილებული.** ინგლისურ, ფრანგულ და რუსულ ენებში წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. აღნუშნულს ადასტურებს საგნობრივ კურიკულუმბეში წარმოდგენილი სამიზნე ცნებები, რომელთა გათვალსწინებითა დშემუშავებულია აღნიშნული დოკუმენტი. უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ საგნობრივ კურიკულუმში არის მცირედი უზუსტობა. □ამიზნე ცნებები წარმოდგენილია ძველი რედაქციით. **რჩევა:** სამომავლოდ, უცხოური ენების კათედრა, კურიკულუმების შემუშავებისას იხელმძღვალუნლოს ეროვნული სასწავლო გეგმის ბოლო რედაქციის დოკუმენტით, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება ავტორიზებულვებგვერდებზე.
ესთეტიკური აღზრდა	**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** ესთეტიკური აღზრდის კათედრის მიერ გადმოგზავნილ დოკუმენტაციასა და კოლეგებთან ინტერვიუში გამოიკვეთა, რომ ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე,ხოლო შედეგები განისაზღვრება საფეხურის დონეზე საგნობრივ სტანდარტებში წარმოდგენილ სამიზნე ცნებების მიხედვით.სასწავლო პროცესი მოიცავს მრავალფეროვან დავალებებს, რომლებიც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს გამოავლინონ მრავალმხრივი უნარები და მიაღწიონ სასურველშედეგს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** **რჩევა:** სასურველია, საგაზო საფეხურზე, მუსიკის საგნის კურიკულუმებში კონკრეტულ დ მიუთითოთ კონტექსტმაგალითები, რომლებზე დაყრდნობითაც ხორციელდება შემოქმედებითი დავალებები.
სახელმწიფოენა	კურიკულუმი უკავშირდება ეროვნულსასწავლო გეგმას და მის მიერ განსაზღვრულ მიზნებს. იგი წარმოადგენს იმ სტრატეგიულ დოკუმენტს, რომლის მეშვეობითაც სკოლა ახორციელებს ეროვნული საგანმანათლებლო პრიორიტეტების პრაქტიკაში გადმოტანას.

კურიკულუმიასახავს ზოგადეროვნულმიზნებს კონკრეტულსასწავლო პროცესში და უზრუნველყოფს მათ ეტაპობრივ და სისტემურ განხორციელებას.

კურიკულუმში არ არის შეტანილი გრამატიკული და ლიტერატურათმცოდნეობითი საკითხები, თუმცა რემედიაციის დოკუმენტებით, დირექტორის შეფასების, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების დოკუმენტების საფუძველზე ირკვევა, რომ მასწავლებლები გრამატიკის სწავლების მიმართულებით აქტიურად მუშაობენ. ისინი სასწავლო პროცესში იყენებენ სხვადასხვა გრამატიკულ სავარჯიშოს, პრაქტიკულ დავალებებს, ტექსტზე დაფუძნებულ აქტივობებსა და განმავითარებელ მეთოდებს, რაც მოსწავლეებს ეხმარება ენობრივი ნორმების გააზრებაში, წერითი და ზეპირი მეტყველების გაუმჯობესებასა და გრამატიკული ცოდნის განმტკიცებაში.

ამასთან, საბაზო საფეხურის კურიკულუმებში სრულად არ არის გათვალისწინებული ყველა სამიზნე ცნება — კერძოდ, გამოტოვებულია სამიზნე ცნება „სტრატეგიები“, რომელიც მნიშვნელოვანი კომპონენტია მოსწავლეებში დამოუკიდებელი სწავლის, ტექსტთან მუშაობის, ინფორმაციის დამუშავებისა და სწავლის ეფექტიანი მიდგომების განვითარებისათვის.მიუხედავად ამისა, რემედიაციის, დირექტორის შეფასების, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების დოკუმენტების ანალიზი აჩვენებს, რომ მასწავლებლები სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებენ მრავალფეროვან სასწავლო სტრატეგიებს და მოსწავლეებს სხვადასხვა მიდგომის პრაქტიკულად გამოყენების შესაძლებლობას აძლევენ. ასევე, პრობლემების გაანალიზების პროცესში ისინი სამომავლოდ გეგმავენ კონკრეტული და მიზნობრივი სტრატეგიების დანერგვას, რაც კიდევ უფრო შეუწყობს ხელს მოსწავლეთა სწავლის უნარების განვითარებასა და სასწავლოპროცესის ეფექტიანობას.

რჩევა: სასურველია, საბაზო საფეხურზე სასწავლო პროცესში უფრო სისტემურად და მიზანმიმართულად ინტეგრირდეს სტრატეგიებზე დაფუძნებული სწავლება, რათა მიმდინარეობდეს არა მხოლოდ

სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენება, არამედ მათი უშუალო სწავლება და გაანზრება. მნიშვნელოვანია, მოსწავლეები ფლობდნენ ინფორმაციის დამუშავების, ტექსტის ანალიზის, დამოუკიდებელი სწავლის, პრობლემის გადაჭრისა და თვითრეგულაციის სტრატეგიებს და შეძლონ მათი სხვადასხვა სასწავლო სიტუაციაში დამოუკიდებლად გამოყენება. ასევე, სასურველია, უფრო აქტიურად განხორციელდეს პროექტული, კვლევითი, შემოქმედებითი, დისკუსიური, თანამშრომლობითი და პრაქტიკულ გამოცდილებაზე დაფუძნებული აქტივობები, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების, კომუნიკაციის, თანამშრომლობისა და დამოუკიდებელი სწავლის უნარების განვითარებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

მათემატიკა

მათემატიკის კურიკულუმი სრულად შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. მასში დეტალურად არის გაწერილი ყველა საჭირო თემა, ქვეცნება და მისაღწევი შედეგი. გეგმიდან ნათლად ჩანს, რომ აქცენტი ცოდნის გაღრმავებაზეა გაკეთებული. მთავარი ადგილი კი შემოქმედებით დავალებებს უჭირავს, რაც გაკვეთილებს უფრო საინტერესოს, მრავალფეროვანსა და შედეგიანს გახდის.

სპორტი

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმები შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან და უზრუნველყოფს მათი თანმიმდევრული და მიზნობრივი განხორციელების პროცესს. კურიკულუმები აგებულია გრძელვადიან შედეგებზე ორიენტირებულ ხედვით, რაც შუალედური მიზნებისა და ეტაპობრივი აქტივობების საშუალებით მიიღწევა. თითოეულ თემაში ინტეგრირებულია სტანდარტით განსაზღვრული ძირითადი ცნებები და ქვეცნებები. კურიკულუმებში სასწავლო აქტივობები შერჩეულია ისე, რომ მოსწავლეებმა შეძლონ მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება. ამასთანავე, კურიკულუმები ორიენტირებულია არა მხოლოდ საგნობრივი ცოდნისა და ფიზიკური უნარების განვითარებაზე, არამედ თანამშრომლობის, გუნდური მუშაობის,

ჯანსაღი ცხოვრების წესისა და თვითშეფასების უნარების გაძლიერებაზე.

რჩევა: საგაზო საფეხური: სასურველია VIII და IX კლასის კურიკულუმებში თემასთან „ფეხბურთი“ მასწავლებლებმა დაკორექტირონ დავალების იდეა ისე, რომ უზრუნველყოფდეს თემის ფარგლებში ნასწავლი საკითხების წარმოჩენას.

სასურველია VIII კლასის კურიკულუმში მასწავლებლებმა დაკორექტირონ კონტექსტ მაგალითი და დავალების იდეა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

ტექნოლოგიები

წარმოდგენილი კურიკულუმები სრულად პასუხობს ეროვნულ სასწავლო გეგმის (ესგ) მოთხოვნებს, რადგან სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისებაზე. დოკუმენტაციაში მკაფიოდ ჩანს საკითხთა თანმიმდევრული განვითარება (მაგალითად, ალგორითმების სწავლება იწყება II კლასში მარტივი ციკლებით და VI კლასში რთულ ოპერატორებსა და ცვლადებზე გადადის). სასწავლო თემები და დავალებების იდეები (მაგ: „შექმენი თამაში Scratch-ში“, „პერსონალური გამოფენა One Drive-ში“) მიმართულია პრიორიტეტულ კომპეტენციების ციფრული წიგნიერების, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებისკენ. თითოეულ კლასის კურიკულუმში ინტეგრირებული კომპლექსური დავალებები წარმოადგენს იმ ინსტრუმენტს, რომლითაც მოწმდება საფეხურებრივი შედეგების მიღწევა. წარმოდგენილ „კონტექსტ-მაგალითები“ საშუალებას იძლევა, ახალი ცოდნა დაეფუძნოს მოსწავლის პირად გამოცდილებას, რაც უზრუნველყოფს ცოდნის სამივე კატეგორიის კონსტრუირებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური

წარმოდგენილი კურიკულუმები ითვალისწინებს საგნობრივ მოთხოვნებს და მიემართება ეროვნულ სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მიზნებს. კურიკულუმის ჩარჩოში გაწერილია თემები, სამიზნე ცნებები, დასამუშავებელი საკითხები, კონტექსტმაგალითები. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ

მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, იცნობენ და იყენებენ საგნობრივ სტანდარტს კურიკულუმების შემუშავებისას და გამოიყენებენ მომავალში მათ დასახვეწად.

რჩევა: ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმებში (II-III კლასები) დაა კონკრეტეთ კონკრეტული დავალებით რომელი სამიზნე ცნება მუშავდება. ასევე გამოყავით ამავე ცნების კონკრეტული ქვეცნებები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

საბუნებისმეტყველო საგნობრივი ჯგუფის კურიკულუმებში წარმოდგენილია მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები, მათ შორის გრიფირებული სახელმძღვანელოები, ელექტრონული რესურსები, ვირტუალური ლაბორატორიები, ვიდეომასალები, თვალსაჩინოებები, მოდელები და პრაქტიკული აქტივობებისათვის განკუთვნილი მატერიალური რესურსები. წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და კათედრის საქმიანობით იკვეთება რესურსების გამოყენების მცდელობა მოსწავლეთა ფუნქციური, კვლევითი და პრაქტიკული უნარების განვითარების მიზნით.

ქიმიის, ბიოლოგიისა და ფიზიკის კურიკულუმებში გათვალისწინებულია როგორც საბაზისო, ისე დამატებითი რესურსები, რაც ხელს უწყობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შედეგების მიღწევას. განსაკუთრებით ქიმიის კურიკულუმებში იკვეთება ელექტრონული რესურსებისა და ვირტუალური ლაბორატორიების გამოყენება. წარმოდგენილია სასწავლო რესურსების ინვენტარიზაციის დოკუმენტაციაც.

ამასთანავე, რესურსების გრაფაში ცალკეულ შემთხვევებში მითითებულია მხოლოდ სახელმძღვანელოს ბიბლიოგრაფიული მონაცემები კონკრეტული პარაგრაფების, გვერდების,

	სავარჯიშოებისა და დამატებითი რესურსების დაზუსტების გარეშე. ასევე, კონტექსტ-მაგალითებსა და კომპლექსურ/შემოქმედებით დავალებებთან დაკავშირებული რესურსები ზოგ შემთხვევაში ზოგადი ფორმითაა წარმოდგენილი, რის გამოც ნაკლებად იკვეთება კონკრეტული რესურსის კავშირი დაგეგმილ აქტივობასა და სასწავლო შედეგებთან. წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ სკოლა ფლობს მრავალფეროვან საბუნებისმეტყველო რესურსებს, თუმცა არსებული სარემონტო მდგომარეობის გამო ამ ეტაპზე სრულფასოვანი ლაბორატორიული სივრცე არ ფუნქციონირებს. მიუხედავად ამისა, პედაგოგები იყენებენ ხელმისაწვდომ მატერიალურ რესურსებს, თვალსაჩინოებებს, ელექტრონულ რესურსებსა და ვირტუალურ ლაბორატორიებს, რაც ნაწილობრივ უზრუნველყოფს პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებას. **რჩევა:** სასურველია რესურსების გრაფაში (ბიოლოგია VII და XII კლასები, ფიზიკა VIII, X და XI კლასები) უფრო კონკრეტულად მიეთითოს გამოყენებული სახელმძღვანელოების შესაბამისი პარაგრაფები, გვერდები, სავარჯიშოები და ზოგ შემთხვევაში დამატებითი ელექტრონული რესურსები. ასევე სასურველია კონტექსტ-მაგალითებსა და კომპლექსურ/შემოქმედებით დავალებებთან დაკავშირებული რესურსების უფრო დეტალურად და მიზნობრივად წარმოდგენა. საბუნებისმეტყველო მიმართულებით პრაქტიკული და ექსპერიმენტული აქტივობების უფრო ეფექტიანად განხორციელების მიზნით სასურველია სკოლამ უზრუნველყოს შესაბამისი ლაბორატორიული სივრცისა და გარემოს ხელმისაწვდომობა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმის განხორციელებისას გამოიყენება მრავალფეროვანი რესურსები, მათ შორის სახელმძღვანელოები, საინფორმაციო ბუკლეტები, SWOT ანალიზის ინსტრუმენტები და ციფრული ტექნოლოგიები PPP. სასწავლო პროცესში ჩართულია რეალური გარემოდან აღებული მასალები, როგორიცაა კოლხეთის ეროვნული პარკის ბუნების, ტურისტული რესურსებისა და მათი დაცვის შესახებ არსებული წყაროები, რაც ეხმარება მოსწავლეს სამიზნე ცნებების გააზრებაში. სწავლის შედეგების მისაღწევად აქტიურად გამოიყენება "ტელესკოლის" გაკვეთილები, ვიზუალური და ტექსტური წყაროები, აგრეთვე სპეციალურად შექმნილი ტერმინოლოგიური ლექსიკონები. სწავლის შედეგების განმტკიცებას ემსახურება სკოლისგარე რესურსებიც, როგორიცაა საუნივერსიტეტო ლექციები (სეუ) და სამეცნიერო კონფერენციები, სადაც მოსწავლეები ახდენენ კურიკულუმით მიღებული ცოდნის რეალიზებას.

რჩევა: საბაზო და საშუალო საფეხურები: კოლხეთის ეროვნული პარკის მსგავსად, გამოიყენეთ სხვა ლოკალური ობიექტებიც მაგ: თბილისის ძველი უბნების ურბანული განვითარება ან ლილოს ბაზრობა, როგორც ეკონომიკური ქეისი, რაც მოსწავლისთვის საკითხს უფრო ახლობელს გახდის. შექმენით „საერთო ქეისების ბანკი“, სადაც ერთი კონკრეტული მოვლენა მაგ: მყინვარების დნობა კავკასიონზე გაანალიზდება როგორც გეოგრაფიული, ისე ეკონომიკური და სამოქალაქო პასუხისმგებლობის კუთხით. ნაცვლად მხოლოდ აღწერისა, ქეისი წარადგინეთ როგორც დილემა. მაგალითად, „ამაზონის ტყეების“ ქეისში მოსწავლეებს დაავალეთ არა მხოლოდ პრობლემის აღწერა ბუკლეტში, არამედ კონკრეტული „გადარჩენის გეგმის“ შემუშავება.

უცხოური ენები

გააძლიერეთ როლური თამაშების კომპონენტი. ქეისი უფრო ეფექტურია, როცა მოსწავლე მას მაგ: გარემოსდაცვითი ომბუდსმენის პოზიციიდან განიხილავს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

სკოლაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსი და საგანამნათლებლო რესურსი უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. სკოლას აქვს კომპიუტერული ლაბორატორია, რომელსაც საწიროების შემთხვევაში იყენებს. სკოლა ხელმძღვანელობს გრიფმინიჭებული სახემძღანელოებით, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს ესგ-ის შედეგების მიღწევას. ასევე, საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოებში, სკოლამ წარმოადგინა დამატებითი რესურსები ბმულებისა და ჰიპერბმულების საშუალებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

ესთეტიკური აღზრდა

სასწავლო რესურსი უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო შედეგების მიღწევას.ძირითად საგანმანათლებლო რესურსებთან ერთად ,კურიკულუმებში ასახულია დამხმარე რესურსებიც ბმულის სახით,რომელთა შერჩევა ხდება შუალედური და გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად და მორგებულია მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

სახელმწიფო ენა

კურიკულუმით განსაზღვრული რესურსები – სასწავლო მასალები, ვიზუალური და ციფრული საშუალებები, ასევე თემატურად შერჩეული დამატებითი წყაროები – ეფექტურად გამოიყენება და ხელს უწყობს მოსწავლეების მიერ სასწავლო შედეგების მიღწევას. აღსანიშნავია, რომ რესურსები შერჩეულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებებისა და ინტერესების გათვალისწინებით. მასწავლებლები მათ აქტიურად იყენებენ სასწავლო პროცესში, რაც დადებითად აისახება როგორც

	აკადემიური ცოდნის გაღრმავებაზე, ისე სოციალური უნარებისა და კრიტიკული აზროვნების განვითარებაზე. **რჩევა სამივე საფეხურისათვის:** სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებისთვის მნიშვნელოვანია, რომ სკოლაში გამოყენებული იყოს მრავალფეროვანი და მიზნობრივად შერჩეული რესურსები. მხოლოდ ერთი ტიპის რესურსზე ორიენტირება ვერ უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის ინტერესებისა და საჭიროებების სრულად გათვალისწინებას. გარკვეულ კლასებში აუდიო და ვიდეო რესურსები ნაკლებად იყო გამოყენებული, ზოგ შემთხვევაში კი წარმოდგენილი იყო მხოლოდ ერთგვარი სასწავლო მასალა. სასურველია, ყველა საგანსა და კლასში თანაბრად დაინერგოს სხვადასხვა სახის რესურსი — ტექსტური, ვიზუალური, ელექტრონული, აუდიო და ვიდეო მასალები. თანამედროვე ციფრული რესურსების გამოყენება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ისინი ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციის ზრდას, სასწავლო მასალის უკეთ აღქმასა და სხვადასხვა სასწავლო საჭიროების მქონე მოსწავლეების მხარდაჭერას. რეკომენდებულია ასევე მასწავლებლებს შორის თანამშრომლობის გაძლიერება რესურსების შერჩევისა და შექმნის მიმართულებით, გამოცდილების გაზიარება და ეფექტური პრაქტიკის გავრცელება, რაც სასწავლო პროცესს უფრო მრავალფეროვანს, მოსწავლეზე ორიენტირებულსა და ეფექტიანს გახდის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	ამჟამად კურიკულუმებში ძირითადად ინტერნეტში მოძიებული მასალებია გამოყენებული. იმისათვის, რომ სწავლა უფრო ეფექტური იყოს, კარგი იქნება, თუ კურიკულუმში სხვადასხვა ტიპის მასალებსაც ჩავამატებთ. რესურსების გამრავალფეროვნება მასწავლებელს დაეხმარება, რომ გაკვეთილი ყველა ბავშვის შესაძლებლობებსა და ინტერესებს მოარგოს. **რჩევა სამივე საფეხურისათვის:** კურიკულუმის გადამუშავებისას, პირველ რიგში, რესურსების მრავალფეროვნებაზე გაკეთდეს უნდა აქცენტი. რაც უფრო მეტი სახის რესურსს გამოიყენებთ, სასწავლო პროცესი მით უფრო საინტერესო გახდება, რაშიდაც კათედრის ფუნქციური მუშაობა დაეხმარება მასწავლებლებს.
სპორტი	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმებში თემებთან მიმართებით წარმოდგენილია მრავალფეროვანი ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსები ლინკების სახით:

	სახელმძღვანელოები, გზამკვლევები, პრეზენტაციები და ვარჯიშების ვიდეოინსტრუქციები. მასწავლებლების მიერ გამოყენებული რესურსები შეესაბამება მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებსა და საჭიროებებს. აღნიშნული რესურსების მიზნობრივი და ეფექტური გამოყენება ხელს უწყობს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში და უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმების ანალიზით დასტურდება, რომ შერჩეული სასწავლო რესურსები პირდაპირ უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. კურიკულუმში რესურსები დაჯგუფებულია მიზნობრივად: სწავლის პროცესში გამოყენებულია საერთაშორისო და ლოკალური პლატფორმები (Scratch, Code.org, school.emis.ge, "ვსწავლობთ თამაშით"), რაც ხელს უწყობს ალგორითმული და ლოგიკური აზროვნების განვითარებას პრაქტიკული გზით. ინტეგრირება საშუალებას აძლევს მოსწავლეს, დაეუფლოს ინფორმაციის დამუშავებას, შენახვასა და გაზიარებას რეალურ ციფრულ გარემოში. პირობითი ნიშნებისა და კომპიუტერის აგებულების სწავლებისას გამოყენებულია თვალსაჩინოებები, მაკეტები და გრაფიკული რედაქტორები (Paint 3D), რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დაწყებით საფეხურზე კონსტრუქტივისტული მიდგომის (კეთებით სწავლება) განხორციელებისთვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის სასწავლო კურიკულუმებში გათვალისწინებულია მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები - როგორც გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, ისე დამხმარე მასალები (სხვადასხვა ციფრული თუ მატერიალური რესურსები). აღნიშნული რესურსები მიზნად ისახავს საგნობრივი სტანდარტების ეფექტიანად მიღწევას, მოსწავლეთა ჩართულობის გაზრდასა და სასწავლო შედეგების გაუმჯობესებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო საგნობრივი ჯგუფის კურიკულუმებში იკვეთება ინკლუზიური და მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების მიდგომების გამოყენების მცდელობა. კურიკულუმებში წარმოდგენილია მრავალფეროვანი აქტივობები, კვლევითი და პროექტული დავალებები,

ელექტრონული რესურსები, ვიზუალური მასალები და პრაქტიკული აქტივობები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა განსხვავებული საჭიროებების, ინტერესებისა და სწავლის სტილის გათვალისწინებას.

დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილ დოკუმენტაციაში იკვეთება მოსწავლეთა მხარდაჭერისა და რემედიაციის პრაქტიკული ელემენტები. წარმოდგენილია სარემედიაციო პროგრამები, სკრინინგისა და შედეგების ანალიზი, სამიზნე ჯგუფების განსაზღვრა, გაკვეთილების დაგეგმვა, პროგრესის მონიტორინგი და შეფასება. საბაზო და საშუალო საფეხურებზე კი საბუნებისმეტყველო მიმართულებით დიფერენცირებული სწავლებისა და რემედიაციის პროცესის ამსახველი შესაბამისი დოკუმენტაცია წარმოდგენილი არ არის.

რჩევა: სასურველია საბაზო და საშუალო საფეხურების საბუნებისმეტყველო საგნობრივ კურიკულუმებსა და შესაბამის დოკუმენტაციაში უფრო მკაფიოდ და სისტემურად აისახოს დიფერენცირებული სწავლებისა და რემედიაციის პრაქტიკული მიდგომები, მათ შორის მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების შესაბამისად დაგეგმილი აქტივობების, რესურსებისა და მხარდაჭერის მექანიზმების კონკრეტული მაგალითები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

სკოლას აქვს შემუშავებული სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტები, რომელთა საფუძველზეც ხდება მოსწავლეთა ტიპური სირთულეების იდენტიფიცირება (მაგ: ტერმინოლოგიის გააზრება, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დანახვა).

რემედიაციის პროცესი მკაფიოდ დიფერენცირებულია. მაგალითად, ისტორიასა და მოქალაქეობაში გამოყენებულია სოკრატული მეთოდი, რაც საშუალებას აძლევს მასწავლებელს, ინდივიდუალური კითხვა-პასუხის რეჟიმში მიიყვანოს მოსწავლე დასკვნამდე მაგ: რატომ ეწოდებოდა სამცხე-ჯავახეთს „საქართველოს სამხრეთ კარიბჭე“.

სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სხვადასხვა ტიპის მოსწავლეს „ტელესკოლის“ გაკვეთილების გამოყენება და ვიზუალური წყაროების დამუშავება.ტექსტური წყაროების ადაპტირება და დამაზუსტებელი კითხვების დასმა.

რჩევა: სასურველია კომპლექსური დავალების პირობა იყოს „მოქნილი“ და ითვალისწინებდეს მოსწავლეთა სხვადასხვა შესაძლებლობებს. მაგალითად, ნაცვლად მხოლოდ ბუკლეტისა (რომელიც წერით უნარებს მოითხოვს), მოსწავლეს მიეცეს არჩევანი: შექმნას ბუკლეტი, ჩაწეროს მოკლე აუდიო-

ინტერვიუ ან მოამზადოს ვიზუალური პლაკატი/კოლაჟი. ეს დაეხმარება მათ, ვისაც ტექსტის წერა უჭირს, თუმცა კარგად ფლობს ვიზუალურ ან ვერბალურ კომუნიკაციას.

შემაჯამებელი ტესტების შედგენისას როგორც ეს რემედიაციის გეგმაშია, კარგი იქნება კითხვების დიფერენცირება სირთულის მიხედვით მარტივიდან რთულისკენ, რათა დაბალი აკადემიური მოსწრების მოსწავლემ არ დაკარგოს მოტივაცია და შეძლოს საკუთარი კომპეტენციის ჩვენება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები

ინგლისურ, ფრანგულ და რუსულ ენებში წარმოდგენილი სასკოლო კურიკულუმი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ინკლუზიორობას და ითვალისწინებს დიფერენცირებული სწავლების მიდგომის პრინციპებს. □არმოდგენილი პროექტული ტიპის დავალებები არის მრავალფეროვანი. □ავალებები იმგავარად არის შეთავაზებული მოსწავლეებისათვის, რომ მათი განხორციელება ნებისმიერი აკადემიური შესაძლებლობების მოსწავლისათვის არის შესაძლებელი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ესთეტიკური აღზრდა

კათედრის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი ინკლუზიურია და ითვალისწინებს დიფერენცირებული სწავლების მეთოდებს. დოკუმენტაციაში მკაფიოდ ჩანს დიფერენცირებული სწავლებისა და რემედიაციის პრაქტიკული მიდგომები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

სახელმწიფო ენა

სკოლა დამაკმაყოფილებელ დონეზე უზრუნველყოფს ინკლუზიური და დიფერენცირებული მიდგომების განხორციელებას სასწავლო პროცესში. ნათლად ჩანს მცდელობა, რომ სწავლა-სწავლება ორგანიზებული იყოს თითოეული მოსწავლის უნარების, შესაძლებლობებისა და საჭიროებების გათვალისწინებით. მასწავლებლები იყენებენ აქტივობებსა და მეთოდებს, რათა უზრუნველყონ ყველა მოსწავლის ჩართულობა, მათ შორის იმ მოსწავლეებისაც, რომლებიც განსაკუთრებულ საგანმანათლებლო საჭიროებებს ავლენენ. დოკუმენტაციაში ჩანს, რომ სკოლა ყურადღებას უთმობს მოსწავლეთა მხარდაჭერასა და აკადემიური სირთულეების დაძლევას. წარმოდგენილია სარემედიაციო მუშაობის კონკრეტული გეგმები, მოსწავლეთა საჭიროებების გამოვლენისა და შედეგების ანალიზის პროცესი, განსაზღვრულია მხარდასაჭერი ჯგუფები, დაგეგმილია შესაბამისი აქტივობები და მიმდინარეობს მოსწავლეთა პროგრესის დაკვირვება და შეფასება.

ასევე აღსანიშნავია, რომ სკოლამ წარმოადგინა რამდენიმე დოკუმენტი, ისგ გეგმა, შესაბამისი ოქმი და სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო რესურსების მიწოდების რეგულაციის დამტკიცების წესი. რომლებშიც იკვეთება, რომ სკოლა ცდილობს ინკლუზიურობის მიმართულებით.

რჩევა: დიფერენცირებული აქტივობების დაგეგმვისას სასურველია, თითოეულ მიმართულებას (არჩევით დავალებას) თან ახლდეს მკაფიო აღწერა, ინსტრუქცია და შესაბამისი შეფასების კრიტერიუმები. მნიშვნელოვანია, მოსწავლეს ჰქონდეს ზუსტი და გასაგები წარმოდგენა იმის შესახებ, თუ რა ტიპის დავალება უნდა შეასრულოს, რა ფორმატითაა მოსალოდნელი სამუშაოს წარმოდგენა და რა სპეციფიკური მოთხოვნების გათვალისწინებაა აუცილებელი.

ამასთანავე, შეფასების კრიტერიუმების წინასწარ განსაზღვრა (თითოეული არჩევითი დავალებისთვის) და მოსწავლეებისთვის გაზიარება ხელს უწყობს სასწავლო პროცესის გამჭვირვალობასა და სამართლიანობას. მოსწავლე უკეთ აცნობიერებს, რა დეტალებზე უნდა გაამახვილოს ყურადღება, რა არის წარმატების მაჩვენებელი და როგორ შეფასდება მისი ნამუშევარი.

ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში სასურველია მკაფიოდ და კონკრეტულად იყოს წარმოდგენილი შესაბამისი საფეხურის სამიზნე ცნებები, რათა ნათლად გამოიკვეთოს, რა მიმართულებებზე მიმდინარეობს მუშაობა. ასევე მნიშვნელოვანია, თითოეულ სამიზნე ცნებასთან მიმართებით აღწერილი იყოს მოსწავლის არსებული ცოდნა, უნარები და მზაობის დონე, რაც დაეხმარება მასწავლებელს სასწავლო პროცესის სწორად დაგეგმვასა და მოსწავლის პროგრესზე ეფექტურ დაკვირვებაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

მათემატიკა

სკოლას აქვს ისგ-ის შემუშავების მექანიზმი, რაც თითოეულ მოსწავლეზე ზრუნვის შესაძლებლობას იძლევა. შემოქმედებით დავალებებში ჩანს დიფერენცირებული მიდგომა, რაც უზრუნველყოფს, რომ ბავშვი არ დარჩეს გაკვეთილზე ჩართვის გარეშე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

სპორტი

მასწავლებლები სასწავლო პროცესში ითვალისწინებენ დიფერენცირებული სწავლების პრინციპებს. მათ შუძლიათ მოსწავლის ინტერესების, მზაობის და ფიზიკური მონაცემების შესაბამისად დავალების მოდიფიცირება და ადაპტირება, რაც დასტურდება წარმოდგენილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ანალიზით. ინტერვიუს დროს ცხადი გახდა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობების მრავალფეროვნება. შესაბამისად,

	კურიკულუმების დაგეგმვის ეტაპზევე გათვალისწინებულია მოსწავლეთა საჭიროებები, რაც ხელს უწყობს თითოეული მოსწავლის აქტიურ ჩართულობასა და სასწავლო შედეგების მიღწევას. **რჩევა: საშუალო საფეხური:** სასურველია მე-12 კლასის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში მასწავლებელმა ყველა სამიზნე ცნების მიმართ აღწეროს მოსწავლის ცოდნის აქტუალური დონე, გრძელვადიანი მიზნები და შესაბამისად ყველა სამიზნე ცნების მიმართ აღწეროს პროგრესის შეფასება. ასევე სასურველია მიუთითოს რა საგანმანათლებლო რესურსებს იყენებს შუალედური მიზნების განსახორციელებლად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	კომპიუტერული ტექნოლოგიების კურიკულუმების ანალიზი ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესი აგებულია ინკლუზიურობისა და დიფერენცირებული სწავლების პრინციპებზე. დოკუმენტაციაში გამოკვეთილია შემდეგი მიდგომები:კურიკულუმით გათვალისწინებული კომპლექსური დავალებები იძლევა მათი მოდიფიცირების შესაძლებლობას მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების შესაბამისად. მაგალითად, ვიზუალური პროგრამირების (Scratch) გამოყენება საშუალებას აძლევს მასწავლებელს, შესთავაზოს მოსწავლეებს სხვადასხვა სირთულის ალგორითმები, მარტივი ანიმაციიდან რთულ, მრავალდონიან თამაშებამდე. სწავლის პროცესში გამოყენებულია როგორც ტექსტური, ისე ვიზუალური და აუდიო რესურსები (მაგ. „ვსწავლობთ თამაშით“, ვიდეო გაკვეთილები, Paint 3D), რაც უზრუნველყოფს სხვადასხვა ტიპის (ვიზუალური, კინესთეტიკური) მასალის ხელმისაწვდომობას. კურიკულუმი ითვალისწინებს „ხარაჩოს“ პრინციპს, რაც ხელს უწყობს მათ დამოუკიდებელ მუშაობას საკუთარი ტემპით. დავალებების იდეები (მაგ. „შექმენი შენი სამუშაო დღის ციკლი“, „პერსონალური გამოფენა“) მორგებულია მოსწავლეთა პირად კონტექსტსა და ინტერესებზე, რაც ზრდის მათ მოტივაციას და უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში ყველა მოსწავლის ჩართულობას.სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ეფუძნება დიფერენცირებულ მიდგომებს. შერჩეული მეთოდოლოგია და რესურსები მასწავლებელს აძლევს შესაძლებლობას, სასწავლო გარემო მოარგოს თითოეული მოსწავლის შესაძლებლობებსა და წინარე ცოდნას, რაც უზრუნველყოფს თანაბარ წვდომას ხარისხიან განათლებაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლა ითვალისწინებს სასწავლო პროცესში დიფერენცირებულ მიდგომებს. ამის დასტურია წარმოდგენილი დავალებები, აქტივობები, რესურსები, რომლებიც მორგებულია მოსწავლეზე და იწვევს მათ დაინტერესებას. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ საშუალებას აძლევენ მოსწავლეებს საკუთარი ინტერესებიდან, შესაძლებლობებიდან, მზაობიდან გამომდინარე აარჩიონ დავალება, საჭიროების შემთხვევაში ახდენენ სასწავლო შინაარსისა და დავალებების ადაპტირებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო საგნობრივი ჯგუფის კურიკულუმებში და წარმოდგენილ დოკუმენტაციაში იკვეთება მოსწავლის შეფასების სისტემის შესაბამისობა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებთან, მიზნებსა და ამოცანებთან. წარმოდგენილია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების ელემენტები, თემის შეფასების რუბრიკები, შემაჯამებელი დავალებების შეფასების კომპონენტები, თვითშეფასებისა და უკუკავშირის ცალკეული მექანიზმები. დაწყებით საფეხურზე უფრო მკაფიოდ იკვეთება მოსწავლეთა მხარდაჭერისა და რემედიაციის პრაქტიკული ელემენტები. საბაზო და საშუალო საფეხურებზე წარმოდგენილია შეფასების რუბრიკებისა და შეფასების ინსტრუმენტების ნაწილი, თუმცა შეფასების პრაქტიკის განხორციელების ამსახველი კონკრეტული მტკიცებულებები (მაგ. შევსებული რუბრიკები, მოსწავლეთა ნამუშევრები, განმავითარებელი უკუკავშირის მაგალითები) ყველა საგანსა და კლასში თანაბარი სისრულით წარმოდგენილი არ არის. **რჩევა:** სასურველია საბაზო და საშუალო საფეხურების საბუნებისმეტყველო მიმართულებით უფრო სისტემურად წარმოდგენილი იყოს შეფასების პრაქტიკის ამსახველი დოკუმენტაცია, მათ შორის შევსებული რუბრიკები, განმავითარებელი უკუკავშირის მაგალითები, მოსწავლეთა ნამუშევრები და დიფერენცირებული შეფასების პრაქტიკული ნიმუშები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები

სკოლაში შეფასება არ ემსახურება მხოლოდ ფაქტობრივი მასალის რეპროდუცირებას. შეფასების კრიტერიუმები პირდაპირ გამომდინარეობს სამიზნე ცნებებიდან, რაც ესგ-ის მთავარი მოთხოვნაა.

სკოლას აქვს გამართული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ორიენტირებულია სწავლის პროცესზე და ეხმარება მოსწავლეს წინსვლაში. განმსაზღვრელი შეფასება ხორციელდება ვალიდური ინსტრუმენტებით (ტესტები, კომპლექსური დავალებები), სადაც შეფასების რუბრიკები წინასწარ არის ცნობილი მოსწავლისთვის. დოკუმენტაციაში ჩანს სოლო-ტაქსონომიის ცხრილების გამოყენება, რაც საშუალებას იძლევა, მოსწავლის პასუხი შეფასდეს სტრუქტურულ დონეზე (პრესტრუქტურულიდან აბსტრაქტულ დონემდე). ეს მიდგომა სრულად პასუხობს კონსტრუქტივისტულ პრინციპებს. სკოლა ახორციელებს შეფასების ვერიფიკაციას (ნაშრომების 20%-ის გადამოწმება), რაც უზრუნველყოფს შეფასების ვალიდურობას, ობიექტურობასა და გამჭვირვალობას. კურიკულუმში ინტეგრირებულია მოსწავლეთა თვითშეფასების კითხვარები, რაც ხელს უწყობს მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას მოსწავლე თავად აანალიზებს, რა გაუჭირდა და რამ შეუწყო ხელი დავალების შესრულებაში. რემედიაციის გეგმებში ჩანს, რომ შეფასება არ არის ფინალური წერტილი. შეფასების შედეგების საფუძველზე იგეგმება შემდგომი მხარდამჭერი აქტივობები.

რჩევა საბაზო და საშუალო საფეხურისათვის: კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის სასურველია გამოიყენოთ - მეტაკოგნიტური შეკითხვების ბარათები. მაგალითად, დავალების შუა ეტაპზე მოსწავლემ უნდა უპასუხოს: რა სტრატეგიას ვიყენებ ახლა?, რა დამაბრკოლებს? და რა დამეხმარება წინსვლაში?. ეს დაეხმარება მათ საკუთარი სწავლის მართვაში. ხშირად სოლო-ტაქსონომიის ენა მოსწავლისთვის რთულია. კარგი იქნება, თუ შექმნით რუბრიკების „მოსწავლის ვერსიას“ მარტივი ენით, რათა მათ ზუსტად იცოდნენ, რას მოელიან მათგან მაგ: მე შემიძლია დავაკავშირო ამაზონის ტყეების გაჩეხვა გლობალურ დათბობასთან, რადგან სკოლაში ბევრი შემოქმედებითი პროდუქტი იქმნება (SWOT ანალიზი, ბუკლეტები), კარგი იქნება „პროგრესის პორტფოლიოს“ წარმოება (ციფრული ან ფიზიკური). ეს საშუალებას მოგცემთ, წლის ბოლოს შეაფასოთ არა მხოლოდ ცალკეული ნიშანი, არამედ მოსწავლის განვითარების დინამიკა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები

ინგლისურ, რუსულ და ფრანგულ ენაებში წარმოდგენილი შეფასების დოკუემნტები, რომელიც მორგებულია შუალედურ მიზნებს. ეფასების დოკუმენტები ეყრდნობა სამიზნე ცნებებს, რაც

	პირდაპირ ეხმიანებია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	კათედრას შემუშავებული აქვს შეფასების რუბრიკები,როგორც ჰოლისტური,ასევე ანალიტიკური.სკოლამ დამატებით მოთხოვნილ დოკუმენტაციაში წარმოადგინა განმსაზღვრელი შეფასების ნიმუში დაწყებით და საბაზო საფეხურზე თემასთან და ცნებებთან მიმართებით .სასურველია,დაწყებით საფეხურზე,მუსიკის საგანში განმავითარებელი შეფასება გაიწეროს კონტექსტთან მიმართებაში და არა ზოგადად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**.
სახელმწიფო ენა	შეფასების რუბრიკები შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებთან. შეფასების პროცესში ყურადღება ექცევა როგორც ცოდნის დონის განსაზღვრას, ისე სხვადასხვა უნარის შეფასებას. აღსანიშნავია, რომ მასწავლებლები იყენებენ წინასწარ გაწერილ კრიტერიუმებს, რომლებიც უზრუნველყოფს შეფასების ობიექტურობას, გამჭვირვალობასა და ვალიდურობას. ამასთან, სკოლა სისტემატურად აანალიზებს შეფასების შედეგებს. პრაქტიკაში გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასების ფორმები, ხოლო მტკიცებულებების სახით წარმოდგენილია სხვადასხვა აქტივობისთვის შერჩეული შეფასების შესაბამისი ფორმები. **რჩევა:** შეფასების კრიტერიუმების გაწერისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს თავად დავალების პირობას — მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული, რას ვითხოვთ მოსწავლისგან და რა ტიპის უნარების წარმოჩენას ველოდებით მისგან. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ესეს/თხზულების/თემის წერის შეფასებისას, რადგან მსგავსი დავალებები მხოლოდ ფაქტობრივი ცოდნისა და სტრუქტურის გადამოწმებას არ ემსახურება; ისინი მოსწავლის აზროვნების, მსჯელობის, ანალიზისა და საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვის უნარს ავლენს. ამიტომ საჭიროა ამ მიმართულებით კრიტერიუმების გაწერისას გავითვალისწინოთ შესაბამისი ცნებები ეროვნული სასწავლო გეგმიდან. ამგვარი წერითი ნამუშევრების შეფასება ვერ იქნება სრულყოფილი, თუ კრიტერიუმებში მხოლოდ შინაარსობრივი და სტრუქტურული მხარეა წარმოდგენილი. აუცილებელია, შეფასებისას ყურადღება გამახვილდეს ანალიზის სიღრმეზე - რამდენად ახერხებს მოსწავლე საკითხის გააზრებას, არგუმენტირებულ მსჯელობასა და დასკვნების გამოტანას. ასევე მნიშვნელოვანია დეტალების

	შეფასება და მაგალითების გამოყენება, რადგან სწორედ ეს აჩვენებს, რამდენად გააზრებულად მუშაობს მოსწავლე ტექსტზე და რამდენად შეუძლია საკუთარი მოსაზრების გამყარება. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სტილსაც — რამდენად გამართული, თანმიმდევრული და მკითხველისთვის გასაგებია ტექსტი. მოსწავლის წერითი კულტურის შეფასების მნიშვნელოვანი ნაწილია ორთოგრაფიისა და პუნქტუაციის გათვალისწინებაც, რადგან სწორად დაწერილი და გამართული ტექსტი აზრის მკაფიო გადმოცემას უწყობს ხელს. თუ აღნიშნული მიმართულებები შეფასების კრიტერიუმებში არ არის წარმოდგენილი, შეფასება არასრულყოფილი ხდება, რადგან ვერ ასახავს მოსწავლის წერითი უნარების სრულ სურათს. სწორედ ამიტომ, კრიტერიუმები უნდა იყოს მრავალმხრივი, მკაფიო და იმ უნარებზე ორიენტირებული, რომელთა განვითარებასაც კონკრეტული დავალება ისახავს მიზნად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	მათემატიკის შეფასების რუბრიკები ზუსტად მიჰყვება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. გადმოგზავნილი შეფასების რუბრიკები მასწავლებლებს დაეხმარება, რომ ობიექტურად დაინახონ და ასახონ თითოეული მოსწავლის აკადემიური წინსვლა. ეს მიდგომა შეფასების პროცესს ბევრად უფრო ეფექტურს გახდის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** **რჩევა:** კარგი იქნება, თუ შეფასების რუბრიკები კიდევ უფრო კონკრეტული გახდება.
სპორტი	მასწავლებლებმა წარმოადგინეს მძლეოსნობის, ფეხბურთის და ფრენბურთის განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლის საშუალებითაც დეტალურად არის განსაზღვრული მოსწავლისგან მოსალოდნელი შედეგები შესაბამის სამიზნე ცნებასთან მიმართებით. ასევე წარმოადგინეს განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები (ფეხბურთი, ფრენბურთი), რომელიც ადგენს მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონეს საგნობრივი სტანდარტის შედეგებთან მიმართებით. შეფასების რუბრიკები ეხმარება მასწავლებლებს სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვაში. მასწავლებლებს სამივე საფეხურზე განხორციელებული აქვთ მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირება სპორტის სხვადასხვა სახეობაში. მასწავლელი დაკვირვების შედეგად გამოკვეთს მოსწავლეების ტიპურ პრობლემებს, რომლის აღმოსაფხვრელად მოსწავლის დიაგნოსტირების ანალიზის საფუძველზე გეგმავს დამატებითი სასწავლო აქტივობების განხორციელებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ტექნოლოგიები	წარმოდგენილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, არის მრავალმხრივი და განვითარებაზე ორიენტირებული. განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ვალიდურად მიემართება სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენების გათავისების პროცესს. განმსაზღვრელი შეფასების კრიტერიუმები კი მკაფიოდ არის სტრუქტურირებული, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების ობიექტურ, გამჭვირვალე და სამართლიან გაზომვას. შეფასების პროცესი ხელს უწყობს ცოდნის სამივე კატეგორიის (დეკლარატიული, პროცედურული და პირობისეული) რეალიზებას და სრულ თანხვედრაშია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	შეფასების რუბრიკებზე დაყრდნობით სკოლა ადასტურებს, რომ შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი იყო რამდენიმე შეფასების რუბრიკის ნიმუში. ინტერვიუსას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კათედრის წევრები ერთად ამუშავებენ შეფასების კრიტერიუმებს, რომლებიც მიემართება გრძელვადიან სასწავლო მიზნებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- მოსწავლეთა ნამუშევრები;
- თემის შეფასების რუბრიკები (VIII კლასის ქიმია; XI კლასის ქიმია; XI კლასის ბიოლოგია);
- სარემედიაციო პროგრამები და რემედიაციის ამსახველი დოკუმენტაცია (დაწყებითი საფეხური, ბუნებისმეტყველება);
- სასწავლო რესურსების ინვენტარიზაციის დოკუმენტაცია;
- კათედრის სამოქმედო გეგმები;
- ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმები;
- ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შეფასების რუბრიკები;
- მოსწავლის მიღწევის დიაგნოსტირების ინსტრუმენტი - ანგარიშის ფორმა;
- ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის ოქმები, სამოქმედო გეგმა, საგანმანათლებლო რესურსები;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;

- სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება	☒ შეესაბამება	☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება	☐ მეტწილად შეესაბამება	☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება	☐ ნაწილობრივ შეესაბამება	☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება	☐ არ შეესაბამება	☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო საგნობრივი ჯგუფის წარმოდგენილი კურიკულუმები, თემატური გეგმები და შეფასების დოკუმენტაცია, აგრეთვე პედაგოგებთან გასაუბრება ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესი ძირითადად სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად ხორციელდება. დოკუმენტაციასა და კათედრის სამოქმედო გეგმებში იკვეთება კვლევითი, პროექტული, ინტეგრირებული და პრაქტიკულ აქტივობებზე დაფუძნებული სწავლების განხორციელების მცდელობა. წარმოდგენილია შეფასების რუბრიკები, განმავითარებელი შეფასების ელემენტები, დიაგნოსტირების, თვითშეფასების, ურთიერთშეფასებისა და განმავითარებელი მხარდაჭერის ამსახველი დოკუმენტაცია. დაწყებით

	საფეხურზე უფრო მკაფიოდ იკვეთება მოსწავლეთა მხარდაჭერის, დიფერენცირებული სწავლებისა და რემედიაციის პრაქტიკული ელემენტები. საბაზო და საშუალო საფეხურებზე წარმოდგენილია სასწავლო პროექტების, ინტეგრირებული აქტივობებისა და პრაქტიკული სამუშაოების დაგეგმვის ამსახველი დოკუმენტაცია. მასწავლებლებთან გასაუბრებისას ასევე აღინიშნა აღნიშნული აქტივობების განხორციელების პრაქტიკა, თუმცა მათი განხორციელების ამსახველი კონკრეტული მტკიცებულებები (მოსწავლეთა ნამუშევრები, აქტივობების აღწერა, შედეგების ანალიზი და სხვა) შეზღუდულად არის წარმოდგენილი.
	რჩევა: სასურველია საბაზო და საშუალო საფეხურებზე უფრო სისტემურად იყოს წარმოდგენილი სასწავლო პროცესის პრაქტიკული განხორციელების ამსახველი დოკუმენტაცია, მათ შორის განხორციელებული პროექტების, ინტეგრირებული აქტივობების, პრაქტიკული სამუშაოების, მოსწავლეთა ნამუშევრებისა და შედეგების ანალიზის კონკრეტული მაგალითები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები (ისტორია, მოქალაქეობა, გეოგრაფია 7-12 კლასები) სრულად განსაზღვრავს სასწავლო პროცესის დინამიკას. დაგეგმვა ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის სამიზნე ცნებებსა და თემებს. სასწავლო პროცესი სტრუქტურირებულია კომპლექსური დავალებების ირგვლივ. მაგალითად:მე-10 კლასში დაგეგმილია ცხრილის შექმნა „რჩევები იმპერატორს“ რომის კრიზისის თემაზე, ხოლო მე-8 კლასში როლური გააზრება „XV ს-ის სავაჭრო გილდიის წევრი“. მე-9 კლასში დაგეგმილია საჯარო სიტყვის მომზადება მდგრადი განვითარების მიზნებზე, რაც პირდაპირ მიემართება კურიკულუმით განსაზღვრულ „მონაწილეობის“ ცნებას. დაგეგმვა ითვალისწინებს კურიკულუმში მითითებული მრავალფეროვანი რესურსების გამოყენებას .სასწავლო პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ საკლასო გარემოთი. ეკო-ტურისტული კლუბის „მწვანე თაობა“ და ფრანკოფონების კლუბის აქტივობების რეფლექსია აჩვენებს, რომ კურიკულუმით დასახული მიზნები (ეკოლოგიური ცნობიერება, კულტურული მრავალფეროვნება) პრაქტიკულად აისახება კლუბურ მუშაობასა და პროექტებში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. ღნიშნული დასტურდება სასკოლო სასწავლო გეგმასა და წარმოდგენილ კურიკულუმებს შორის კავშირით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	სასწავლო პროცესი სამივე საფეხურზე შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმასა და კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებს .მოსწავლეს სტანდარტით განსაზღვრული გრძელვადიანი სამიზნე ცნებების გააზრება უწევს მრავალფეროვანი თემების და საკითხების ჭრილში . თუმცა, სკოლას არ წარმოუდეგნია მოქალაქეობის, ისტორიის დოკუმენტაცია პროექტული და კვლევითი ან ინტეგრირებული აქტივობების სახით არაფორმალურ განათლებაში კონკრეტული ანგარიშების გეგმების სახით, რაც უფრო კომპლექსურობის და ინტეგრირებული მუშაობის წარმოდგენის შესაძლებლობას მოგვცემდა. ინტერვიუს დროს ეს ზეპირსიტყვიერად დამაზუსტებელი და კვლევით კითხვებზე პასუხი გაეცა კათედრის წევრების მიერ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	სასწავლო პროცესი დაგეგმილი და განხორციელებულია სასკოლო კურიკულუმის მოთხოვნებისა და მიზნების შესაბამისად. კურიკულუმში ნათლად არის წარმოდგენილი სასწავლო მიზნები, მისაღწევი შედეგები და ის აქტივობები, რომლებიც მოსწავლეთა ცოდნისა და უნარების განვითარებას უწყობს ხელს. ასევე გათვალისწინებულია მრავალფეროვანი შემოქმედებითი დავალებების იდეები, რომლებიც მოსწავლეთა ინტერესის, კრიტიკული აზროვნებისა და დამოუკიდებელი მუშაობის უნარის განვითარებაზეა ორიენტირებული. კურიკულუმი მოიცავს დამატებით საგანმანათლებლო რესურსებს, დამხმარე მასალებსა და აქტივობებს, რაც სასწავლო პროცესს უფრო საინტერესოს და ეფექტიანს ხდის. დაგეგმვისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები და სწავლების თანამედროვე მიდგომები. თუმცა, სკოლას არ წარმოუდგენია შესაბამისი დოკუმენტაცია პროექტული, კომპლექსური, შემოქმედებითი, კვლევითი ან ინტეგრირებული აქტივობების სახით, რაც უფრო მკაფიო და ზუსტ წარმოდგენას შეგვიქმნიდა იმის შესახებ, რამდენად სრულყოფილად და სისტემურად ხორციელდება სასწავლო პროცესში კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობები. აღნიშნული მასალების არსებობა შესაძლებლობას მოგვცემდა შეგვეფასებინა, რამდენად ეფექტიანად ხდება

	თეორიული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობასთან დაკავშირება, მოსწავლეთა ჩართულობის უზრუნველყოფა და სხვადასხვა უნარის განვითარებაზე ორიენტირებული სწავლების განხორციელება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	სასწავლო პროცესი შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმასა და სკოლის მიერ შემუშავებულ კურიკულუმს. კათედრაზე შემუშავებული მხარდამჭერი ღონისძიებები მასწავლებლებს ხელს უწყობს, შეძლებისამებრ ყველა მოსწავლე აქტიურად ჩართონ შემოქმედებით და საგანმანათლებლო საქმიანობაში. შედეგად, მოსწავლეები უკეთ ახერხებენ მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას, უვითარდებათ კრიტიკული აზროვნება და თანამშრომლობის უნარები. **რჩევა:** სასწავლო პროცესის კიდევ უფრო ეფექტიანად წარმართვისთვის სასურველია, კათედრაზე გაძლიერდეს თანამშრომლობა და პროფესიული კომუნიკაცია. მნიშვნელოვანია, სწავლების მეთოდებსა და მიდგომებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები მიიღებოდეს ერთობლივი მსჯელობისა და გამოცდილების გაზიარების საფუძველზე, რაც სასწავლო გარემოს კიდევ უფრო ხარისხიანსა და შედეგზე ორიენტირებულს გახდის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმებში სხვადასხვა თემასთან გაწერილია დავალების იდეად შიდა სასკოლო და საკლასო სპორტული ფესტივალები შესწავლილი საკითხების წარმოჩენით. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით და მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს ცხადი გახდა, რომ მათ წარმატებით განახორციელეს შიდა სასკოლო და საკლასო სპორტული ფესტივალები სამივე საფეხურზე: დაწყებით საფეხურზე - „მძლეოსნობა“, „მხიარული სტარტები“, საბაზო საფეხურზე „მძლეოსნობა“ - რბენა სხვადასხვა დისტანციაზე და საშუალო საფეხურზე - „ფრენბურთი“. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სპორტული ფესტივალების საშუალებით მოსწავლეებში არა მხოლოდ ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას უწყობენ ხელს, არამედ მოსწავლეები იუმჯობესებენ კომუნიკაციის, თანამშრომლობისა და გუნდური მუშაობის უნარებსაც. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	პედაგოგთან გასაუბრებისა და წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია და ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის მოთხოვნების დაცვით. ანალიზის შედეგად იკვეთება, რომ სასწავლო პროცესი თანმიმდევრულად მიჰყვება კურიკულუმით განსაზღვრულ თემატურ გეგმას. თითოეული კლასისთვის შერჩეული საკითხები (მაგ: პირობითი

	ნიშნები II კლასში, ვიზუალური პროგრამირება IV კლასებში და რთული ალგორითმები V-VI კლასებში) ლოგიკურ ჯაჭვს ქმნის სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენების ჩამოსაყალიბებლად. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია კომპლექსურ დავალებებზე (მაგ: „ჩემი პირველი ანიმაცია Scratch-ში“, „საოცნებო უბნის ილუსტრაცია“), რაც უზრუნველყოფს ცოდნის პრაქტიკულ ტრანსფერს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები ორიენტირებულია მოსწავლეებზე. წარმოდგენილი დავალებები, მოსწავლეთა ნამუშევრები, თუ ის განხორციელებული პროექტები, რომლებზეც პედაგოგებმა ინტერვიუს დროს ისაუბრეს, ნამდვილად გვაძლევს იმის დასკვნის საშუალებას, რომ სასწავლო პროცესი სკოლაში დაგეგმილია და ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

სკოლა მოქნილად რეაგირებს სასკოლო საზოგადოების გათვალისწინებით შემხვედრ საჭიროებებზე და ახორციელებს შესაბამის მიდგომებს სასწავლო პროცესში. საჭიროების შემთხვევაში მოსწავლეს სკოლა სთავზობს დამატებით მხარდაჭერას, კონკრეტულად თუ რაიმე სირთულე აქვს რომელიმე საგანში მუშაობს რემედიაციის პროგრამა, დამატებითი მეცადინეობები და ინდივიდულური აქტივობები, რაც ასევე მოსწავლეებთან გასაუბრების პროცესშიც გამოიკვეთა. ასევე აქტიურად მუშაობენ სპეც. მასწავლებლები, რომელთაც ისგ-ის მიხედვით შემუშავებული აქვთ განსახორციელებელი აქტივოებები. სკოლაში ასევე ფუნქციონირებს რესურსოთახი რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ტექნიკურმატერიალური რესურსით. მასწავლებლებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა საჭიროებების გათვალსწინებით ხორციელდება კონკრეტული აქტივობების დაგეგმვა და განხილვა კათედრებზე, ასევე საჭიროების შემთხვევაში ხდება ინდ. გეგმის მოდიფიცირებაც. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლას შემუშავებული აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც მოიცავს შეფასების ინსტრუმენტის, პროცესისა და მტკიცებულებების ვერიფიკაციას და ორიენტირებულია შეფასების ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის

უზრუნველყოფაზე. წარმოდგენილია როგორც შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტი, ასევე საბუნებისმეტყველო მიმართულებით განხორციელებული ვერიფიკაციის კონკრეტული მაგალითები.

კურიკულუმებსა და შეფასების დოკუმენტაციაში წარმოდგენილია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების ელემენტები, შეფასების რუბრიკები, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების ფორმები. დაწყებით საფეხურზე უფრო მკაფიოდ იკვეთება დიაგნოსტირების, განმავითარებელი მხარდაჭერის, რემედიაციისა და მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინების პრაქტიკა.

საბაზო და საშუალო საფეხურებზე წარმოდგენილია შეფასების ინსტრუმენტებისა და რუბრიკების ნაწილი, თუმცა შეფასების პრაქტიკის განხორციელების ამსახველი კონკრეტული მტკიცებულებები ყველა საგანსა და კლასში თანაბარი სისრულით წარმოდგენილი არ არის.

რჩევა: სასურველია საბაზო და საშუალო საფეხურებზე უფრო სისტემურად იყოს წარმოდგენილი შეფასების პრაქტიკის განხორციელებისა და ვერიფიკაციის ამსახველი დოკუმენტაცია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები

შეფასების ინსტრუმენტები პირდაპირ მიემართება კურიკულუმით განსაზღვრულ სამიზნე ცნებებსა და შედეგებს. მაგალითად, ისტორიასა და მოქალაქეობაში კომპლექსური დავალებები როგორიცაა „რჩევები იმპერატორს“ ან „საჯარო სიტყვა მდგრად განვითარებაზე“ აფასებს არა ფაქტების მექანიკურ ცოდნას, არამედ მოსწავლის მიერ ისტორიული პროცესების გააზრებასა და სამოქალაქო პოზიციის ჩამოყალიბებას.

ყველა კურიკულუმს თან ახლავს წინასწარ გაწერილი შეფასების რუბრიკები. მოსწავლეებმა დავალების დაწყებამდე იციან, რა კრიტერიუმებით შეფასდებიან მაგ: „მწვანე თაობის“ კლუბის აქტივობების შეფასების კრიტერიუმები წინასწარ იყო განსაზღვრული, რაც გამორიცხავს გაურკვევლობას.

შეფასება ეყრდნობა სოლო-ტაქსონომიის ცხრილებს, რაც მასწავლებელს საშუალებას აძლევს, მოსწავლის პასუხი ობიექტურად განათავსოს განვითარების შესაბამის დონეზე (მიმართებითი, აბსტრაქტული და ა.შ.).

	სამართლიანობა ვლინდება იმაშიც, რომ რემედიაციის გეგმების მეშვეობით ხდება იმ მოსწავლეთა მხარდაჭერა, რომლებსაც უჭირთ სტანდარტის დაძლევა, რაც მათ აძლევს თანაბარ შანსს მიაღწიონ წარმატებას. სკოლაში დანერგილია შეფასების ვერიფიკაციის პრაქტიკა, რაც გულისხმობს მოსწავლეთა ნაშრომების (შემთხვევითი შერჩევით 20%) გადამოწმებას. ეს მექანიზმი მინიმუმამდე ამცირებს სუბიექტურობას და უზრუნველყოფს შეფასების მაღალ სანდოობას. დოკუმენტაციაში წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასებები ორიენტირებულია არა მხოლოდ ხარვეზების ჩვენებაზე, არამედ იძლევა კონკრეტულ რჩევებს წინსვლისთვის, რაც შეფასების სისტემას მოსწავლის განვითარების ინსტრუმენტად აქცევს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	სკოლას შემუშავებული აქვს ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელზე დაყრდნობითაც ზომავს შეფასების ვალიდურობას, გამჭვირვალეობას, სანდოობას, ობიექტურობას და სამართლიანობას. სკოლამ აგრეთვე წარმოადგინა ვერიფიკაციის დოკუმენტის თანახმად განხორციელებული პროცესი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლას შემუშავებული აქვს ვერიფიკაციის მექანიზმი . განხორციელებული პროცესი ვერიფიკაციის დოკუმენტის თანახმად წარმოადგინა.კაფიოდ გამოიკვეთა საგნობრივ სტანდარტებთან შესაბამისობა.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	შეფასების რუბრიკები შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებთან და ორიენტირებულია როგორც მოსწავლეთა ცოდნის დონის, ისე სხვადასხვა უნარის შეფასებაზე. შეფასების პროცესში მასწავლებლები იყენებენ წინასწარ განსაზღვრულ კრიტერიუმებს, რაც უზრუნველყოფს პროცესის ობიექტურობას, ამასთანავე, სკოლაში მიმდინარეობს შეფასების შედეგების ანალიზი, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის გაუმჯობესებასა და მოსწავლეთა საჭიროებების უკეთ გამოვლენას. პრაქტიკაში გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასების ფორმები, ხოლო მტკიცებულებების სახით წარმოდგენილია სხვადასხვა აქტივობისა და დავალების შესაბამისი შეფასების ინსტრუმენტები. **რჩევა:** შეფასების კრიტერიუმების შემუშავების პროცესში სასურველია, უფრო დეტალურად განისაზღვროს თითოეული დავალების მიზანი, შინაარსი და მოსწავლისგან მოსალოდნელი შედეგები. კრიტერიუმები მკაფიოდ უნდა ასახავდეს, კონკრეტულად რა ცოდნის, უნარისა და

კომპეტენციის წარმოჩენას ითხოვს დავალება, რათა შეფასების პროცესი იყოს თანმიმდევრული, გამჭვირვალე და ობიექტური.

განსაკუთრებული ყურადღება საჭიროა წერითი დავალებების - ესეს, თხზულებისა და ე.წ. „თემის“- შეფასებისას. სასურველია, კრიტერიუმებში მხოლოდ შინაარსობრივი სიზუსტე და ფორმალური მხარეები არ იყოს გათვალისწინებული, არამედ ცალკე კომპონენტებად გამოიკვეთოს:

- ანალიზისა და მსჯელობის სიღრმე;
- არგუმენტაციის ხარისხი;
- დასკვნების დასაბუთება;
- მაგალითებისა და დეტალების გამოყენება;
- დამოუკიდებელი აზროვნებისა და პოზიციის ჩამოყალიბების უნარი.

ამასთანავე, მნიშვნელოვანია შეფასების რუბრიკებში აისახოს ტექსტის ორგანიზებისა და სტილური გამართულობის კომპონენტებიც — რამდენად ლოგიკურად და თანმიმდევრულად არის გადმოცემული აზრი, რამდენად გასაგებია ტექსტი მკითხველისთვის და რამდენად შეესაბამება აკადემიური წერის მოთხოვნებს.

სასურველია, წერითი ნამუშევრების შეფასებისას დამატებით გამოიყოს ორთოგრაფიისა და პუნქტუაციის კრიტერიუმებიც, რადგან გამართული წერითი კულტურა მოსწავლის საკომუნიკაციო უნარის მნიშვნელოვანი ნაწილია და ხელს უწყობს აზრის მკაფიო გადმოცემას.

შეფასების კრიტერიუმების უფრო მრავალმხრივი და დეტალური გაწერა უზრუნველყოფს მოსწავლის ცოდნისა და უნარების სრულფასოვან შეფასებას, ასევე დაეხმარება როგორც მასწავლებელს შეფასების ობიექტურად განხორციელებაში, ისე მოსწავლეს — საკუთარი ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების უკეთ გააზრებაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა

სკოლაში დანერგილი შეფასების სისტემა სამართლიანობისა და გამჭვირვალობის პრინციპს ეფუძნება. გადმოგზავნილი რუბრიკები შეესაბამება სასწავლო მიზნებს, ხოლო შეფასების კრიტერიუმები მკაფიო კავშირშია განვლილ მასალასა და მოსწავლეების მიერ შესასრულებელ აქტივობებთან. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს მოსწავლეთა ობიექტურ და თანმიმდევრულ შეფასებას, ასევე ზრდის მათ მოტივაციასა და პასუხისმგებლობის განცდას.

რჩევა: სასურველია, შეფასების რუბრიკები წინასწარ შემუშავდეს და თემის დაწყებისთანავე გაეცნოთ მოსწავლეებს. ასევე, მნიშვნელოვანია, კრიტერიუმები იყოს მარტივი, გასაგები და მოსწავლეებისთვის ადვილად აღსაქმელი.

სპორტი

მასწავლებლებს კურიკულუმში გაწერილი თემებისთვის წარმოდგენილი აქვთ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომელიც გრძელვადიან მიზნებზეა ორიენტირებული და ემსახურება სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას. მასწავლებლებს ასევე განხორციელებული აქვთ მოსწავლის მიღწევების დიაგნოსტირება სამივე საფეხურზე, სადაც დეტალურადაა გაწერილი, თუ როგორ უნდა წარმოეჩინა მოსწავლეს თავი ფიზიკური აქტივობისას, რამდენად კარგად გაართვა თავი გამოწვევას და რით შეიძლება აიხსნას სხვაობა მომხდარსა და დაგეგმილს შორის. საკლასო სპორტულ ფესტივალზე - სამივე საფეხურზე განხორციელებული აქვთ შეფასების ვერიფიკაცია. მასწავლებლების თქმით შეფასების კრიტერიუმები მოსწავლეებმა იცოდნენ წინასწარ, ასევე ვერიფიკაციის პროცესის შესახებ ინფორმირებული იყო სკოლის ყველა თანამშრომელი. წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით აქტივობები შეფასებული იყო საგაკვეთილო პროცესის დროს არასტრესულ გარემოში და საბოლოოდ ვერიფიკაცია ყველა კრიტერიუმის მიხედვით შეფასდა დადებითად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ტექნოლოგიები

კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნის მაგალითზე დასტურდება, რომ სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა ეფუძნება ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობისა და ობიექტურობის პრინციპებს. აღნიშნული დასტურდება შემდეგი გარემოებებით: შეფასების სისტემა პირდაპირ ზომავს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შედეგებს. წარმოდგენილი რუბრიკები მკაფიოდ მიემართება კონკრეტულ სამიზნე ცნებებს - „ინფორმაცია“ და „ალგორითმი“. შეფასების კრიტერიუმები ვალიდურია, რადგან ისინი აფასებენ ზუსტად იმ უნარ-ჩვევებს, რაც კომპლექსური დავალების მიზნით იყო განსაზღვრული. შეფასების რუბრიკები აჩვენებს რომ მასწავლებელი იყენებს კონსტრუქტივისტულ უკუკავშირს. კომპიუტერული ტექნოლოგიების საგანში ჩამოყალიბებული შეფასების პრაქტიკა სრულ შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებთან. სისტემა არის გამჭვირვალე და ობიექტური, რაც ხელს უწყობს თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ განვითარებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი კლასების შეფასების რუბრიკები ვალიდურია, რადგან შესაბამისია საგნობრივ სტანდარტთან. სანდოა, რადგან წარმოდგენილია შესაბამისი კრიტერიუმებით. სამართლიანია, რადგან შეფასება დამოკიდებულია ობიექტურ შეფასების ინსტრუმენტებზე. გამჭირვალეა, რადგან მოსწავლეებისათვის წინასწარ ცნობილია კრიტერიუმები. ყოველივე დასტურდება წარმოდგენილი რუბრიკებით და კათედრის წევრებთან გასაუბრებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებულია ინდივიდუალურ ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტი, სადაც დამტკიცებულია მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი, წესი და მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის პროცედურების განხორციელების მიზნით შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომელიც აქტიურად ახორციელებს მუშაობას სამივე საფეხურზე, რაც დასტურდება აღნიშნული სამუშაო ჯგუფის მიერ წარმოდგენილი სემესტრული ანგარიშით. ამრიგად, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა სათანადო შეფასებასა და აღრიცხვას ელექტრონულ ჟურნალში, რომლის მონიტორინგი პერიოდულად ხორციელდება. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. წინა წლების დოკუმენტაცია, კურსდამთავრებულთა პირადი საქმეები, კლასების და საგნების მიხედვით ფორმები შენახული და დაცულია სკოლის არქივში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები;
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები
- 2025-2026 სასკოლო სასწავლო გეგმა;
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

- საგნებში განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების დოკუმენტაცია (ბუნებისმეტყველება);
- დიაგნოსტირების და რემედიაციის ამსახველი დოკუმენტაცია (დაწყებითი საფეხური, ბუნებისმეტყველება);
- საბუნებისმეტყველო კათედრის სამოქმედო გეგმა
- მოსწავლის მიღწევის დიაგნოსტირების ინსტრუმენტი - ანგარიშის ფორმა;
- სამივე საფეხურზე განხორციელებული ვერიფიკაციის დოკუმენტები;
- სასკოლო სპორტული ფესტივალის გეგმა და რეფლექსია;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია.
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები
- საგნობრივი კათედრების სამუშაო გეგმები
- პროექტები
- რემედიაციის გეგმები
- კომპლექსური დავალებების ბარათები

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო საგნობრივი ჯგუფის კურიკულუმებში წარმოდგენილია ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები, მათ შორის გრიფირებული სახელმძღვანელოები, ელექტრონული რესურსები, ვირტუალური ლაბორატორიები, ვიდეომასალები, თვალსაჩინოებები, მოდელები და პრაქტიკული აქტივობებისთვის განსაზღვრული რესურსები. წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით იკვეთება აღნიშნული რესურსების სასწავლო პროცესში გამოყენების პრაქტიკა.

ქიმიის, ბიოლოგიისა და ფიზიკის კურიკულუმებში განსაკუთრებით იკვეთება ელექტრონული რესურსებისა და ვირტუალური ლაბორატორიების გამოყენების მცდელობა. წარმოდგენილია ასევე საბუნებისმეტყველო რესურსების ინვენტარიზაციის დოკუმენტაცია.

წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ სკოლა ფლობს მრავალფეროვან საბუნებისმეტყველო რესურსებს, თუმცა არსებული სარემონტო მდგომარეობის გამო ამ ეტაპზე სრულფასოვანი ლაბორატორიული სივრცე არ ფუნქციონირებს. მიუხედავად ამისა, პედაგოგები სასწავლო პროცესში იყენებენ ხელმისაწვდომ მატერიალურ რესურსებს, თვალსაჩინოებებს, ელექტრონულ რესურსებსა და ვირტუალურ ლაბორატორიებს.

ამასთანავე, ცალკეულ კურიკულუმებში რესურსების გრაფაში ძირითადად მითითებულია მხოლოდ სახელმძღვანელოების ბიბლიოგრაფიული მონაცემები კონკრეტული პარაგრაფების, გვერდებისა და დამატებითი რესურსების დაზუსტების გარეშე. ასევე, საბაზო და საშუალო საფეხურებზე რესურსების პრაქტიკული გამოყენების ამსახვ,ელი კონკრეტული მტკიცებულებები შეზღუდულად არის წარმოდგენილი.

რჩევა: სასურველია საბაზო და საშუალო საფეხურებზე რესურსების გრაფაში უფრო კონკრეტულად მიეთითოს გამოყენებული სახელმძღვანელოების შესაბამისი პარაგრაფები, გვერდები, სავარჯიშოები და დამატებითი ელექტრონული რესურსები. ასევე სასურველია უფრო სისტემურად იყოს წარმოდგენილი რესურსების პრაქტიკული გამოყენების ამსახველი დოკუმენტაცია. საბუნებისმეტყველო მიმართულებით პრაქტიკული და ექსპერიმენტული აქტივობების უფრო ეფექტიანად განხორციელების მიზნით სასურველია სკოლამ უზრუნველყოს შესაბამისი ლაბორატორიული სივრცისა და გარემოს ხელმისაწვდომობა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები

სკოლა იყენებს გრიფირებულ სახელმძღვანელოებს სხვადასხვა გამომცემლობიდან (მაგ: „ლოგოს პრესი“ ისტორიაში, „ეპიგრაფი“ და „სიდი“ მოქალაქეობაში, „სულაკაური“ საქართველოს ისტორიაში), რაც მასწავლებელს აძლევს საშუალებას, შეარჩიოს კონკრეტული კლასის საჭიროებებზე მორგებული მასალა.

კურიკულუმებში სისტემატურად არის მითითებული დამხმარე მასალები, რომლებიც აღრმავებს საგაკვეთილო პროცესს: YouTube პლატფორმაზე არსებული შემეცნებითი რგოლები მაგ: დმანისის აღმოჩენები, ნეოლითური რევოლუცია, „ტელესკოლის“ გაკვეთილები და ანიმაციები დემოკრატიისა

	და სოციალიზაციის შესახებ. ბეჭდური წყაროები საიტ „ივერიელიდან“, ჟენევის კონვენციის ელექტრონული ვერსია და თ. ჩაგელიშვილის ფილმები მაგ: „9 აპრილის საიდუმლო“. რესურსად განიხილება უნივერსიტეტებთან (სეუ) თანამშრომლობა და მოწვეული სპეციალისტების ლექციები. ეკო-ტურისტული კლუბის რეფლექსიაში ჩანს, რომ მოსწავლეები იყენებენ კვლევით და შემოქმედებით ინსტრუმენტებს კლუბის საქმიანობის ფარგლებში. რემედიაციის გეგმებში ჩანს რესურსების მიზნობრივი შერჩევა მოსწავლეებს, რომლებსაც უჭირთ ძირითადი ტექსტის გაგება, მასწავლებელი სთავაზობს ვიზუალურ წყაროებსა და ტერმინოლოგიურ ლექსიკონებს, რაც სწავლის შედეგების მიღწევის დამხმარე მექანიზმია. **რჩევა:** სასურველია კათედრაზე შეიქმნას „ციფრული რესურსების საერთო ბაზა“, სადაც მასწავლებლები გაუზიარებენ ერთმანეთს მათ მიერ შექმნილ დამხმარე მასალებს (პრეზენტაციები, სამუშაო ფურცლები, ინტერაქციული ტესტები). ეს დაზოგავს დროს და გააუმჯობესებს რესურსების ხარისხს მთელი სკოლის მასშტაბით. ასევე, კარგი იქნება AI ინსტრუმენტების მაგ: NotebookLM ან საძიებო სისტემები გამოყენება ქეისების მოსამზადებლად, რათა მოსწავლეებმა შეძლონ უფრო რთული მონაცემების ანალიზი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	სასკოლო სასწავლო გეგმის ფარგლებში სკოლას განსაზღვრული აქვს ძირითადი სასწავლო რესურის - გრიფირმინიჭებული სახელმძღვანელოების ნუსხა. ასევე, საგნობირვ კურიკულუმებში წარმოდგენილია დამხამრე რესურები, რომელიც მოსწავლეებს ეხმარება სასურველი შედეგის მიღწევაში. **რჩევა:** სამომავლოდ, უცხოური ენების კათედრა, სასწავლო წლის დასაწყისში შეიმუშაოს დამხმარე რესურების ნუსხა, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება ყველა მასწავლებლისათვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკის კათედრის კურიკულუმებში წარმოდგენილია გრიფირებული სახელმძღვანელოები და მრავალფეროვანი დამხმარე რესურსი ბმულების სახით,რაც მოსწავლეთა შედეგებზე და მათ ნამუშევრებზე აისახება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სკოლა აკმაყოფილებს ინდიკატორს – „კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში“. სწავლა-სწავლების პროცესში აქტიურად

გამოიყენება როგორც ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული ძირითადი რესურსები (სახელმძღვანელოები, სამუშაო რვეულები), ასევე სხვადასხვა ტიპის დამხმარე მასალები.

მასწავლებლები სასწავლო პროცესს გეგმავენ ისე, რომ მოსწავლეები ჩართული იყვნენ მრავალფეროვანი რესურსების გამოყენებაში. გამოიყენება ვიზუალური, აუდიო და ციფრული მასალები, რაც ხელს უწყობს თემების უკეთ გააზრებასა და მოსწავლეთა მოტივაციის ზრდას. რესურსების შერჩევა მიზანმიმართულია და შეესაბამება როგორც გაკვეთილის მიზნებს, ისე მოსწავლეთა საჭიროებებს.

სკოლაში ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკა და სხვადასხვა დამატებითი რესურსი, რომლებიც ხელს უწყობს ცოდნის გაღრმავებას. სასწავლო მასალები გამოიყენება არა მხოლოდ საგაკვეთილო პროცესში, არამედ კლასგარეშე აქტივობების ფარგლებშიც.

რჩევა: სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებისთვის მნიშვნელოვანია, რომ სკოლაში გამოყენებული იყოს მრავალფეროვანი და მიზნობრივად შერჩეული რესურსები. მხოლოდ ერთი ტიპის რესურსზე ორიენტირება ვერ უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის ინტერესებისა და საჭიროებების სრულად გათვალისწინებას. გარკვეულ კლასებში აუდიო და ვიდეო რესურსები ნაკლებად იყო გამოყენებული, ზოგ შემთხვევაში კი წარმოდგენილი იყო მხოლოდ ერთგვარი სასწავლო მასალა.

სასურველია, ყველა საგანსა და კლასში თანაბრად დაინერგოს სხვადასხვა სახის რესურსი — ტექსტური, ვიზუალური, ელექტრონული, აუდიო და ვიდეო მასალები. თანამედროვე ციფრული რესურსების გამოყენება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ისინი ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციის ზრდას, სასწავლო მასალის უკეთ აღქმასა და სხვადასხვა სასწავლო საჭიროების მქონე მოსწავლეების მხარდაჭერას.

რეკომენდებულია ასევე მასწავლებლებს შორის თანამშრომლობის გაძლიერება რესურსების შერჩევისა და შექმნის მიმართულებით, გამოცდილების გაზიარება და ეფექტური პრაქტიკის გავრცელება, რაც სასწავლო პროცესს უფრო მრავალფეროვანს, მოსწავლეზე ორიენტირებულსა და ეფექტიანს გახდის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა	სწავლებისას მასწავლებლები იყენებენ როგორც მთავარ სახელმძღვანელოებს, ისე დამხმარე მასალებს. ეს რესურსები ბავშვებს ეხმარება, რომ თემები უკეთ გაიგონ და წარმატებით მიაღწიონ იმ მიზნებს, რაც სასწავლო გეგმით არის განსაზღვრული. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	კურიკულუმებში თემებთან შესაბამისობაში ინტეგრირებულია მრავალფეროვანი ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები ლინკების სახით, მათ შორის სახელმძღვანელოები, მეთოდური გზამკვლევები მასწავლებლებისთვის, პრეზენტაციები და ვარჯიშის ვიდეოინსტრუქციები. ინტერვიუს ფარგლებში გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებენ მრავალფეროვან რესურსებს, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებს შესასწავლი საკითხების უკეთ გააზრებასა და პრაქტიკულ ათვისებაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	სასწავლო პროცესი სრულად არის უზრუნველყოფილი კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე რესურსებით. სწავლება ეფუძნება რესურსებზე დაფუძნებულ მიდგომას, რაც დასტურდება შემდეგით: აქტიურად გამოიყენება school.emis.ge და Scratch .ინტეგრირებულია მოსწავლეთა ინტერესებზე მორგებული რესურსები: Paint 3D, „ვსწავლობთ თამაშით“, Code.org და Microsoft Office 365 .მასწავლებელი იყენებს საკუთარ ციფრულ ნიმუშებსა და მულტიმედიურ რესურსებს კომპლექსური დავალებების მხარდასაჭერად.გამოყენებული რესურსები ვალიდურია, შეესაბამება სასწავლო მიზნებს და უზრუნველყოფს მოსწავლეთა მაღალ ჩართულობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის დოკუმენტაციისა და პედაგოგებთან ინტერვიუების ანალიზი ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე რესურსები. გამოყენებულია როგორც სახელმძღვანელოები, ისე დამატებითი მასალები- სხვადასხვა ტიპის თვალსაჩინოება, ინტერნეტრესურსები, რომლებიც აძლიერებს სწავლების დინამიკურობასა და მოსწავლეთა ჩართულობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**.

2. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო საგნობრივი ჯგუფის კურიკულუმებში და წარმოდგენილ დოკუმენტაციაში იკვეთება დამხმარე სასწავლო რესურსების გამოყენების პრაქტიკა. კურიკულუმებში მითითებულია ელექტრონული რესურსები, ვირტუალური ლაბორატორიები, ვიდეომასალები, თვალსაჩინოებები, მოდელები და სხვა დამატებითი სასწავლო რესურსები, რომლებიც გამოიყენება სასწავლო პროცესში. დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილია რესურსების ვერიფიკაციის/ვალიდაციის მექანიზმის ამსახველი დოკუმენტაცია, რაც მიუთითებს, რომ სკოლა ორიენტირებულია სასწავლო რესურსების შესაბამისობისა და ხარისხის უზრუნველყოფაზე. მასწავლებლებთან გასაუბრებისას ასევე გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში გამოყენებული დამატებითი რესურსების შერჩევა ძირითადად ხდება სასწავლო მიზნებისა და მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით. ამასთანავე, საბაზო და საშუალო საფეხურებზე დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციის პროცესის პრაქტიკული განხორციელების ამსახველი კონკრეტული მაგალითები და მტკიცებულებები ყველა საგანსა და კლასში თანაბარი სისრულით წარმოდგენილი არ არის. **რჩევა:** სასურველია საბაზო და საშუალო საფეხურებზე უფრო სისტემურად იყოს წარმოდგენილი დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევის, შეფასებისა და ვალიდაციის პროცესის ამსახველი დოკუმენტაცია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ შერჩეული ყველა დამხმარე რესურსი (როგორც ბეჭდური, ისე ციფრული) ვალიდირებულია მათი სასწავლო მიზნებთან შესაბამისობის მიხედვით. **მოქალაქეობაში:** მე-9 კლასში ტრეფიკინგის ან მდგრადი განვითარების თემებზე მუშაობისას გამოყენებულია საერთაშორისო ორგანიზაციების (გაერო, ევროკავშირი) ოფიციალური რესურსები და ჟენევის კონვენციის ტექსტები, რაც რესურსის სანდოობასა და ვალიდურობას ადასტურებს. დამხმარე რესურსები შერჩეულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებებისა და ინტერესების გათვალისწინებით. ეკო-ტურისტული კლუბის („მწვანე თაობა“) რეფლექსია აჩვენებს, რომ კლუბის მუშაობისას გამოყენებული კვლევითი ინსტრუმენტები და სეუ-ს (საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი) ბაზაზე ჩატარებული ლექცია ვალიდირებული იყო კურიკულუმით განსაზღვრულ „მდგრადი განვითარების“ პრინციპებთან მიმართებით. კურიკულუმებში თითოეული თემის გასწვრივ მითითებულია შესაბამისი რესურსი (გვერდების, ბმულების ან ფაილების სახით), რაც სასწავლო მასალის ვალიდაციასა და ხელმისაწვდომობას სკოლის მასშტაბით ერთიან სტანდარტში აქცევს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები

საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილია არაერთი დამხმარე რესურსი, თუმცა არ არის წარმოდგენილი დოკუმენტი, რომელზე დაყრდნობითაც სკოლა ახდენს დამხმარე რესურების ვალიდაციას.

რჩევა: სამომავლოდ, სკოლამ შეიმუშავოს დოკუმენტი დამხმარე რესურსების ვალიდაციის შესახებ და ახალი სასწავლო წლის დაგეგმვისას, დამხმარე რესურსების შერჩევისას გაითვალისწინებს მას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ესთეტიკური აღზრდა

სკოლაში წარმოდგენილი დამხმარე რესურსები არჩეულია და განხილულია კათედრის მიერ.

რჩევა: სასურველია, რესურსის შერჩევა ხდებოდეს დოკუმენტურად და მკაფიოდ ჩანდეს სკოლის მიერ შემუშავებული წესები,რაც უზრუნველყოფს სასწავლო რესურსის ვალიდურობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**.

სახელმწიფო ენა

სკოლა აკმაყოფილებს აღნიშნულ ინდიკატორს. დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევა ხორციელდება განსაზღვრული პროცედურების დაცვით, რაც უზრუნველყოფს მათ შესაბამისობას ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებთან და საგნობრივ სტანდარტებთან.

სკოლაში მოქმედებს შეთანხმებული მიდგომა რესურსების შერჩევის პროცესში – მასწავლებლები განიხილავენ ახალ სასწავლო მასალებს და აფასებენ მათ მიზნობრიობას. შერჩევისას უპირატესობა ენიჭება იმ რესურსებს, რომლებიც შეესაბამება მოსწავლეთა ასაკობრივ, კოგნიტურ და საგნობრივ საჭიროებებს.

კურიკულუმებში წარმოდგენილი დამატებითი სასწავლო რესურსების ჩამონათვალის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რესურსები შედგენილია ასაკისა და მიზნების შესაბამისად: შეესაბამება სასწავლო პროგრამას, სწორ და სანდო ინფორმაციას შეიცავს, მოსწავლეების ასაკსა და დონეს შეეფერება, უსაფრთხო და ეთიკურია, სასწავლო მიზნის მიღწევას ხელს უწყობს.

რჩევა: სკოლისთვის მნიშვნელოვანია სასწავლო რესურსების მრავალფეროვანი და სისტემური გამოყენება, რადგან მხოლოდ ერთ ტიპზე დამოკიდებულება ვერ უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის საჭიროების დაკმაყოფილებას. ზოგიერთ კლასში ნაკლებად იყო აუდიო-ვიდეო რესურსები წარმოდგენილი, ზოგან კი მხოლოდ ერთი ტიპის რესურსი იყო მითითებული.

სასურველია, სკოლამ ყველა საფეხურსა და საგანში თანაბრად დანერგოს მრავალფეროვანი რესურსები — ბეჭდური, ვიზუალური, აუდიო, ვიდეო და ციფრული მასალები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ციფრული რესურსების გამოყენება, რადგან

ისინი ზრდის მოსწავლეთა ინტერესს, აუმჯობესებს ინფორმაციის აღქმას და ხელს უწყობს განსხვავებული სწავლის სტილის მქონე მოსწავლეების მხარდაჭერას.

ასევე რეკომენდებულია მასწავლებლებისთვის რესურსების შერჩევისა და შექმნის მიმართულებით უფრო აქტიური თანამშრომლობა და გამოცდილების გაზიარება, რათა სასწავლო პროცესი გახდეს უფრო ინკლუზიური, საინტერესო და შედეგზე ორიენტირებული.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

მათემატიკა

სკოლაში დამხმარე მასალებს საგნობრივი კათედრები არჩევენ და განიხილავენ. ეს პროცესი ეხმარებათ იმაში, რომ გამოყენებული რესურსები ზუსტად პასუხობდეს ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებსა და საგნის პრიორიტეტებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

სპორტი

მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ სასწავლო წლის დასაწყისში ხდება საგანმანათლებლო რესურსების განხილვა და შერჩევა. შერჩეული რესურსები ორიენტირებულია მოსწავლეთა სწავლის უნარების განვითარებასა და სასწავლო მასალის სიღრმისეულ გააზრებაზე. მასწავლებლები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ რესურსების ასაკობრივ შესაბამისობას, სანდოობასა და ხარისხს, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალების რელევანტურობასა და ეფექტურობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ტექნოლოგიები

წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და პედაგოგთან გასაუბრებით დასტურდება, რომ კომპიუტერული ტექნოლოგიების საგანში დამხმარე რესურსების შერჩევა და ვალიდაცია ხორციელდება შინაარსობრივი და ტექნიკური გამართულობის პრინციპით. პროცესის ანალიზი აჩვენებს შემდეგს: კურიკულუმში ინტეგრირებული დამხმარე პლატფორმები (მაგ: Code.org, Paint 3D) ვალიდირებულია მასწავლებლის მიერ მათი ფუნქციური დატვირთვის მიხედვით. რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების ეფექტურ მიღწევას. მასწავლებელი თავად ქმნის და იყენებს დამხმარე ვიზუალურ მასალებს. ეს რესურსები მორგებულია მოსწავლეთა ტექნოლოგიურ მზაობასა და სკოლის კომპიუტერულ ინფრასტრუქტურას. საგნობრივ კათედრაზე ხდება ციფრული რესურსების (ბმულები, საგანმანათლებლო პროგრამები) გაზიარება და მათი ეფექტურობის ანალიზი. აღნიშნული დასტურდება კურიკულუმებში მითითებული რესურსების მრავალფეროვნებითა და მასწავლებელთან ინტერვიუს დროს, რაც პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს.

რჩევა: სასურველია, კომპიუტერული ტექნოლოგიების ფარგლებში, სკოლამ/კათედრამ შექმნას „ციფრული რესურსების ვალიდაციის ელექტრონული ჟურნალი/ბაზა“. მასში მასწავლებლები ასახავენ გამოყენებულ ონლაინ პლატფორმების, პროგრამებისა თუ ბმულების მოკლე ტექნიკურ და შინაარსობრივ შეფასებას (მაგ: ინტერნეტის საჭიროება, რეგისტრაციის მოთხოვნა, სირთულის დონე). ეს დაეხმარება სკოლას, დროულად მოახდინოს მოძველებული ან ტექნიკურად შეუსაბამო ციფრული რესურსების იდენტიფიცირება და ჩანაცვლება ახალი, უფრო ეფექტური ინსტრუმენტებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური

სკოლის მიერ კურიკულუმები შემუშავებულია გრიფირებული სახელმძღვანელოების მიხედვით. აგრეთვე დაწყებით საფეხურზე იყენებენ სხვადასხვა ტიპის ელექტრონულ რესურსებს. ინტერვიუს დროს დასმულ კითხვაზე, თუ რა პრინციპებით და როგორ ადგენენ დამატებითი სასწავლო რესურსების ჩამონათვალს, მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სასწავლო წლის განმავლობაში ერთად იკრიბებიან და მოსწავლეების ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით ადგენენ ამა თუ იმ დამხმარე რესურსის შესაბამისობას ესგ-ის საგნობრივ სტანდარტთან შესაბამისობაში (თემა, მიზნები და ა.შ.) **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

საბუნებისმეტყველო საგნობრივი ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ სკოლა ფლობს სასწავლო პროცესისთვის საჭირო გარკვეულ მატერიალურ რესურსებს, მათ შორის თვალსაჩინოებებს, მოდელებს, ლაბორატორიულ ინვენტარს, ტექნიკურ და ელექტრონულ რესურსებს. წარმოდგენილია საბუნებისმეტყველო რესურსების ინვენტარიზაციის დოკუმენტაციაც.

	კურიკულუმებში გათვალისწინებულია ელექტრონული რესურსების, ვირტუალური ლაბორატორიებისა და სხვადასხვა დამხმარე სასწავლო მასალის გამოყენება, რაც ხელს უწყობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შედეგების მიღწევას. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში გამოიყენება ხელმისაწვდომი მატერიალური რესურსები, თვალსაჩინოებები, ელექტრონული რესურსები და ვირტუალური ლაბორატორიები, ასევე ტარდება ცალკეული მარტივი პრაქტიკული აქტივობები და ექსპერიმენტები. ამასთანავე, შენობის ნაწილის ავარიული და სარემონტო მდგომარეობის გამო სკოლაში ამ ეტაპზე არ ფუნქციონირებს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია. მიუხედავად იმისა, რომ სკოლა ფლობს გარკვეულ ლაბორატორიულ ინვენტარს, შესაბამისი სივრცის არარსებობის გამო რესურსების მნიშვნელოვანი ნაწილი სასწავლო პროცესში სრულფასოვნად ვერ გამოიყენება. აღნიშნული გარემოება განსაკუთრებით ზღუდავს საბაზო და საშუალო საფეხურებზე კურიკულუმებით გათვალისწინებული კვლევითი, პრაქტიკული და ექსპერიმენტული აქტივობების განხორციელების შესაძლებლობას. სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის თანახმად, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობა დაგეგმილია 2027 წლის ივნისამდე. აღნიშნული ვადა ვერ უზრუნველყოფს უახლოეს პერიოდში საბაზო და საშუალო საფეხურების მოსწავლეებისათვის კვლევითი და ექსპერიმენტული საქმიანობის სრულფასოვან ხელმისაწვდომობას, კურიკულუმით გათვალისწინებული პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებას. **ამდენად, ექსპერტებმა ჩათვალეს, რომ ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია და გასცეს რეკომენდაცია:** საბაზო და საშუალო საფეხურებზე საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმებით გათვალისწინებული პრაქტიკული და კვლევითი აქტივობების სრულფასოვანი განხორციელებისთვის სკოლაამ შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში, 2027 წლის ივნისამდე, უნდა მოაწყოს ლაბორატორიული სივრცე.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმებით დაგეგმილი ციფრული კომპონენტების (მაგ: პრეზენტაციები ისტორიაში, ელექტრონული გაზეთის მომზადება მოქალაქეობაში მე-9 კლასში, YouTube რესურსების გამოყენება) რეალიზება მიუთითებს სკოლაში შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობის (კომპიუტერები, პროექტორები, ინტერნეტთან წვდომა) არსებობაზე.

	კურიკულუმებში ხშირად ფიგურირებს აქტივობები, რომლებიც მოითხოვს ჯგუფურ მუშაობას და დისკუსიას (მაგ: „ათენის დემოკრატია თუ სპარტის ოლიგარქია“ მე-7 კლასში). ეს მიუთითებს იმაზე, რომ საკლასო ოთახების ფართობი და მოსწავლეთა განლაგება შეესაბამება მათ რაოდენობას და იძლევა ინტერაქციული სწავლების საშუალებას. ეკო-ტურისტული კლუბისა და ფრანკოფონების კლუბის აქტივობები, რომლებიც მოიცავს გამოფენებსა და პრეზენტაციებს, ადასტურებს, რომ სკოლას აქვს სათანადო საერთო სივრცეები (დარბაზები, ბიბლიოთეკა ან საკლუბო ოთახი) კურიკულუმის მიღმა არსებული მიზნების მისაღწევად. ისტორიისა და გეოგრაფიის კურიკულუმები ითვალისწინებს რუკების, ატლასებისა და ისტორიული წყაროების (მაგ: საიტი „ივერიელი“) გამოყენებას. მატერიალური ბაზა უზრუნველყოფს ამ რესურსების ხელმისაწვდომობას როგორც ფიზიკური, ისე ციფრული სახით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	სკოლას აქვს საჭირო მატერიალური რესურსი, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით და უზრუნველყოფს კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლა ფლობს მატერიალურ-ტექნიკურ რესურსს, რაც უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრულ სწავლის შედეგების მიღწევას. **რჩევა**: სასურველია, სკოლამ შემოქმედებითი აქტივობების მეტი ეფექტიანობის მიზნით აღჭურვოს კათედრის ყველა მასწავლებელი საჭირო რაოდენობის მატერიალურ-ტექნიკური რესურსით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	სკოლა აკმაყოფილებს ინდიკატორს–„კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით“. სასწავლო გარემო უზრუნველყოფილია საჭირო მატერიალური ბაზით, რომელიც მოიცავს როგორც საბაზისო, ისე საგნობრივ და ტექნოლოგიურ რესურსებს.

სასწავლო სივრცეები (დაფები, მერხები, სკამები, ტექნიკა) ადეკვატურად შეესაბამება მოსწავლეთა რაოდენობას, რაც ხელს უწყობს თითოეული მოსწავლის ჩართულობასა და სასწავლო პროცესის ეფექტიანობას. კლასებში მოსწავლეთა რაოდენობა არ აღემატება დადგენილ ზღვრულ ნიშნულს, რაც ინდივიდუალური მიდგომის შესაძლებლობას ქმნის.

სკოლა უზრუნველყოფს აუდიტორიების შესაბამისობას როგორც ასაკობრივ, ისე საგნობრივ მოთხოვნებთან. მასწავლებლებს აქვთ შესაძლებლობა, გაამრავალფეროვნონ გაკვეთილები ვიზუალური, პრაქტიკული და ციფრული რესურსების გამოყენებით. რესურსების განაწილება ხდება კურიკულუმის მოთხოვნებისა და მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

მათემატიკა

სკოლა უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით. სასწავლო გარემო და რესურსები ორგანიზებულია მოსწავლეთა ზღვრული ოდენობის ფარგლებში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებული**

სპორტი

სკოლას აქვს შიდა სპორტული დარბაზი, რომლის იატაკი დახაზულია და დამონტაჟებულია კალათბურთის ფარები. ეზოში აქვთ ღობით შემოსაზღვრული ხელოვნურ საფარიანი სპორტული მოედანი, სადაც დამონტაჟებულია ფეხბურთის კარები და კალათბურთის ფარი. დარბაზში აქვთ ყველა საჭირო სპორტული ინვენტარი: ტანვარჯიშული კედელი, ტანვარჯიშული სკამი, ბურთები, კონუსები, ბარიერები, ჰულაჰუპი/რგოლი. სკოლის სპორტული ინფრასტრუქტურა და ინვენტარი უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

ტექნოლოგიები

სასკოლო დოკუმენტაციის შესწავლისა და პედაგოგებთან ინტერვიუს საფუძველზე დასტურდება, რომ კომპიუტერული ტექნოლოგიების კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა გარანტირებულია ადეკვატური მატერიალური და ციფრული რესურსებით. ინტერვიუების დროს ხაზი გაესვა ვირტუალური ლაბორატორიებისა და სიმულაციების (მაგ: Code.org) აქტიურ გამოყენებას. მასწავლებლები ეფექტურად იყენებენ ვიდეო ექსპერიმენტებსა და ციფრულ სადემონსტრაციო მასალებს, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ალგორითმული აზროვნებისა და კომპიუტერის აგებულების სწავლებისას.მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, გამოიყენონ სკოლის ტექნიკური ბაზა არა მხოლოდ საგაკვეთილო, არამედ

	შემოქმედებითი პროექტების (მაგ: ანიმაციების შექმნა, პრეზენტაციების მომზადება) განსახორციელებლად. ეს უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას „კეთებით სწავლების“ პრინციპით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას სკოლა უზრუნველყოფს შესაბამისი მატერიალური რესურსების გამოყენებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. ამისთვის სკოლას გააჩნია აღჭურვილი საკლასო ოთახები შესაბამისი ინვენტარითა და ტექნოლოგიებით, რომლებიც შეესაბამება სასწავლო მიზნებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4.სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი

სკოლაში დასაქმებულ ყველა მასწავლებელს აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია. მასწავლებლებს აქვთ შესაბამისი კომპეტენცია, დაგეგმონ და განახორციელონ მოსწავლეზე მორგებული აქტივობები და შეაფასონ ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნების შესაბამისად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- სხვადასხვა საგნობრივი ჯგუფის კურიკულუმები
- რესურსების ინვენტარიზაციის დოკუმენტაცია;
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
- შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტაცია;
- დიაგნოსტირების, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების დოკუმენტაცია;
- რემედიაციის ამსახველი დოკუმენტაცია (დაწყებითი საფეხური);
- კათედრების სამოქმედო გეგმები; საგანმანათლებლო რესურსები;
- სკოლის სპორტული ინფრასტრუქტურისა და ინვენტარის ფოტო მასალა;

- მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია.
- სადიაგნოსტიკო წერის შედეგების ანალიზები
- ინდივიდუალური მიდგომების გამოყენების ამსახველი დოკუმენტები
- სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის წესი
- ისგ ფორმა
- ისგ ჯგუფის ოქმი
- პროექტები
- ლუბის სამოქმედო გეგმა და ანგარიშები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება	☐ შეესაბამება	☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება	☒ მეტწილად შეესაბამება	☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება	☐ ნაწილობრივ შეესაბამება	☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება	☐ არ შეესაბამება	☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად

მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად. სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის განხორციელებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები, რაც გულისხმობს სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ინდივიდუალური მიღწევებისა და განვითარების გამოკვეთას, პრობლემების გადაჭრასა და აღმოფხვრას, რაც ხორციელდება კათედრის წევრებს შორის ურთიერთდასწრებით, უკუკავშირისა და რეკომენდაციების გაცემით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას

სკოლის მიერ კურიკულუმის მინიტორინგი და შეფასება ხორციელდება სხვადასხვა მეთოდებით. კერძოდ, კათედრის მიერ ხორციელდება გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებებით, მოსწავლეთა მიღწევების ანალიზით, შეფასების რუბრიკების გამოყენებით. სკოლის მიერ წარმოდგენილია „სასკოლო კურიკულუმის განხორციელების მონიტორინგისა და რევიზიის ანგარიში“, სადაც აღწერილია აღნიშნული პროცესი, რაც გულისხმობს იმას, რომ მონიტორინგი და შეფასება დაფუძნებულია საგნობრივი კათედრების ანგარიშებზე, ფოკუსირებულია თვითშეფასების შედეგებსა და სადიაგნოსტიკო წერების ანალიზზე. შესაბამისად, მონიტორინგი და შეფასება იძლევა კურიკულუმის ეფექტურ განხორციელებასა და პრობლემის გადაჭრის საშუალებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას

სკოლას აქვს გამოცდილება, რომ მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებით გამოკვეთოს პრობლემი, დაადგინოს საჭიროება და მოახდინოს ეფექტური უკუკავშირი. სასკოლო საზოგადოების ჩართულობით განსაზღვროს პრობლემის მოგვარების გზები და საშუალებები ურთიერთდასწრებებით, გამოცდილების გაზიარებით. სკოლას განსაზღვრული აქვს, რომ მონიტორინგისა და შეფასების პროცესში აქტიურად ჩაერთოს მშობლები, რაც მათთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა. ასევე ხელი შეუწყოს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებასა და წახალისებას, რაც ასევე მასწავლებელებმა აღნიშნეს. შესაბამისად, მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- გაკვეთილზე ურთიერთდასწრების მასალები;
- კათედრის სხდომის ოქმები;

- „სასკოლო კურიკულუმის განხორციელების მონიტორინგისა და რევიზიის ანგარიში“

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

სკოლაში მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება ინტეგრირებულად, ერთიანი, სისტემური მიდგომით და ატარებს ჰოლისტურ ხასიათს. კერძოდ, მოსწავლის აკადემიური, პიროვნული, ფსიქო-ემოციური, ძლიერი და სუსტი მხარეების, ინტერესების, კრიტიკული აზროვნების, კრეატიულობის, შემოქმედებითობის განსასაზღვრად თითოეული კათედრა იყენებს შეფასების რუბრიკებს, შემოქმედებით დავალებებს, მოსწავლეების მიერ შექმნილ სასწავლო პროდუქტებს (ალბომები, დღიურები, ბუკლეტები, პოსტერები, კომიქსები, მაკეტები, პრეზენტაციები ...), პროექტებს, მოსწავლის პორტფოლიოს, მოსწავლეთა თვითშეფასებას, ურთიერთშეფასებას, ჯგუფური მუშაობას და სხვა. შეფასების პროცესებში ჩართულია მთლიანი სასკოლო საზოგადოება: მასწავლებელი, მოსწავლე, მშობელი, ადმინისტრაცია რაც მათთან გასუბრების პროცესშიც გამოიკვეთა. ამრიგად, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2.შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით

სკოლის კათედრების მიერ კურიკულუმების შექმნის/რევიზიის პროცესის პარალელურად იქმნება შეფასების რუბრიკები კონკრეტული თემის ფარგლებში და ემყარება გრძელვადიანი მიზნებს, რომელიც დაფუძნებულია ესგ- ის პრინციპებზე. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა შეფასებას ახორციელებს სხვადასხვა კონტექსტით. კერძოდ, კათედრებზე არსებობს ურთიერთდასწრების კულტურა, მასწავლებელები აკვირდებინ პროცესს და გაცემული უკაკავშირის მიხედვთ ახდენენ რეკომედაციების შემუშავებას, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესში შეფასების სხვადასხვა ფორმით დამკვიდრებას. შეფასების პროცესში მასწავლებელი ითვალისწინებს გარემოს, რაც მოსწავლის აკადემიურ მიღწევებზე ახდენს გავლენას, როგორიცაა, არაფორმალური გარემო, სკოლა, კლასი, სოციუმი, შესასაწავლი საკითხი/ თემა, მოსწავლის ინტერესთა თანხვედრა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები

სკოლაში მოსწავლეთა შეფასებისას გამოიყენება მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები. მასწავლებლების მიერ სასწავლო პროცესში გამოიყენება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, შემაჯამებლი ანალიზის ფორმები, სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტი, შემოქმედებითი ტიპის დავალებების შეფასებები მოსწავლეების მიერ შესრულებული წერილობითი დავალებები, დღიურები, პოსტერები, კომიქსები. ყოველდღიურ სასწავლო პროცესში მასწავლებლის მიერ

აქტიურად ხორციელდება დაკვირვება, საუბრები, უკუკავშირის გაცემა რომელიც აჩვენებს როგორ განუვითარდათ დროთა განმავლობაში მოსწავლეებს სააზროვნო უნარები და საგნობრივი ცოდნა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით

სკოლა შეფასების პროცესში დიდ ყურადღებას აქცევს მოსწავლის აკადემიური მოსწრებისათან ერთად და ფუნქციურ-კომპეტენტური უნარების განვითარებას, კერძოდ შეფასებისას მასწავლებლები ითვალისწინებენ ნებისმიერ ფაქტორს, რაც გავლენას ახდენს მოსწავლის სწავლის პროცესზე და შედეგზე. კერძოდ, სოციუმი, ოჯახი, ტრადიციები. რაც ასევე გამოიკვეთა ინტერვიუს დროს, ქართულისა და უკრაინული სექტორის მასწავლებელები ერთხმად აღნიშნავდნენ ამ პროცესიის ეფექტურობას. ასევე მშობლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა მათთან კლასის ხელმძღვანელების აქტიური ჩართულობა და თანამშრომლობა, რაც ახდენს თითოეული მოსწავლის საჭიროებების მეტად გამოკვეთასა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას. შესაბამისად, სკოლაში მოსწავლის შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების მასალები/ოქმები;
- სასწავლო პროექტები;
- შემოქმედებითი დავალების მიხედვით მოსწავლეთა ნამუშევრები;
- მოსწავლეების ისგ და სამუშაო ჯგუფის ოქმები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*

☒ შეესაბამება	☒ შეესაბამება	☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება	☐ მეტწილად შეესაბამება	☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება	☐ ნაწილობრივ შეესაბამება	☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება	☐ არ შეესაბამება	☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

სკოლას შექმნილი აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც ასახულია სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და მხარდაჭერის პროცესი. შესაბამისად, სკოლა ქმნის მხარდაჭერის საჭიროებათა პაკეტს, რაც გულისხმობს კურიკულუმის შემუშავების პროცესში კათედრების ჩართულობას მოსწავლეებისა და მშობლებისგან მიღებული უკუკავშირის, გათვალისწინებით, გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებისა და მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გათვალისწინებით კურიკულუმებში ცვლილებების შეტანას, რაც აღნიშნული დოკუმენტის სკოლის საჭიროებებზე მორგებას უზრუნველყოფს. ამრიგად, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და**

სკოლას შექმნილი აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, სადაც წარმოდგენილია საგნობრივი კურიკულუმის შექმნისა და მხარდაჭერის პროცესი, ჩართული მხარეების ფუნქცია- მოვალეობები, რაც მასწავლებელებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა საგნობრივი მიმართულებების მიხედვით. კერძოდ, მასწავლებლები ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას, საუკეთესო პრატიკულ მაგალითებას/ აქტივობებს, სასკოლო საზოგადოების რეკომენდაციებს, შემაჯამებელი და შემოქმედებითი ბუნებისა დავალებების შედეგებს და გამოკვეთილი საჭიროებების მიხედვით იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- კათედრის ოქმები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება	☒ შეესაბამება	☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება	☐ მეტწილად შეესაბამება	☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება	☐ ნაწილობრივ შეესაბამება	☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება	☐ არ შეესაბამება	☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

თარიღი: 15.06.2026

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: